

178 /
1974/2



საზჭრთა სამაკრთაღი

საქართველოს კვ. ხანგრაღრი კომიგეზის გემომხემლოგა

1974 6



საბჭოთა სამართალი

№ 6

1974 წელი
ნოემბერი-დეკემბერი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრიკორავსკისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

თ. წერეთელი. — თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა	3
ა. ბარტნოვსკი — ავტორთა უფლებები აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა 1973 წლის დებულებით	18
შ. ტუაფაძე — საპროცესო ნორმების განუხრელად დაცვა საქმის დროულად და სწორად განხილვის მთავარი პირობაა	26

10 ნომერზე საზოგადოებრივი მილიციის დღეა

ვ. შადური — ხალხის ინტერესების სადარაჯოზე	30
---	----

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას

19.530

გ. შონია — მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის საფუძველები	36
გ. ხარატიშვილი — სასამართლო რეფორმა და ნაფიც ვეჟილთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოში	46
გ. ტუშუელიძე — შეფეხვიით კეთილსინდისიერ პაექრობას	58
ოფიციალური მასალა	72
არბიტრაჟის პრაქტიკა	87
ინფორმაცია	91
ბიბლიოგრაფია	94



СОДЕРЖАНИЕ

Т. Церетели — Учение современных буржуазных криминалистов о вине и его критика	3
А. Бартновский — Авторские права по положению 1973 года об открытиях, изобретениях и рационализаторских предложениях	18
Ш. Ткавадзе — Неуклонное соблюдение процессуальных норм — главнейшее условие своевременного и правильного разрешения гражданских дел	26

10 НОЯБРЯ — ДЕНЬ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

В. Шадури — На страже интересов народа	30
--	----

ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ ДЛЯ НАСЕЛЕНИЯ

В. Шониа — Основания увольнения рабочих и служащих с работы	36
Г. Харатишвили — Судебная реформа и формирование института присяжных поверенных в Грузии	46
Г. Ткешелиадзе — Спорить надо добросовестно	58
Официальный материал	72
Арбитражная практика	87
Информация	91
Библиография	94



სარედაქციო კოლეგია

შეკვ. № 4211
 ტირაჟი 15.100
 უფ 14094

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარაშაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1974 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. 103.

გადაეცა წარმოებას 22/XI-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-74 წ., ქალაქის ზომა 70x108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კბცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიზიკა

პროფ. თ. წარბაქიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ბრალის პრობლემა — თანამედროვე ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად ითვლება. ბრალი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძვლად არის გამოცხადებული. „დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო ქმედობა მხოლოდ მაშინ იძენს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, როცა... უარყოფითი შეფასება მოქმედსა ცხება“, — აცხადებენ თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტები.¹ მიუხედავად ამისა, მეტად თუ ნაკლებად ნათელი წარმოდგენა ბრალის ცნების შინაარსზე ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. XIX—XX სს. ბურჟუაზიული კოდექსები არათუ არ იძლევიან ბრალის ცნების განსაზღვრებას, არამედ, როგორც წესი, თვით ამ ტერმინსაც კი არ ხმარობენ. მაგალითად, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც, გარკვეული ცვლილებებით და დამატებებითურთ, დღესაც მოქმედებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ტერმინი „ბრალი“ სულაც არ იყო ნახსენები 1943 წლამდე, როდესაც კოდექსის 50-ე პარაგრაფი შეიცვალა.²

ასეთივე მდგომარეობა იყო სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც. XIX საუკუნის ცნობილი კრიმინალისტები ბერნერი, ბარი და სხვები ბრალის ზოგად ცნებას არც კი ახსენებდნენ. ამ კრიმინალისტთა ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ბრალის კონკრეტული ფორმების — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხებზე, ხოლო ამ ფორმების განმაზოგადებელი ცნება — ბრალი ჩრდილში რჩებოდა. მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა არც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. თუმცა ამ პერიოდში ბურჟუაზიული კრიმინალისტები უკვე ცდილობენ განსაზღვრონ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარეობითი ცნება — ბრალი, მაგრამ ამ ცნების შინაარსის დასადგენად სჯერდებიან იმის აღნიშვნას, რომ ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედობისა და ამ ქმედობის მავნე შედეგისადმი. ბრალის ასეთი გაგება ცნობილია სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის სახელწოდებით. ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლები არ ცდილობდნენ ამ ცნების მატერიალური შინაარსის გარკვევას, არამედ მაშინვე გადადიოდნენ ბრალის ფორმებზე, რომლებსაც განასხ-

¹ R. Maurach, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, Ein Lehrbuch, 3. Aufl., Karlsruhe, 1965, S. 297.

² პირიქით, სისხლის სამართლის პროცესში ეს ტერმინი ხშირად იხმარებოდა, მაგრამ არა სპეციფიკური სისხლისსამართლებრივი, არამედ პროცესუალური მნიშვნელობით, ე. ი. როგორც ცნება, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობის ყველა პირობას.

ვაგებდნენ ფსიქიკური დამოკიდებულების სპეციფიკურობის მიხედვით. (განზრახვა — შედეგის გათვალისწინება და მისი სურვილი ან დაშვება, გაუფრთხილებლობა — შედეგის აცდენის დაუსაბუთებელი იმედი ან მისი გაუთვალისწინებლობა, როცა პირს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი). და რადგანაც ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედობისა და შედეგის მიმართ ნათლად ჩანს განზრახვი დანაშაულის დროს, რომელიც ბრალის უფრო მძიმე ფორმას, ბუნებრივია, რომ ბრალის ცნების შესწავლა ძირითადად განზრახვისა და მისი სხვადასხვა სახეებით იფარგლებოდა. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, განსაკუთრებით, შეუცნობელ გაუფრთხილებლობას (დანაშაულებრივ დაუდევრობას), რომლის დროსაც სუბიექტი არათუ არ უშვებს მავნე შედეგს, არამედ არც ითვალისწინებს მისი განხორციელების შესაძლებლობას, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ეს იმით აიხსნება, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემთხვევები რაქტიკაში შედარებით იშვიათი იყო და ამიტომ მისი დასჯის ისეთი მწვავე მოთხოვნა იღებდა, როგორც განზრახვი დანაშაულის დასჯისა, არ არსებობდა. ამავე დროს ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები, რომლებიც ბრალის საკითხების შესწავლისას ტრადიციულ ფსიქოლოგიას ემყარებოდნენ და ფსიქიკისა და ცნობიერების იგივეობის ინტროსპექციულ დოგმატს აღიარებდნენ, ვერ ახერხებდნენ ფსიქიკური დამოკიდებულების დასაბუთებას შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს. ამ გარემოებამ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ორი უკიდურესი მიმართულება წარმოშვა.

კრიმინალისტიკების ერთი ნაწილი იმ გზას დაადგა, რომელიც პირველად ჰეგელმა დასახა. როგორც ცნობილია, ჰეგელის აზრით, დასჯადი უმართლობა წარმოადგენს ცალკეული ნების შეგნებულ დაპირისპირებას საერთო ნებისადმი. აქედან გამომდინარეობდა, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ პირმა, ვინც განზრახ მოქმედებდა, რადგან მხოლოდ განზრახვის დროს არსებობს შეგნებული ნებელობითი დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო შედეგთან.

ასეთი რადიკალური შეხედულება არ შეიძლება გაეზიარებინათ მეცნიერი იურისტებს, თუნდაც ჰეგელის მომხრეებს, რადგანაც ისინი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ იმ ფაქტისათვის, რომ სისხლის სამართლის კოდექსებში გაუფრთხილებლობითი დელიქტებიც იყო შეტანილი. ამიტომ ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი შეეცადა შეეთავსებინა დებულება, რომ ბრალი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არის შეგნებული ნებელობითი დამოკიდებულება შედეგთან, იმ დებულებასთან, რომ გაუფრთხილებლობა, კერძოდ შეუცნობელი გაუფრთხილებლობა, არის ბრალის ერთ-ერთი ფორმა. ამისათვის საჭირო იყო გაუფრთხილებლობაში განზრახვის ელემენტები აღმოეჩინათ. ამას ისინი სხვადასხვა გზით აღწევდნენ. მაგალითად, ბინდინგი ამტკიცებდა, რომ გაუფრთხილებლობითი ქმედობის დროსაც სუბიექტი ახორციელებს მავნე შედეგს ნებელობითი (თუმცა შეუგნებელი ნებელობითი) აქტით.³ ა. ფაიფრბახი შეეცადა გაუფრთხილებლობა განზრახვი დანაშაულად გარდაექმნა: მისი აზრით, გაუფრთხილებლობა არსებობს მაშინ, როდესაც სუბიექტი შეგნებულად არ

³ K. Binding, Die Normen und ihre Übertretung, B. II, Leipzig, 1877, S. 111.

ასრულებს მოვალეობას ყურადღებიანად იმოქმედოს.⁴ განზრახვის სფეროს მიაკუთვნებენ გაუფრთხილებლობით ბრალს აგრეთვე ფოიერბახისდროინდელი გერმანელი კრიმინალისტი შტიუბელი⁵ და რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი სერგეევსკი,⁶ რომლებიც განსაზღვრავენ ბრალს როგორც სამართლებრივი სიკეთისათვის განზრახ საფრთხის შექმნას. ამგვარად, თუ ფოიერბახისათვის გაუფრთხილებლობა განზრახ უმოქმედობას წარმოადგენდა, შტიუბელისა და სერგეევსკისათვის იგი იყო განზრახ საფრთხის შემქმნელი (და არა შედეგიანი) დელიქტი.⁷

გაუფრთხილებლობით ბრალში ფსიქიკური დამოკიდებულების აღმოჩენის სირთულემ ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში ერთგვარი სკეპტიციზმი გამოიწვია. განა მართებულა შეუცნობელი გაუფრთხილებლობის აღიარება ბრალის ფორმად? იქნებ საჭიროა გაუფრთხილებლობის ეს სახე სავსებით გაძვებულ იქნეს დასჯადი უმართლობის სფეროდან? — ასეთი ხმები განსაკუთრებით ენერგიულად გაისმის XX საუკუნის დასაწყისში.

პირველი, ვინც შეეცადა ამ შეხედულების თეორიულად დასაბუთებას, გერმანელი კრიმინალისტი ე. კოლრაუში იყო. კოლრაუშის ამოსავალი დებულება არის ის, რომ ბრალი პირის სუბიექტური, ფსიქიკური დამოკიდებულებაა მაგნე შედეგისადმი. ბრალის ასეთი გაგება, კოლრაუშის აზრით, ემყარება სისხლის სამართლის კანონის არსს: სისხლის სამართლის კანონის ამოცანა ის არის, რომ ნორმების დაწესებისა და მათი დარღვევისათვის სასჯელის მუქარის გათვალისწინების მეშვეობით გააღვივოს სოციალური სინდისი, გააძლიეროს ალტრუსტული მოტივები ეგოისტური მოტივების საპირისპიროდ.⁸ ამის შესაბამისად, კოლრაუშმა წამოაყენა შემდეგი დებულებები: „1) ბრალი არის მოვალეობის საწინააღმდეგო ნებისყოფის განხორციელება; 2) ნებისყოფის ყოველგვარი განხორციელება ნიშნავს აღამიანის მოქმედებას ისეთი წარმოდგენების შეგავლენით, რომლებიც მოქმედების მოტივებად იქცა განსაზღვრული ემოციური ელფერის გამო; 3) ნებისყოფის გამოვლინება მაშინ არის ბრალეული, როდესაც ამ წარმოდგენათა კომპლექსში შედის ისეთი წარმოდგენები, რომელთა განხორციელებაც აკრძალულია.“⁹ ვინაიდან შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს არ არის არც წარმოდგენა მართლსაწინააღმდეგო შედეგისა და არც ნებისყოფა, მიმართული მისი განხორციელებისაკენ, ე. ი. არ არის არავითარი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი, მისი დასჯადობა, კოლრაუშის აზრით, არ შეიძლება გამართლებულ იქნეს სისხლის სამართლის კანონის ამოცანებით. შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დასჯადობა წმინდა წყლის თბიქტური შერაცხვაა. „ან უნდა უარვყოთ ამოსავალი დებულება, რომლის

⁴ ა. ფოიერბახის თეორია ვადმოცემულია ტავანცევის მიხედვით, *об. Н. С. Таганцев. Русское уголовное право, Лекции. Часть общая, т. I, С.П., 1902, стр. 611.*

⁵ *об. იქვე, გვ. 611—612.*

⁶ *Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право. Пособие к лекциям. Часть общая, Петроград, 1915, стр. 270—271.*

⁷ ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გაუფრთხილებლობითი ბრალის თეორიების კრიტიკული განხილვა. *об. ამის შესახებ: В. Г. Макашвили. Уголовная ответственность, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 43—58.*

⁸ *E. Kohlrausch, Die Schuld, «Die Reform des Reichsstrafgesetzbuchs», В. I, Berlin, 1910, S.S. 183—184.*

⁹ *იქვე, გვ. 184.*

მიხედვით ბრალი არის დადებითი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან, ანდა უნდა ვაღიაროთ, რომ შეუცნობელი გაუფრთხილებლობა არ შეიცავს ბრალის თვისებას.¹⁰

ასევე გახედულად ილაშქრებს შეუცნობელი გაუფრთხილებლობის ბრალეული ხასიათის წინააღმდეგ ა. ბაუმგარტენი. ბაუმგარტენის აზრით, სასჯელი ცნდეტერმინიზმის თვალსაზრისით (ბაუმგარტენი მომხრეა სასჯელის — სამაგიეროს მიზლისა) მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, როდესაც პიროვნების ნებისყოფა იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს განზრახ ბრალს, რადგანაც ამ შემთხვევაში პირის ნებისყოფა მიმართულია ისეთ შედეგებზე, რომელთა განხორციელება აკრძალულია.¹¹ მაგრამ ასეთი ნებისყოფა არ არსებობს გაუფრთხილებლობის, განსაკუთრებით შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს. აქ შეიძლება საქმე გვექონდეს ადამიანის ფსიქიკურ ძალთა ნაკლოვანებასთან, სისულელესთან. სისულელე უბედურებაა, რომლისთვისაც ადამიანს ვერ გავკიცხავთ.¹² „ვინც იზიარებს სამაგიეროს მიზლის თეორიას, რომელიც ინდეტერმინიზმზეა დაფუძნებული, იმისთვის ეჭვს გარეშეა, რომ შეუცნობელი გაუფრთხილებლობა გაქვევებულ უნდა იქნეს ნამდვილი სისხლის სამართლის სფეროდან.“¹³

მიუხედავად იმისა, რომ კოლრაუშსა და ბაუმგარტენს თითო-ოროლა მომხრე ჰყავდა,¹⁴ ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარება არ წავიდა იმ მიმართულებით, რომელიც ამ მეცნიერებმა დასახეს, სახელდობრ, არ იქნა გაზიარებული ის აზრი, რომ შეუცნობელი გაუფრთხილებლობა არ შეიცავს ბრალის ნიშნებს და იგი გაქვევებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის სფეროდან. მაგრამ ამავე დროს მტკიცედ მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ შეუცნობელი გაუფრთხილებლობით მოქმედ პირს არა აქვს არავითარი ფსიქიკური დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი. „ყოველგვარი ცდა, — აცხადებს მავალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი ა. დონა, — გაუფრთხილებლობით ქმედობაში რაიმე ფსიქიკური დამოკიდებულების აღმოჩენისა და ამ ნიშანში ბრალის საერთო ნიშნის ძიებისა, საბოლოოდ უვარგის მცდელობად უნდა ჩაითვალოს.“¹⁵ მაშ სად უნდა ვექებოთ ბრალის არსი, რა არის ის საერთო, რაც შესაძლებლობას იძლევა გაერთიანდეს განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის საერთო ცნებაში?

ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში ჩნდება ახალი თეორია, რომელიც ცნობილია ბრალის შეფასებითი, ნორმატიული თეორიის სახელწოდებით და რომელიც ასე უპასუხებს წამოჭრილ კითხვაზე: ბრალის არსი არ შეიძლება ვექებოთ დამნაშავეს ფსიქიკაში. ბრალი წმინდა შეფასებითი, ნორმატიული მსჯელობაა, რომელიც გამოხატავს პიროვნების უარყოფით შეფასებას. თუ განზრახვის დროს დამნაშავეს პიროვნების უარყოფითი შეფასება

¹⁰ იქვე, გვ. 208. კოლრაუშის შეხედულების დაწვრილებით კრიტიკას იძლევა ვ. მაყაშვილი ზემოთ დასახელებულ ნაშრომში გაუფრთხილებლობის შესახებ, გვ. 50—54.

¹¹ A. Baumgarten, *Der Aufbau der Verbrechenslehre*, Tübingen, 1912, S. 118.

¹² იქვე, გვ. 119.

¹³ იქვე, გვ. 120—121.

¹⁴ იხ. მავალითად, O. A. German, *Über den Grund der Strafbarkeit des Versuch*, Aarau, 1914, S.S. 184—185; Guldinmann, *Zur Lehre von der strafrechtlich bedeutsamen Kausalität*, „Schweizerische Zeitschrift für Strafrecht“, 1945, H. I, S.S. 118—120.

¹⁵ A. Dohna, *Deutsches Strafrecht, Grundriß*, Berlin, 1941, S. 113.

დაკავშირებულია იმასთან, რომ მას აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება მართლ-საწინააღმდეგო შედეგთან, შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს დამნაშავეის პიროვნების უარყოფითი შეფასება დამოკიდებულია, პირიქით, იმასთან, რომ მას არა აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ გამოწვეულ მართლ-საწინააღმდეგო შედეგთან. „გაუფრთხილებლობა, ისევე როგორც უმოქმედობა, განისაზღვრება თვით პოზიტიურ წანამძღვრებში მხოლოდ შეფასების თი მსჯელობის მხრივ. არავითარი „ბუნებრივი“ გაუფრთხილებლობა არ არსებობს“.¹⁶

ამიტომ პირველი მიზეზი, რის გამოც ბურჟუაზიული კრიმინალისტები იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ ბრალის თეორიაზე, იყო ის, რომ მათ ვერ შეძლეს აღმოეჩინათ სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს.

მაგრამ შეძლო თუ არა ბრალის ნორმატიულმა თეორიამ დაესაბუთებინა ბრალი შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს? განა ეს ბრალის არსის დახასიათებაა, როდესაც იმეორებენ, რომ შეუცნობელი გაუფრთხილებლობა გასაკიცხია, რომ იგი ეწინააღმდეგება მოვალეობას, და ამავე დროს არ მიუთითებენ, რა არის გასაკიცხი, რა ფაქტიური შინაარსი გვაძლევს უფლებას გამოვაცხადოთ იგი მოვალეობის საწინააღმდეგოდ და გასაკიცხად? ასეთი გაკიცხვისათვის, ჩვენი აზრით, საკმარისი არ არის ის წმინდა ჰიპოთეზური მსჯელობა, რომ სათანადო ყურადღებიანობის შემთხვევაში სუბიექტი შეძლებდა გაეთვალისწინებინა მანვე შედეგი და აეცდინა იგი. როგორც მართებულად აღნიშნავს ე. მაყაშვილი, გაუფრთხილებლობით მოქმედი დამნაშავეის სამართლებრივი და ზნეობრივი გაკიცხვისათვის „პირველად ყოვლისა, აუცილებელია მოქმედი პირის ფსიქიკაში, მის შინაგან განწყობილებაში აღმოვაჩინოთ ის მომენტები, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდეს გაკიცხვა. უამისოდ არ შეიძლება არსებობდეს ბრალი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“.¹⁷

მეორე მოსაზრება, რომელიც წამოყენებული იყო ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის წინააღმდეგ, ასეთი იყო: არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც, მიუხედავად „ბუნებრივი განზრახვის“ არსებობისა, ე. ი. მიუხედავად მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებისა და სურვილისა, მაინც გამოირიცხავს ბრალის არსებობას. ეს არგუმენტი 1907 წელს თავდაპირველად თავის ნაშრომში „Über den Aufbau des Schuldsbegriffs“ წამოაყენა გერმანელმა კრიმინალისტმა რ. ფრანკმა, რომელიც ბრალის ნორმატიული თეორიის ფუძემდებლად ითვლება. გერმანიის 1871 წლის სისხლის სჯულების 54-ე პარაგრაფის¹⁸ ანალიზის საფუძველზე ფრანკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ არის შემთხვევები, როდესაც

¹⁶ E. Mezger, Deutsches Strafrecht, Grundriss, Berlin, 1941, S. 113.

¹⁷ ე. მაყაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 57. აღსანიშნავია, რომ ნორმატიული თეორიის ამ ნაკლს ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტიც გრძნობს. აი, მაგალითად, რას ამბობს ა. კაუფმანი: „დახასიათება ბრალისა, როგორც გასაკიცხაობისა, არაფერს არ გვეუბნება პირის ბრალზე. ვინაიდან გასაკიცხაობის ცნება სახეებით და მთლიანად ფორმალური და უშინაარსოა, და ამიტომ ისეთ სფეროს მიეკუთვნება, რომელიც მდებარეობს ბრალის ცნების მატერიალური შინაარსის (სინამდვილის) მიღმა“ (A. Kaufmann, Das Schuldprinzip, Heidelberg, 1961, S. 177).

¹⁸ აღნიშნული პარაგრაფი შეეხება უკიდურესი აუცილებლობის იმ შემთხვევებს, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია ტრაგიკული კოლოზის სახელწოდებით.

სუბიექტმა შეგნებულად და თავისი სურვილით გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო შედეგი და წინც მის მოქმედებაში ბრალი არ იყო. აქედან ფრანკმა გამოიტანა დასკვნა: მიშასადამე ბრალის ძირითადი ნიშანია არა მოქმედი პირის ფსიქიკური კავშირი შედეგთან, რომელიც შემადგენლობას შეესაბამება, არამედ ობიექტური მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სუბიექტი მოიქცა მოვალეობის საწინააღმდეგოდ, თუმცა მას ქმედობის მომენტში მოეთხოვებოდა კანონის (მოვალეობის) შესაბამისად ემოქმედნა. თვით ფრანკი განსაზღვრავს ბრალს როგორც შემადგენლობის შესაბამისი უმართლობის გასაკიცხაობას. ეს ნორმატიული მსჯელობა ბრალზე ერთნაირად შეიძლება შეეხებოდეს როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას. ამრიგად, ბრალი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური პროცესიდან ობიექტურ-შეფასებით მსჯელობად გარდაიქმნა, დამწავის ფსიქიკიდან „შემფასებელი სუბიექტის“ ფსიქიკაში გადავიდა.¹⁹

ბურჟუაზიული ჰეცნიერების შემდგომი განვითარება ფრანკის მიერ დასახულ გზით წავიდა. ბრალის ნორმატიული თეორიის მეორე ფუძემდებლად ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში ითვლება ი. გოლდშმიტი, რომელმაც განავითარა თავისი შეხედულება შრომაში „უკიდურესი აუცილებლობა — ბრალის პრობლემა“ „Der Notstand — ein Schuldproblem“, 1913). გოლდშმიტის აზრით, არსებობს ორი სახის ნორმები: ნორმები, რომლებიც მოითხოვენ ადამიანისაგან განსაზღვრულ მოქმედებას (შეფასებითი ნორმები) და რომელთა დარღვევაც ასაბუთებს ქმედობის ობიექტურ უმართლობას, და ნორმები, რომლებიც ავალდებულებენ ადამიანს ისე წარმართოს თავისი შინაგანი, ფსიქიკური საქმიანობა, რომ მიუსადაგოს იგი იმ მოთხოვნებს, რაც გარეგან საქციელს შეესაბამება. ამ მეორე კატეგორიის ნორმებს გოლდშმიტი მავალეობელ ნორმებს უწოდებს (Pflichtsnormen). ბრალი სწორედ ამ მავალეობელი ნორმის დარღვევაში გამოიხატება. ყოველი განზრახვი მოქმედება როდი წარმოადგენს მავალეობელი ნორმის დარღვევას და, მაშასადამე, ბრალეულ ქმედობას. უკიდურესი აუცილებლობის (ტრაგიკული კოლოზიის) შემთხვევაში ქმედობა მართლსაწინააღმდეგო და განზრახვი, მაგრამ ბრალეული არ არის, ვინაიდან ამ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტს ვერ მოვთხოვთ, რომ იგი სწორად, ე. ი. ნორმის შესაბამისად მოქმედებდეს. თუმცა პირი ამ დროს არღვევს შეფასებითი ხასიათის ნორმას, მაგრამ იგი არ არღვევს მავალეობელ ნორმას, ვინაიდან ტრაგიკული კოლოზიის მდგომარეობაში მოქმედება წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ გარემოებას.²⁰

შემდგომი ნაბიჯი ამავე მიმართულებით გადადგა ბურჟუაზიულმა კრიმინალისტმა ფროედენტალმა (Freudentals, Schuld und Vorwurf, 1922). თუ გოლდშმიდტი ლაპარაკობდა ბრალის გამომრიცხვად გარემოებებზე (უკიდურესი აუცილებლობა, ფსიქიკური იძულება და ა. შ.), ფროედენტალმა ყველა ეს გარემოება გააერთიანა ერთ საერთო პრინციპად, რომელსაც Unzumutbarkeit უწოდა. ეს ტერმინი, რომლის გადმითარგმნა ქართულ ენაზე არ მოხერხდა, იმის აღმნიშვნელია, რომ განზრახვი და გაუფრთხილებელი ქმედობა თავისთავად

¹⁹ ფრანკის თეორია გადმოცემულია რ. მაურახის წიგნის მიხედვით. იხ. R. Maurach, *op. cit.*, SS. 302-303.

²⁰ ი. გოლდშმიდტის თეორია გადმოცემულია ლისტ-შმიდტის სახელმძღვანელოს მიხედვით. იხ. Franz Listz-Eberhart Schmidt, *Lehrbuch des deutschen Strafrechts*, Berlin und Leipzig, 1927, S.S. 209-212.



შეიძლება არ ჩაითვალოს გაკიცხვის ღირსად და მასასაღამე ბრალად, თუ სუბიექტს ამ პირობებში არ მოეთხოვებოდა მართლზომიერი მოქმედება. მასასაღამე, განზრახვასა და გაუფრთხილებლობასთან ერთად გასაკიცხაობას აფუძნებს ის, რომ პირს მოეთხოვება (Zumutbarkeit) მართლზომიერი მოქმედება.²¹

ბრალის ნორმატიულმა თეორიამ თავისი შემდგომი განვითარება მ. ე. მაიერის²², ო. ბერგის,²³ ე. შმიდტის,²⁴ ე. მეცგერის²⁵ და სხვათა შრომებში მოიპოვა. ბრალის ცნება, ამ ავტორების შეხედულებით, კომპლექსურ ცნებას წარმოადგენს. ამ ცნებიდან გამომქვედებული არ არის ბრალის ფსიქოლოგიური მხარე, არამედ ფსიქოლოგიური მომენტები გაერთიანებულია ნორმატიულ მომენტთან, თანაც ამ უკანასკნელს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრალის ცნების აგებისათვის. ბრალის ამგვარ კომპლექსურ ცნებაში ბურჟუაზიულ კრიმინალისტებს შეაქვთ შემდეგი ელემენტები: 1) შერაცხადობა, 2) განზრახვა და გაუფრთხილებლობა, 3) არარსებობა ბრალის გამომრიცხველი განსაკუთრებული გარემოებებისა და, რაც მთავარია, 4) უარყოფითი შეფასებითი მსჯელობა (გასაკიცხაობა, Vorwerfbarkeit). ამ კომპლექსურ ცნებაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს ან საფეხურებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მისი ელემენტები ანუ შეფასებით მსჯელობის წინამძღვრები არიან. „ის, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა გაგებულ უნდა იქნენ არა როგორც ბრალის ფორმები, არამედ როგორც ბრალზე მსჯელობის წინამძღვრები, ესლა უკვე ეჭვს გარეშეა“, — აცხადებს ო. ბერგი.²⁶

შემდგომი გადაწყვეტი ნაბიჯი ბრალის ცნებიდან ფსიქოლოგიური მომენტის გაქვედების მიმართულებით გადადგა ა. ღონამ. თავის ნაშრომში დანაშაულის ცნების აგების შესახებ ღონა ამ ცნებას ორ მკვეთრად განსხვავებულ ნაწილებად ყოფს: „შეფასების ობიექტად“ და „ობიექტის შეფასებად“. „შეფასების ობიექტს“, ა. ღონას აზრით, მიეკუთვნება ობიექტური შემადგენლობა (მოქმედება და უმოქმედობა) და სუბიექტური შემადგენლობა (განზრახვა და გაუფრთხილებლობა). „ობიექტის შეფასებას“ კი, ერთის მხრივ, მართლწინააღმდეგობა, ხოლო, მეორე მხრივ — ბრალი. „ბრალზე მსჯელობის, ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის დადგენის დროს, ჩვენ საქმე გვაქვს შეფასების შედეგთან, ოღონდ მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობის დროს ჩვენ ვაფასებთ ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო ბრალის დადგენისას — სუბიექტურ შემადგენლობას“.²⁷

მიუხედავად იმისა, რომ ღონამ ასე მკვეთრად დაუბრისპირა ბრალი, როგორც შეფასება, განზრახვას და გაუფრთხილებლობას, როგორც შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს, ეს უკანასკნელნი მისთვის მაინც ბრალის თაობაზე შეფასებითი მსჯელობის, ე. ი. გასაკიცხაობის ობიექტს წარმოადგენენ.

²¹ ფრედენტალის შეხედულება აღმოცენებულია მუთრახის მიხედვით, დასახ. ნაშრ., გვ. 303.

²² M. E. Mayer, Der Allgemeine Teil des Deutschen Strafrechts, Lehrbuch, Heidelberg, 1915, S. 319-325.

²³ O. Berg, Der gegenwertige Stand der Schuldlehre, Breslau, 1921.

²⁴ ფ. ლისტი — ებ. შმიდტი, დასახ. ნაშრ., გვ. 207—223.

²⁵ E. Mezger, Strafrecht, Ein Lehrbuch, 1931, S. 249 f. f.

²⁶ ო. ბერგი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

²⁷ A. Dohna, Der Aufbau der Verbrechenslehre, Bonn, 1936, S. 31.

სრული გამოძევება ბრალის სფეროდან განზრახვისა და გაუფრთხილებლობისა და კიდევ უფრო მკვეთრი დაპირისპირება შემადგენლობის ფაქტიური მხარისა და შეფასებითი მსჯელობისა, — უნდა ჩაითვალოს „მოქმედების შესახებ ფინალური მოძღვრების“ „დამსახურებად“.

„ფინალური მოძღვრების“ მიმდევარნი გადაჭრით ილაშქრებენ ბრალის „კომპლექსური ცნების“ წინააღმდეგ, რომელიც მათმა წინამორბედებმა, ნორმატიული სკოლის შედარებით უფრო ზომიერმა წარმომადგენლებმა შეიმუშავეს. მათ მიაჩნიათ, რომ ბრალის ერთიან ცნებაში ფსიქოლოგიური მომენტებისა და შეფასებითი მსჯელობის მოთავსება ორი სრულიად გეტეროგენული ელემენტის უპრინციპო გაერთიანებაა.²⁸ — ან ბრალი გაგებულ უნდა იქნეს როგორც მოქმედის ფსიქიკაში მიმდინარე ფსიქოლოგიური პროცესი, როგორც „შეფასების ობიექტი (დონა)“, — მაგრამ ეს იქნებოდა მიბრუნება ბრალის ნატურალისტური ცნებისაკენ, რომლის უვარგისობა უკვე დამტკიცებულია. ანდა ბრალი გაგებულ უნდა იქნეს... როგორც „ობიექტის შეფასება“, — მაგრამ ამ შემთხვევაში ბრალი შეიძლება იყოს მხოლოდ ობიექტური მსჯელობა მოქმედის თაობაზე, მსჯელობა, რომელიც მოქმედის აქტიურ დამოკიდებულებას შედეგისადმი, ე. ი. განზრახვას ქმედობის დამახასიათებელ ნიშნად თვლის.“²⁹

ფინალური თეორიის წარმომადგენლებს დონას დამსახურებად მიაჩნიათ ის, რომ მან მკვეთრად გამოჰყო განზრახვა და გაუფრთხილებლობა შეფასებითი მსჯელობისაგან, მაგრამ მისი მოძღვრების ნაკლად მიაჩნიათ, რომ დონამ ვერ შესძლო მიეთითებინა, თუ რა ადგილი უჭირავს ბრალის ცნებიდან გამოყოფილ ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულის სისტემაში.

თვით ფინალისტებს თავისი თეორიის უდიდეს ღირსებად მიაჩნიათ, რომ მათ მოუძებნეს განზრახვას და გაუფრთხილებლობას შესაბამისი ადგილი დანაშაულის სისტემაში. „დონას ინიციატივა, — აღნიშნავდა ფინალური მოძღვრების მამამთავარი ველცელი, — განავითარა შემდგომ ფინალურმა მოძღვრებამ მოქმედების შესახებ, რომელმაც უთავშესაფროდ დარჩენილ განზრახვას დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის მოქმედებაში მიუჩინა ჭიროვანი ადგილი.“³⁰

ფინალური მოძღვრების წარმომადგენლები გადაჭრით უარყოფენ ძველი სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი უმართლობა ორ ნაწილად იყოფა: ობიექტურ უმართლობად და სუბიექტურ უმართლობად, თანაც ობიექტურ უმართლობას (მართლწინააღმდეგობას) მიეკუთვნება მოქმედების მხოლოდ გარეგანი, ობიექტური ელემენტები, ხოლო სუბიექტურს (ბრალს) — მხოლოდ სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ელემენტები.

აღსანიშნავია, რომ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ასეთი მკვეთრი დაპირისპირება ფინალისტებზე ადრე ნორმატიული სკოლის უფრო ადრინდელი წარმომადგენლების მიერ იყო გაკრიტიკებული. მ. ე. მაიერმა,³¹ ე. მეცგერმა³²

²⁸ იხ. რ. მაურახი, დასახ. ნაშრ., გვ. 305.

²⁹ იქვე, გვ. 305.

³⁰ H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Göttingen, 1957, S. 40, იხ. აგრეთვე: H. Welzel, Das Deutsche Strafrecht, 11, Aufl., Berlin, 1969, S. 140.

³¹ M. E. Mayer, Der allgemeine Teil des deutschen Strafrechts, Lehrbuch, Heidelberg, 1915, S.S. 185-188.

³² Edmund Mezger, Strafrecht, Ein Lehrbuch, 3. Aufl., Berlin und München, 168-173; იხილეთ, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950, S.S. 22-28.

და სხვ. დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის უმართლობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს წმინდა ობიექტურად, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული სუბიექტურ-ფსიქიკური მომენტები. ეს არის ისეთი შემადგენლობები, რომლებისთვისაც კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს დანაშაულის მიზანს (ე. წ. გულზრახვითი დანაშაული, **намеренные деликты**). მაგალითად, სხვისი ნივთის ამოღება სხვისი მფლობელობიდან ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქურდობის შემადგენლობის განხორციელებას; იგი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ქურდობად, როდესაც სუბიექტურ ფაქტს (ამ ნივთის აღებას) ნივთის მითვისების მიზანი დაემატება.

შემდგომი გამოკვლევებით გამოირკვა, რომ სუბიექტურ ელემენტებს მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ე. წ. „გულზრახვითი დელიქტების“ მართლწინააღმდეგობის დასაბუთებისათვის, არამედ აგრეთვე დანაშაულის მცდელობის მართლწინააღმდეგობისთვისაც: თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული მოქმედი პირის სუბიექტური გადაწყვეტილება, ე. ი. თუ გარკვეული არ იქნება, რა დანაშაულისაკენ მიისწრაფოდა სუბიექტურად დამნაშავე, ვერც კი გავიგებთ, რომელი დანაშაულის შემადგენლობის მცდელობა განახორციელა სუბიექტმა. „თუ ერთმა ადამიანმა მეორეს ესროლა, — ამბობს ველცელი, — იმის დადგენა, ეს მოქმედება მკვლელობის მცდელობაა თუ სხეულის დაზიანების მცდელობა თუ უბრალოდ ნებადაურთავ ადგილას სროლა, — შეიძლება მხოლოდ მოქმედის განზრახვის მიხედვით. განზრახვა უეჭველად შემადგენლობის ნიშანია, ურომლისოდაც შეუძლებელია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა გარეგანი ქმედობა დანაშაულის შემადგენლობას. მაშასადამე თვით გაბატონებული შეხედულებითაც განზრახვა მცდელობის დროს უმართლობის სუბიექტური ელემენტია.“³³ ხოლო თუ განზრახვა მცდელობის დროს ბრალს კი არ ეკუთვნის, არამედ მართლწინააღმდეგობას, მაშინ, ველცელის აზრით, მან ეს ფუნქცია იმ შემთხვევაშიც უნდა შეინარჩუნოს, როდესაც მოქმედება მცდელობის სტადიიდან დამთავრებული დანაშაულის სტადიაში გადავა.“³⁴ ამრიგად, თუ ნორმატიული სკოლის ადრინდელი წარმომადგენლებისათვის მართლწინააღმდეგობას, როგორც წესი, განსაზღვრავენ დანაშაულის ობიექტური ელემენტები, ხოლო სუბიექტური, ფსიქიკური ელემენტები ამ როლს მხოლოდ გამოხატვის სახით ასრულებენ,³⁵ ფინალური თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა ყოველთვის განისაზღვრება სუბიექტური ელემენტებითაც, კერძოდ, განზრახვით.

განზრახვა, რომელიც ფინალური მოძღვრების წარმომადგენლებმა მთლიანად მოქმედების სფეროში გადაიტანეს და მართლწინააღმდეგობის პერსონალურად ცნების ერთ-ერთ აუცილებელ წინამძღვრად აღიარეს, მათი აზრით, მოკლებულია ყოველგვარ შეფასებით ელემენტს. იგი შედის „შეფასების ობიექტის“ და არა „ობიექტის შეფასების“ სფეროში. ასე გაგებული განზრახვა აღარ არის „ბოროტი განზრახვა“, „dolus malus“, როგორც იგი ტრადიციული მოძღვრების თანახმად ითვლება, არამედ იგი არის „ბუნებრივი განზრახვა“, რომელიც არ შეიცავს გასაკიცხაობის მომენტს, რაც ბრალის აუცილებელ ელემენტს წარ-

³³ H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Göttingen, 1957, S. 26.

³⁴ იქვე, 83. 26.

³⁵ Edmund Mezger, Strafrecht, Ein Lehrbuch, 3. Aufl., Berlin und München, 1949,

მოადგენს. „არაფინალურ მოძღვრებად ქმედობის შესახებ, — წერს რ. მაურახი, — უნდა ჩაითვალოს ყველა შეხედულება, რომელიც განზრახვას ბრალის შემადგენელ ელემენტად თვლის, — თანმიმდევრული ფინალისტი მხოლოდ ის არის, ვინც განზრახვას განიხილავს როგორც ბუნებრივ განზრახვას, ე. ი. როგორც ფენომენს, რომელიც მხოლოდ ქმედობის შემადგენლობას ეკუთვნის, ხოლო არაფინალისტია ის, ვისაც განზრახვა ესმის ტრადიციულად როგორც *dolus malus*, შერაცხვის უნარი — როგორც განზრახვის წარმოშობის წინამძღვარი“...³⁶

აქედან დასკვნა: თუ განზრახვა არ არის ბრალის ფორმა ან, თუნდაც, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, თუ განზრახვა არ არის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო ქმედობასთან, არამედ ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებული ბუნებრივი ფსიქიკური პროცესი, რომელიც არსებითად ნიშნავს მხოლოდ სუბიექტის ნებას იმოქმედოს. განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, მაშინ შერაცხვის უნარი არ შეიძლება წარმოადგენდეს მის აუცილებელ წინამძღვარს. თუ გაბატონებული მოძღვრების თანახმად „განზრახ“ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით შეიძლება იმოქმედოს მხოლოდ შერაცხვის უნარის მქონე პირმა, ფინალური თეორიის მიხედვით განზრახ შეიძლება იმოქმედოს როგორც შერაცხადმა, ისე შეურაცხმა პირმაც.³⁷

განზრახვის მსგავსად, შემადგენლობის ელემენტად და, მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის თაობაზე მსჯელობის ობიექტად განიხილავენ ფინალისტები აგრეთვე გაუფრთხილებლობასაც. „უკანასკნელ დრომდე, — ამბობს ველცელი, — გაუფრთხილებლობა არასწორად განიხილებოდა როგორც ბრალის ელემენტი. ამჟამად კი სულ უფრო და უფრო გზას იკვლევს ის შეხედულება, რომ ისეთი მზრუნველობის მოთხოვნა, რომელიც სუბიექტს ობიექტურად მოეთხოვება, არის უმართლობის და არა ბრალის პრობლემა“.³⁸ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგენილ იქნება ობიექტურად სავალდებულო მზრუნველობა (ე. ი. მართლწინააღმდეგობა), უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა გაუფრთხილებლობით მოქმედი გაიკიცხოს სავალდებულო მზრუნველობის დარღვევისათვის“.³⁹

მაგრამ იბადება კითხვა: თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენენ არც ბრალის ფორმებს და არც მის შემადგენელ ელემენტს, თუ ისინი ჰართლწინააღმდეგობაზე მსჯელობის ობიექტნი არიან, მაშინ რა ადგილი უჭირავთ ამ ცნებებს დანაშაულის ცნების სისტემაში და რა არის ბრალის არსი?

ამ კითხვებზე ფინალისტები უპასუხებენ:

1) განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც მოქმედების ცნებაში შედიან და ამდენად მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობის საგანი არიან.

2) ბრალი არის უარყოფითი მსჯელობა ნებისყოფის არასწორი წარმართვის შესახებ, პერსონალური გაიკიცხვა; მიმართული პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც იმას გამოხატავს, რომ პიროვნება არასწორად მოქმედებდა, თუმცა შეეძლო ნორმის შესაბამისად ემოქმედნა.⁴⁰

³⁶ რ. მაურახი, *დსახ. ნაშრომი*, გვ. 143.

³⁷ რ. მაურახი, *დსახ. ნაშრომი*, გვ. 218.

³⁸ H. Welzel, *Das neue Bild des Strafrechtssystems*, Göttingen, 1957, S.S. 31–32.

³⁹ იქვე, გვ. 32.

⁴⁰ იხ. H. Welzel, *Das deutsche Strafrecht*, Berlin, 1969, S. 141.

აქედან დასკვნა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა განსხვავდებიან ერთნაირებისაგან არა ბრალის, არამედ მართლწინააღმდეგობის ასპექტში. ბრალი კი წმინდა პერსონალური საყვედურია პიროვნების წინააღმდეგ. „ბრალის კონსტიტუციურ ელემენტს, — ამტკიცებს ჰ. ველცელი, — მხოლოდ გასაკიცხაობა წარმოადგენს (Vorwerfbarkeit). ეს გადაწყვეტი ახალი მომენტი, რომელიც უერთდება ქმედობას და მას ბრალეულობის თვისებას ანიჭებს.“⁴¹

ამგვარად ბრალის შესახებ მოძღვრების განვითარება ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში იმ მიმართულებით წავიდა, რომ ბრალის ფორმები — განზრახვა და გაუფრთხილებლობა თავდაპირველად ბრალის შესახებ ნორმატიული მსჯელობის საგნად გადაიქცნენ, შემდეგ კი სრულიად გაიყვებულ იქნენ ბრალის ცნებიდან, ხოლო ბრალის ცნებაში მარტოოდენ წმინდა ნორმატიული მომენტი (გასაკიცხაობა, Vorwerfbarkeit) დარჩა. თანაც თუ ნორმატიულ სკოლას განზრახვა და გაუფრთხილებლობა, სხვა მომენტებთან ერთად, შეფასებითი მსჯელობის ობიექტად მაინც მიაჩნდა, ფინალისტებისათვის ისინი უკვე შეფასების ობიექტსაც აღარ წარმოადგენენ. უარყოფის მსჯელობას პიროვნების გასაკიცხაობის, ე. ი. ბრალის შესახებ, ფინალისტების აზრით, შემდეგი წინამძღვრები აქვთ: 1) სწორად მოქმედების შესაძლებლობა. „გასაკიცხაობა“ გულისხმობს; რომ არამართლზომიერად მოქმედების გადაწყვეტილების მაგივრად სუბიექტს შეიძლებოდა ჰქონოდა სწორი, ჯეროვანი გადაწყვეტილება...⁴² (ნებისყოფის თავისუფლება). 2) სუბიექტს შეგნებული უნდა ჰქონდეს ან შეიძლებოდა შეგნებული ჰქონოდა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა.⁴³

ბრალის ნორმატიული ცნება მიუღებელია სოციალისტური სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის. მიუღებელია არა იმიტომ, რომ მან ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტი შეიტანა, არამედ იმის გამო, რომ ბრალის ცნება მთლიანად შეფასებით მსჯელობამდე დაიყვანა და დამნაშავის ფსიქიკიდან მოსამართლის ფსიქიკაში გადაიტანა. ნორმატიულმა თეორიამ გაწყვიტა კავშირი დამნაშავის შინაგანი, ფსიქიკური ცხოვრების პროცესებსა და შეფასებით მსჯელობას შორის, რის გამოც შიშველი შეფასებითი მსჯელობა ჰაერში ჩამოეკიდა.

სინაღვილეში ბრალს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების რეალურ ფაქტებში აქვს თავის საფუძველი და არა შიშველ შეფასებით მსჯელობაში. შეფასებითი მსჯელობა, მსჯელობა გასაკიცხაობის შესახებ არ არის თვით ბრალი, არამედ ბრალის არსებობის შედეგია, დასკვნა იმის თაობაზე, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედობისადმი დანაშაულის ჩადენის დროს ბრალეული

⁴¹ H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Göttingen, 1957, S. 39.

⁴² H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, S. 42. ჯეროვანი გადაწყვეტილების შესაძლებლობა, ველცელის აზრით ვაგებულ უნდა იქნეს როგორც შესაძლებლობა, რომელიც უნდა ჰქონდეს არა საერთოდ ყოველ ადამიანს ანალოგიურ პირობებში, რაც ფაქტურად ჯერ არსობას ნიშნავს, არამედ როგორც შესაძლებლობა, რომელიც აქვს ამ კონკრეტულ ადამიანს ამ კონკრეტულ სიტუაციაში (იქვე). სწორედ ამიტომ ველცელის მიმდევარი ბუში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის განსხვავებას საფუძვლად უდებს ჯერარსობისა და შესაძლებლობის განსხვავებას. მისი აზრით „ჯერარსობის (მართლწინააღმდეგობის) და შესაძლებლობის (ბრალის) გამოიყვანით ჩვენ ვიღებთ უმარტივეს და საყოველთაოდ გამოსადეგ კრიტერიუმს“... (R. Busch, Moderne Wandlungen der Verbrechenlehre, Tübingen, 1949, S. 13).

⁴³ აქედან თანმიმდევრობით გამომდინარეობს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება ფინალისტებს მიაჩნიათ არა განზრახვის, არამედ ბრალის ელემენტად (ბრალის თეორია).

იყო და იგი იმსახურებს მორალურ გაკიცხვას, ხოლო პიროვნებამ პასუხი უნდა აგოს დანაშაულის ჩადენისათვის.⁴⁴ ამგვარად, ბრალი როდია მსჯელობის სუბიექტის თავში მიმდინარე პროცესი, არამედ დამნაშავის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესია, რომელიც არსებობს შეფასებისაგან დამოუკიდებლად. როგორც სწორად მიუთითებს ი. ბაუმანი, „მოქმედი პირი, რომელსაც სინდისი აქვს, ვანიცდის საკუთარ ბრალს როგორც სინამდვილეს მაშინაც კი, როდესაც მისი დანაშაული გაუხსნელი დარჩა და ამიტომ ქმედობისა და მოქმედის შეფასებას სულაც არ ჰქონია ადგილი“.⁴⁵

საბჭოთა ლიტერატურაში მართებულად იყო აღნიშნული, რომ ნორმატიული თეორიის მეთოდოლოგიური საფუძველი ნეოკანტიანიზმში უნდა ვეძებოთ. ბრალის ნორმატიული თეორია, რომელმაც გამოაძევა ბრალის ცნებიდან ყოველგვარი მატერიალური, ფსიქიკური ელემენტი, შედეგია არსობისა და ჯერარსობის მკვეთრი დაპირისპირებისა, რომელიც დამახასიათებელია ამ ფილოსოფიისათვის. „განსახილველ შეხედულებას საფუძვლად უდევს უკიდურესი სუბიექტივიზმი. ბრალის ცნება, რომელიც მოწყვტებს თავის რეალურ საფუძველს — ფსიქოლოგიურ შინაარსს, გადაქცეულია ყოველგვარ იურიდიულ გარკვეულობას მოკლებულ შეფასებით, მსჯელობად. ბრალის — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამ უმნიშვნელოვანესი საფუძვლის — დადგენა დაკავშირებულია არა მოქმედის განსაზღვრულ ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან, არამედ მოსამართლეთა მსოფლმხედველობასთან, მათ პოლიტიკურ და „მორალურ“ რწმენასთან, ინტერესთან, გემოვნებასთან“.⁴⁶

ვინაიდან გასაკიცხაობის მომენტს არავითარი მატერიალური შინაარსი არა აქვს და იგი სავსებით ფორმალური ბუნებისაა, ბრალის ასეთი ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის სავსებით გათვალისწინებით. და მართლაც თეორიიდან უკვე პრაქტიკაშიც თანდათანობით შეიპარა ის აზრი, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა საჭირო არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ასეთი დასკვნა უკვე გააკეთა დასავლეთ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ სიმფერალეში ჩადენილი დანაშაულის მიმართ (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 330). „ამავე დროს უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის ბრალი არ გამოიხატება არც განზრახვის, და არც გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიურ ელემენტში, არამედ ემატება როგორც გასაკიცხაობა ამ შინაგან პროცესებს. ბრალის ასეთი გაგება არ გამოირიცხავს შესაძლებლობას გაკიცხვით პირი ისეთი შედეგისათვის, რომელიც არ არის მოცული არც განზრახვით, არც გაუფრთხილებლობით“.⁴⁷ ფაქტიურად ობიექტური შერაცხვა არის პროკლამირებული აგრეთვე ფედერალური გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებაში, სადაც ნათქვამია: „თუ პირს ბრალი მიუძღვის საფრთხის შექმნაში, იგი უნდა დაისაჯოს არა მარტო იმ მავნე შედეგისათვის, რომელსაც ითვალისწინებდა ან შეეძლო გაეთვალისწინებინა, არამედ იმ შედეგისთვისაც, რომლის

⁴⁴ В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 56.

⁴⁵ Baumann, Lehrbuch, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1960, S. 281. იხ. აგრეთვე, Hirschberg R., Schuldbegriff und adäquate Kausalität, Breslau, 1928. ან A. Kaufmann, Das Schuldprinzip, Heidelberg, 1961, S. 179.

⁴⁶ ვლ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

⁴⁷ ციტირებულია არტურ კაუფმანის მიხედვით, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ვინც ბრალეულად გააღო კარი, საიდანაც მრავალი სხვადასხვა ბოროტება შეიძლება შემოიპაროს, იგი პასუხს აგებს ყოველი ფაქტიურად განხორციელებული მავნე შედეგისათვის, თუნდაც მისი გათვალისწინება შეუძლებელი იყოს.⁴⁸ დაბოლოს, შეიძლება მოვიტანოთ იმავე სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ ბრალი არ არის აუცილებლად დაკავშირებული განზრახვასთან ან გაუფრთხილებლობასთან, არამედ შეიძლება მაშინაც არსებობდეს, როდესაც სუბიექტის დამოკიდებულება შედეგთან ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროსაც კი: „გაკიცხვა, კერძოდ შეიძლება დაკავშირებულ იქნეს ისეთ შედეგთან, რომლის გათვალისწინება პირს თუმცა არ შეეძლო, მაგრამ რომელიც წარმოიშვა საშიში მდგომარეობის ბრალეულად განხორციელების შედეგად“.⁴⁹

ამ დადგენილებიდან ნათლად ჩანს, რომ ბრალეული პასუხისმგებლობის იდეა თანდათანობით გადაიზარდა რისკისათვის პასუხისმგებლობის იდეაში. სისხლის სამართლის თეორეტიკოსებიდან რისკის იდეას იზიარებს თანამედროვე დასავლეთ გერმანელი კრიმინალისტი შვეიკერტი. „სისხლისსამართლებრივად რელევანტური, — ამბობს იგი, — შეიძლება იყოს არა მარტო განზრახვი ან გაუფრთხილებლობითი საქციელი, არამედ სარისკო ყოფაქცევა. ყოფაქცევის სამივე ფორმა შეიძლება გამოცხადებულ იქნეს რელევანტურად და გახდეს სისხლისსამართლებრივი გასაკიცხაობის ობიექტი“.⁵⁰ ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ახორციელებს სარისკო საქციელს, იგი ამით თავის თავზე კისრულობს რისკს იმ შედეგებისათვის, რომლებიც ასეთ საქციელს შეიძლება მოყვას.⁵¹ ერთადერთი პირობა, რომელსაც შვეიკერტი მოითხოვს სარისკო მოქმედების შედეგის შერაცხვისათვის, — ეს არის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი სარისკო მოქმედებასა და განხორციელებულ შედეგს შორის.⁵²

ამგვარად, თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში, ბრალის ნორმატიული თეორიის ზეგავლენით, ამჟამად გამოვლინდა ტენდენცია ბრალეული პასუხისმგებლობის უარყოფისა და ობიექტური შერაცხვის პრინციპისაკენ მიბრუნებისა. სისხლის სამართლის მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად სისხლის სამართალში მტკიცედ დამკვიდრდა, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება იყოს პირის შინაგანი, ფსიქიკური დამოკიდებულება განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი. მხოლოდ განზრახვითა და გაუფრთხილებლობით გამოვლინებული ფსიქიკური დამოკიდებულება ამართლებს პასუხისმგებლობას ზნეობრივი თვალსაზრისით. მინიმალურ ფსიქიკურ კავშირად, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც ზნეობრივად გასაკიცხი, ითვლება შეუცნობელი გაუფრთხილებლობა, რომლის დროსაც პირს აქვს სუბიექტური შესაძლებლობა საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათ-

⁴⁸ ციტირებულია ლანგ-ჰინრიხენის მიხედვით: Lang-Hinrichen, Zur Krise des Schuldgedankens im Strafrecht, «Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft, Bd. 73, 1961, S. 210.

⁴⁹ ციტირებულია ლანგ-ჰინრიხენის ნაშრომის მიხედვით, გვ. 210.

⁵⁰ H. Schweikert, Die Wardlungen der Tatbestandlehre seit Beling, Karlsruhe, 1952, S. 289.

⁵¹ იქვე, გვ. 87.

⁵² იქვე, გვ. 149 და შემდეგ.



ვალისწინებისა. შესაძლებლობის გარეშე არ არსებობს პასუხისმგებლობა. თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები, რომლებიც არ მოითხოვენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ფსიქიკურ დამოკიდებულებას კონკრეტული შედეგისადმი, შესარაცხად თვლიან ყოველგვარ მანვე შედეგს, რომელიც სარისკო მოქმედებას მოყვა, უბრუნდებიან საშუალო საუკუნეებში გავრცელებულ მოძღვრებას *versanti in re illieita imputantur omnia quae sequuntur ex delicto* (ვინც უკანონო საქციელი ჩაიდინა, პასუხს აგებს ყოველი შედეგისათვის, რაც ამ საქციელს მოყვა). საშუალო საუკუნეების ამ მოძღვრების თანახმადაც პირს პასუხი უნდა ეგო ყოველგვარი მანვე შედეგისათვის, თუნდაც ამ კონკრეტული, ნამდვილად განხორციელებული შედეგის მიმართ პირის გათვალისწინების შესაძლებლობაც არ ჰქონოდა. თვით აღიკვეთური მიზეზობრივი კავშირიც არ იყო უცხო შედეგის შერაცხვისათვის, ვინაიდან ზოგიერთი შუა საუკუნის იურისტის (მაგალითად, ბარტოლის) აზრით, სუბიექტი პასუხს აგებდა შედეგისათვის, თუ უკანონო მოქმედებას ასეთი შედეგის გამოწვევის ტენდენცია ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ბრალის პრინციპის უარყოფა თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში შენიღბული სახით ხდება. არავინ არ მოუწოდებს აშკარად ობიექტური შერაცხვისაკენ; ამბობენ მხოლოდ, რომ პასუხისმგებლობისათვის არ არის აუცილებელი განზრახვა და გაუფრთხილებლობა, არამედ საკმარისია სარისკო მოქმედება. მაგრამ განა საშუალო საუკუნეების იურისტები აშკარად აღიარებდნენ ბრალის გარეშე შერაცხვას? — რა თქმა უნდა, არა. „იმდროინდელი კულტურული შეხედულებების მიხედვით, — ლაპარაკობს ლანგ-ჰინრიქსენი, — ბრალად უკვე ის მიაჩნდათ, რომ სუბიექტმა სასჯელის ღირსი შედეგი გამოიწვია. ამ ასპექტში შედეგისათვის პასუხისმგებლობა ბრალად შერაცხვის აქტად მიაჩნდათ... მხოლოდ დროის განმავლობაში ბრალად შერაცხვა თანდათანობით სულ უფრო მეტად დაუკავშირდა სუბიექტურ წინამძღვრებს“.⁵³

ამიტომ ვასაგებია, რომ შედარებით უფრო დემოკრატიულად მოაზროვნე ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები აქტიურად გამოდიან უკიდურესი ნორმატიული თეორიის წინააღმდეგ, მიუთითებენ იმ საშიშ დასკვნებზე, რომლებიც ამ თეორიიდან გამომდინარეობს. ასე, მაგალითად, არტურ კაუფმანი, წერს: „იქ, სადაც იმ შეხედულებას იცავენ, რომ ბრალის არსს გასაკიცხაობა წარმოადგენს, რომ ბრალი ამ მომენტიტ ამოიწურება, — ბრალის პრინციპის სრული დეგრადაცია ხდება. და თუ მას მაინც აღიარებენ, — მხოლოდ სიტყვიერად. ვინც ბრალის პრინციპს სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს, მან ამ ცნებას მისი მატერიალური შინაარსი უნდა დაუკავშიროს“.⁵⁴

აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა იმაზე, რაც დამახასიათებელია ბრალის ნორმატიული თეორიისათვის საერთოდ. მაგრამ, გარდა ამისა, საჭიროა შევჩერდეთ ზოგიერთ მომენტზე, რომელიც დაკავშირებულია კერძოდ ფინალისტიკების თეო-

⁵³ ჰ. ლანგ-ჰინრიქსენი, დასახ. ნაშრ. გვ. 216. აი, მაგალითად, ერთ-ერთი ნორმატივისტიკი, თ. ბერგი ძველ გერმანულ სამართალში გაბატონებულ ობიექტურ პასუხისმგებლობას შედეგისათვის ბრალულ პასუხისმგებლობად თვლის, თანაც ამ უაზრო დებულებას იმით ასაბუთებს, რომ იმ დროს სუბიექტის გასაკიცხავად საკმარისი იყო მხოლოდ ზიანის მიყენების ფაქტი და შინაგანი დამოკიდებულება შედეგისადმი საჭირო არ იყო (იხ. თ. ბერგი; დასახ. ნაშრ., გვ. 77).

⁵⁴ არტურ კაუფმანი, დასახ. ნაშრ. გვ. 178.



რისთან ბრალის შესახებ. რამ იძულება ველცელე, რომელმაც საერთოდ თავისი მოძღვრება ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიაზე აავგო, აქ, ბრალის საკითხში მიმხრობოდა უკიდურეს ნორმატიულ თეორიას, რომელიც ნეოკანტიანურ ფილოსოფიას ეფუძვნება, და გაეძევებინა ბრალის ცნებიდან მისი ფსიქოლოგიური შინაარსი. ველცელი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, ვინაიდან თვით მოქმედება მას ესმის სუბიექტურ-ფინალური მნიშვნელობით, როგორც „სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობის განხორციელება“.⁵⁵

მოქმედების სფეროში გადატანილი განზრახვა, ცხადია, ყოველგვარ ეთიკურ მომენტს მოკლებულ, ინდიფერენტულ ცნებად გადაიქცა. ველცელის მიხედვით, ეს არის წმინდა ფსიქოლოგიური ცნება, რომელიც ძვეს კეთილისა და ბოროტის მიღმა. ველცელის მოწინააღმდეგე ედმუნდ შეცგერმა სავსებით სამართლიანად შენიშნა, რომ „ბუნებრივი განზრახვა“ და „ბუნებრივი გაუფრთხილებლობა“ არაბუნებრივი და მახინჯი ცნებებია.⁵⁶

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება და პრაქტიკა მტკიცედ იცავს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივ შეხედულებათა თანახმად პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ქმედობისათვის, რომლის მიმართ პირს ჰქონდა ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედების დროს. ეს ფსიქიკური დამოკიდებულება სწორედ განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში გამოიხატება. ფსიქიკური დამოკიდებულების ეს ორი სახე თვით შეიცავს საფუძველს მორალურ-პოლიტიკური ვაკიცხვისათვის. ვაკიცხვა კი არ არის ბრალი, არამედ ვასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება. განზრახვა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით ყოველთვის არის ბოროტი განზრახვა, dolus malus. იგი თავიდანვე შეიცავს უარყოფით შეფასებას, ვინაიდან სუბიექტი ითვალისწინებს თავისი დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტიურ ნიშნებს, სურს ან უშვებს ამ უმოქმედობის მაგნე შედეგს და შეგნებული აქვს მისი საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. სწორედ ამ ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც მთლიანად ფსიქიკურ სფეროში მიმდინარეობენ და რომლებშიც ვლინდება დამნაშავის ანტისოციალური განწყობილება დანაშაულის ჩადენის მომენტში, წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ეს ფსიქიკური პროცესი შევაფასოთ როგორც ბრალეული. იგივე უნდა ითქვას გაუფრთხილებლობაზეც. საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ისიც წარმოადგენს ფსიქიკურ სფეროში მიმდინარე პროცესს, რომელიც თვით იძლევა ამ პროცესის უარყოფითად შეფასების შესაძლებლობას.

129530

⁵⁵ H. Welzel, Das neue Bild., S. 3.

⁵⁶ E. Mezger, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950, S. 34

კ. მარქსის საბ. საქ. მხრ. სახელმწიფო რესპუბლიკა

ავტორთა უფლებები აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა 1973 წლის დებულებით

ა. ბარბოვსკი

1974 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებულია აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ახალი დებულება. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ამ დებულების საკვანძო საკითხებს.

ახალი დებულების 23-ე პუნქტით გამოგონება ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს, ავტორს კი მარტოდენ ავტორობა და კანონით გათვალისწინებული უფლებები და შეღავათები.

1973 წლის დებულება ზუსტად განსაზღვრავს (პ. 27) თუ რა ქმედობები იწვევენ ავტორის უფლებათა დარღვევას. ასე, მაგალითად, ორგანიზაციას ან პიროვნებას გამოგონება რეწვის მიზნით შეუძლია გამოიყენოს, თუ მას აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტის ნებართვა. ამრიგად, გამოგონების გამოყენება არა რეწვის, არამედ საკუთარი საჭიროებისათვის მიჩნეული არ არის ავტორის უფლებათა დარღვევად.

დებულების 62-ე პუნქტით სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს მიკვლეული გამოგონებისათვის იმ ორგანიზაციას, სადაც გამოგონებას მიაკვლიეს, ეძლევა ამ ფაქტის დამადასტურებელი მოწმობა, მაგრამ თვით საწარმოს არავითარი უფლებები არ ენიჭება. განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს (პ. 26), ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტი ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს ნებას და სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით განაგებს, თუ სად და როგორ გამოიყენონ ესა თუ ის გამოგონება.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები საავტორო მოწმობით დაცულ გამოგონებებს სახელმწიფოს, აგრეთვე საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ და ამისათვის საგანგებო ნებართვა არ ესაჭიროებათ. სხვა ორგანიზაციებს (მათ შორის უცხოურ ორგანიზაციებს) და პირებს შეუძლიათ გამოიყენონ საავტორო მოწმობით დაცული გამოგონება, ოღონდ ამ გამოგონებას კომერციული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.

ახალ დებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა უფლებებს, რომლებიც 1959 წლის დებულებასთან შედარებით უფრო გაფართოებული და დაკონკრეტებულია.

ეს უფლებები ერთდროულად არ წარმოიშობა. აღმოჩენის ავტორის უფლება განსხვავდება გამოგონებისა თუ რაციონალიზატორული წინადადების ავტორის უფლებებისაგან. მართლაც, თუ წინადადება აღმოჩენად აღიარეს და

ავტორს დიპლომი მისცეს, ერთდროულად წარმოიშობა როგორც ავტორობის, ისე საზღაურის მიღების უფლება. 109-ე პუნქტის თანახმად აღმოჩენისათვის საზღაურს 500 მანეთამდე ოდენობით ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტი და ავტორს გადაუხდის აღმოჩენის დიპლომის მიცემისას. გამოგონების შემთხვევაში კი ავტორობის უფლება წარმოიშობა მაშინ, როცა წინადადებას გამოგონებად აღიარებენ. საზღაურის მიღების უფლებისათვის ამას გარდა საჭიროა გამოგონების გამოყენების იურიდიული ფაქტი.

აღმოჩენების, გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა უფლებების წარმოშობისათვის საჭიროა შემდეგი იურიდიული ფაქტები:

წინადადება, კვალიფიცირებული იქნეს აღმოჩენად, გამოგონებად ან რაციონალიზატორულად.

წინადადება აღიარებულ იქნეს აღმოჩენად, გამოგონებად ან რაციონალიზატორულად.

გამოყენებულ უნდა იქნეს გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება.

ავტორობის უფლება წარმოიშობა:

აღმოჩენისა და გამოგონების ავტორისათვის — დიპლომის ან საავტორო მოწმობის გაცემის მომენტში;

რაციონალიზატორული წინადადების ავტორისათვის — მოწმობის გაცემის მომენტში.

1973 წლის დებულების მე-3 პუნქტი აწესებს, რომ აღმოჩენის, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის უფლება ენიჭება იმ მოქალაქეს, რომლის შემოქმედებითი შრომითაც მიკვლეულია აღმოჩენა, გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება. მაშასადამე, საავტორო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მოქალაქე.

დებულება აღმოჩენის ან გამოგონების ავტორად არ მიიჩნევს იურიდიულ პირს,¹ თუ ცალკეულ პირთა ავტორობის დადგენა შეუძლებელია.

აღმოჩენის, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის უფლება აბსოლუტური უფლებაა. ავტორად ჩაითვლება მხოლოდ ის პირი, ვინც დაცვით დოკუმენტშია აღნიშნული. ავტორობის უფლება განუსხვისებელია: არ შეიძლება, რომ იგი უანდერძოს ან სხვაგვარად გადასცენ სხვა პირს. პირის ავტორობას ვერაფერს ხელყოფს ვერც ავტორობის უარყოფით და ვერც ავტორობის მითვისებით (გამონაკლისია ავტორობის შედაგება კანონის ფარგლებში).

მე-4 პუნქტი აწესებს აღმოჩენის, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების თანავტორად აღიარების პირობებს. ორი ან მეტი პირის თანავტორობა მათი ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად წარმოიშობა. პირი, რომელიც ავტორს ტექნიკურ დახმარებას უწევს თანავტორად არ მიიჩნევა.

აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, აღმოჩენისა და გამოგონების ავტორობისა და, მეორე მხრივ, რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის დაცვის ტერიტორიული ფარგლები ერთმანეთისაგან განსხვავდება. აღმოჩენისა

¹ ეგრეთწოდებული „საქარხნო გამოგონება“.

და გამოგონების ავტორის უფლებების დაცვა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, რაციონალიზატორული წინადადების ავტორის უფლებები მარტოოდენ იმ ორგანიზაციის ფარგლებში, რომელმაც მოწმობა გასცა.

რაციონალიზატორული წინადადების ავტორის უფლებების დარღვევად არ ჩაითვლება, თუ მსგავს წინადადებებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წამოაყენებენ სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე პირები. ავტორობის უფლება ამ შემთხვევაში ვრცელდება მოწმობის გამცემი ორგანიზაციის ფარგლებში. მაგალითად, თუ მოწმობა სამინისტრომ გასცა, ავტორის უფლება მოქმედებს როგორც თვით სამინისტროში, ისე მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში.

აღმოჩენის საზღაური. აღმოჩენისათვის საზღაურს გაიღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი დიპლომის გაცემის დროს. საზღაურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 მანეთს.

ახალი დებულებით საწარმოს, სადაც აღმოჩენას მიაკვლიეს, აღმოჩენის დიპლომი არ ეძლევა. ამიტომ თუ აღმოჩენა კოლექტიური შემოქმედების შედეგია და ცალკეულ პირთა ავტორობის დადგენა შეუძლებელი ხდება, საზღაურს უხდიან მხოლოდ ფიზიკურ პირებს და არა საწარმოს.

აღმოჩენა გამოიყენეს თუ არა სახალხო მეურნეობაში, სულ ერთია, აღმოჩენისათვის საზღაურს მაინც უხდიან.

გამოგონების საზღაური. ახალი დებულება ითვალისწინებს წასახალისებელ საზღაურს და საზღაურს გამოგონების გამოყენებისათვის. ამ უკანასკნელს იხდიან იმ შემთხვევაში, თუ გამოგონება:

გამოყენებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მაშინაც კი, როცა საზღვარგარეთიდან შემოზიდული პროდუქციის ექსპლუატაციას ეწევიან;

გამოყენებულია იმ დოკუმენტაციაში, რომელიც სხვა ქვეყნებს გადასცეს ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამეგობრობის წესით;

გამოყენებულია იმ ობიექტებზე, რომლებსაც სსრ კავშირის საწარმოები და ორგანიზაციები აშენებენ უცხოეთში, მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევის წესით;

რვალიზებულია საზღვარგარეთ გაყიდვის გზით.

წასახალისებელ საზღაურს უხდიან ერთი გამოგონებისათვის 20-მანეთიდან 200 მანეთამდე, ოღონდ იმ ვარაუდით, რომ ერთმა პიროვნებამ 50 მანეთზე მეტი არ მიიღოს. სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს მიკვლეული გამოგონებისათვის საზღაურს იხდის შესაბამისი სამინისტრო თუ უწყება, ხოლო საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ორგანიზაციებში მიკვლეული გამოგონებისათვის — სახელმწიფო კომიტეტი. ეს ნორმები ადრეც მოქმედებდა.

ახალი კანონმდებლობა წინანდელისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ ადრე სამინისტროებს და უწყებებს უფლება ეძლეოდათ საავტორო მოწმობის გაცემისას გადაეხადათ „სამსახურებრივი“ გამოგონებისათვის წასახალისებელი საზღაური, 1973 წლის დებულებით კი ვალდებული არიან გადაიხადონ წასახალისებელი საზღაური.

წასახალისებელი საზღაურის გადახდისას თითოეული ავტორის საავტორო მოწმობაში ცალ-ცალკე აღნიშნავენ გადახდილი თანხის ოდენობას. თუ



გამოგონება გამოიყენეს და ავტორს გამოყენების საზღაური გადაუხადეს, საერთო თანხიდან დაუკავებენ გაცემულ წასახალისებელ საზღაურს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოგონების გამოყენების საზღაური.
იმ შემთხვევაში, როდესაც გამოგონების გამოყენება ეკონომიას იძლევა, საზღაურის თანხას ანგარიშობენ ხუთი წლის მანძილზე თითოეულ კალენდარულ წელს მიღებული ეკონომიის 2 პროცენტის ოდენობით.

წინათ ეკონომიის მომცემი გამოგონების საზღაურს იმ ეკონომიიდან ანგარიშობდნენ, რომელსაც გამოგონების გამოყენება იძლეოდა პირველი ხუთი წლის ერთ რომელიმე წელს. საზღაურს ანგარიშობენ იმ საწარმოში მიღებული ეკონომიის თანხიდან, სადაც პირველად დაიწყო გამოგონების გამოყენება.

გამოგონების გამოყენებისას აღნიშნული ხუთი წელიწადი იანგარიშება 1 იანვრიდან, თუ გამოყენება დაიწყო წლის პირველ ნახევარში, ხოლო თუ გამოგონების გამოყენება დაიწყო წლის მეორე ნახევარში — მომდევნო წლის 1 იანვრიდან.

საზღაური უნდა გადაიხადონ გამოგონების გამოყენების კალენდარული წლის გასვლის დღიდან 2 თვის ვადაში.

ეკონომიის გაანგარიშების ამ ახალი პრინციპის მიზანია ეკონომიის გაანგარიშების გაადვილება; რადგან ძირითად ეკონომიურ მაჩვენებლებს საწარმოს უმტკიცებენ ან უტყვლიან კალენდარული წლის დამდევიდან.

ერთი გამოგონების გამოყენებისათვის გაცემული საზღაურის მაქსიმალური ოდენობა 20.000 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

ახალი დებულება ზოგიერთი გამოგონების გამოყენებისათვის ითვალისწინებს საზღაურის გადიდების შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება დიდ გამოგონებას (მაგალითად, ახალი სახის წარმოების შექმნას). ამასთან ახალი დებულებით საზღაურის ოდენობის გადიდება შეუძლია სამინისტროს თუ უწყების ხელმძღვანელს 20.000 მანეთის ფარგლებში, ოღონდ იგი არ უნდა აღემატებოდეს გასამზავებელ პირველდაწყებით თანხას.

აღმოჩენის, გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადებისათვის საზღაურის გაცემის ინსტრუქციის მე-9 პუნქტის შესაბამისად საზღაურის გასაცემად წარდგენილი უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

1. გამოგონების საავტორო მოწმობა ან რაციონალიზატორული წინადადების მოწმობა.


2. საბუთი, რომელიც ადასტურებს გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების ფაქტს.

ა) გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომიის გაანგარიშება იმ წინადადებებისათვის, რომლებიც ეკონომიას იძლევიან.

ბ) გაანგარიშება დასაბუთება ნამდვილი ღირებულებისა იმ წინადადებებისათვის, რომლებიც არ იძლევიან ეკონომიას.

3. ავტორთა წერილობითი შეთანხმება მათ შორის საზღაურის განაწილების შესახებ.

საზღაურს იმ გამოგონების გამოყენებისათვის, რომელიც ეკონომიას არ იძლევა, უხდიან ერთდროულად. ასეთი საზღაურის ოდენობას განსაზღვრავენ გამოგონების ნამდვილი ღირებულების მიხედვით, ამასთან ითვალისწინებენ გამოგონების მიერ შექმნილ ტექნიკურ ან სხვა დადებით ეფექტს და გამოგონების გამოყენების მოცულობას.



ეკონომიური თანამშრომლობის წესით სხვა ქვეყნებისათვის გადაცემულ დოკუმენტაციაში გამოყენებული გამოგონების საზღაური. უცხოეთის ქვეყნებთან ფართო ეკონომიურმა და სამეცნიერო-ტექნიკურმა კავშირ-ურთიერთობამ, რაც გულისხმობს არა მარტო სავაჭრო ურთიერთობას, არამედ ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლა-გამოცვლასაც, წარმოშვა იმის საჭიროება, რომ უცხო ქვეყნებისათვის გადასაცემ დოკუმენტაციაში გამოგონების გამოყენება ანაზღაურებულ იქნეს, ამასთან ავტორს საზღაურს უხდიან სულ ერთია, სასულიეროთა და დასაცემენ დოკუმენტაციას საზღვარგარეთ თუ უსასყიდლოდ. დოკუმენტაციის გადაცემისას გამოგონების გამოყენების ფაქტი საჭირო არ არის. საზღაურის ოდენობა განისაზღვრება გამოგონების ნამდვილი ღირებულების მიხედვით და გადახდილ უნდა იქნეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მიიღეს გადაწყვეტილება დოკუმენტაციის გადაცემის შესახებ. საზღაურს იხდის ის სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება დოკუმენტაციის საზღვარგარეთ გადამცემი საწარმო.

უცხო ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის წესით საბჭოთა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ აგებულ ობიექტებზე გამოგონების გამოყენების საზღაური. ამ საფუძველზე საზღაურის გაცემისას საჭიროა გამოგონების ფაქტობრივი გამოყენება მიუხედავად იმისა, სასყიდლიანი თუ უსასყიდლოა ტექნიკური დახმარება. საზღაურის დენადობას გაიანგარიშებს და ახდის ის სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება სამუშაოთა მწარმოებელი საწარმო.

საზღვარგარეთ ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემისას საზღაურის ოდენობა განისაზღვრება გამოგონების ნამდვილი ღირებულებით. ამასთან გათვალისწინებულია გამოგონების გამოყენება, აგრეთვე გამოგონების გამოყენების შედეგად მიღებული დადებითი ეფექტი.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბჭოთა კავშირის დახმარება უცხო სახელმწიფოებისადმი. უცხოეთში ობიექტების აგება სათანადო საპატენტო დაცვას მოითხოვს, რადგან მეტ წილ უცხო ქვეყნებში სამამულო გამოგონებებს იყენებენ. ახალი კანონმდებლობა მიზნად ისახავს გამოგონებათა ავტორების უფლებების დაცვას. 1973 წლის დებულების მესამე პუნქტი ითვალისწინებს საზღაურს როგორც უცხო ქვეყნისათვის გადაცემულ დოკუმენტაციაში გამოგონების გამოყენებისათვის. ეს ნორმა ახალია. ამავე პუნქტით ავტორს საზღაურს უხდიან მაშინაც, თუ გამოგონებას გამოიყენებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში, თუნდაც საზღვარგარეთიდან შემოზიდული პროდუქციის ექსპლუატაციისას.

ამ ნორმების შემოღება მნიშვნელოვნად აფართოებს გამოგონებათა ავტორების უფლებებს და მიზნად ისახავს საზღაურის გაცემის სამართლებრივი რეგულირების შემდგომ სრულყოფას.

საზღაური იმ ლიცენზიების გაყიდვისათვის, რომლებშიც გამოყენებულია გამოგონება. ახალი დებულება 1959 წლის დებულებისაგან არსებითად იმით განსხვავდება, რომ ლიცენზიის გაყიდვისას საზღაურს იხდიან:

თუ საავტორო მოწმობა გაცემულია, მიუხედავად პატენტის მიღებისა საზღვარგარეთ, აგრეთვე თუ პატენტი მიღებულია, მაგრამ რაიმე მიზეზით საავტორო მოწმობა არ არის მიღებული.

ლიცენზიის გამოყენებისათვის საზღაურის ოდენობა განისაზღვრება ლი-

ცენზიის გაყიდვისაგან მიღებული თანხის 3 პროცენტამდე. ამ საზღაურს იხდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ორი თვის ვადაში იმ თანხებიდან, რომელთაც მას ჩაურიცხავენ ლიცენზიის გაყიდვის გამო.

ახალი დებულება ითვალისწინებს წინანდელი კანონმდებლობისათვის უცნობ ორ სამართლებრივ ნორმას, რომლებიც შეეხება საზღაურის გადახდას. ეს ნორმები, უეჭველია, ხელს შეუწყობენ, რომ საგამომგონებლო პრაქტიკაში უფრო გულსხმიერად და სწორად განახორციელონ კანონის დებულებანი გამოგონებათა ავტორების მატერიალური წახალისების შესახებ.

117-ე მუხლი უფლებას ანიჭებს სახელმწიფო კომიტეტს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად, საკუთარი ინიციატივით ან ავტორთა განცხადებების პასუხად გაეცნოს თუ როგორ არის შედგენილი ორგანიზაციებში გამოგონებათა გამოყენების დოკუმენტაცია, აგრეთვე სწორად არის თუ არა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა.

118-ე პუნქტით, თუ გამოგონება პერსპექტიულია, ე. ი. მისი გამოყენება ქვესაუწყებო საწარმოებისათვის მომავალში მიზანშეწონილია, სამინისტროებს და უწყებებს უფლება ეძლევათ გასცენ პრემია იმ სახსრებიდან, რომლებსაც მიიღებენ გამოგონების გამოყენებით გაწეული ეკონომიის თანხების ანარიცხებიდან. ეს პრემია გამოგონების გამოყენების საზღაურის სახეობად არ ჩაითვლება და, მამასადამე, შემდეგ, როცა გამოგონების საზღაურის დრო დადგება, სათვალავში არ მიიღება.

გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების გამოსაყენებლად მომზადებაში მონაწილეობის უფლება. გამოგონების გამოსაყენებლად მომზადებაში ავტორის მონაწილეობის უფლებაზე სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ გამოგონების ავტორს არა მარტო უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისი გამოგონების გამოსაყენებლად გაწეულ მუშაობაში, არამედ, უფრო მეტიც, იგი იმ გამოგონების გამოყენების უფლების მატარებელია, რომლის ავტორიც თვითონ არის.

მაგალითად, ა. კ. იურჩენკო ამბობს: „დანერგვის უფლება გამომგონებლის და რაციონალიზატორის ცენტრალური და უაღრესად არსებითი უფლებაა (ავტორობის უფლების დამკვიდრების შემდეგ)“² ამავე აზრს იზიარებს ნ. ა. რაიგოროდსკი.

სხვები — ვ. ა. რიასენცევი, მ. ნ. ზარუბინი — ამტკიცებენ, რომ ავტორის მონაწილეობა მისი გამოგონების გამოყენებაში შრომითი ურთიერთობის ნაწილია და შრომის სამართალს განეკუთვნება.

ჩვენი აზრით გამოგონების ავტორს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ამ ორგანიზაციას, რომელიც გამოგონებას ნერგავს, მაგრამ გამოგონების გამოყენებისათვის გაწეულ მუშაობაში მისი მონაწილეობა სრულიადაც არ არის სავალდებულო. ამ შემთხვევაში ავტორის მიზიდვა მართლზომიერია და კანონი მას ზოგიერთ შეღავათს ანიჭებს, მაგრამ თუ გამოგონების გამოსაყენებლად გაწეულ მუშაობაში ავტორს არ მიიზიდავენ, ეს სამართალდარღვევა არ არის. 127-ე პუნქტში ნათქვამია: „გამოგონებისა თუ რაციონალიზატორული წინა-

² Юрченко А. К. Проблемы Советского изобретательского права. 1963.

დადების ავტორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თავისი გამოგონების გამოსაყენებლად გაწეულ მოსამზადებელ მუშაობაში“.

128-ე პუნქტი განსაზღვრავს ავტორის მონაწილეობის წესს. თუ გამოგონებას ავტორის მუდმივ სამუშაოზე იყენებენ, მას შეიძლება ძირითადი მოვალეობის შესრულება არ მოსთხოვონ და საშუალო ხელფასი შეუნარჩუნონ. თუ სამუშაოდან ავტორის განთავისუფლება სამუშაო პირობების გამო მიზანშეუწონელია, გამოგონების დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაო შეიძლება არასამუშაო დროს შესრულდეს. ამ შემთხვევაში ანაზღაურება შეთანხმებით მოხდება.

თუ გამოგონებას იყენებს სხვა საწარმო, ავტორს შეიძლება დაუდონ შრომითი ხელშეკრულება ან სამუშაოს მთლიანად შესრულებამდე ანდა რაიმე გარკვეული ვადით. ავტორს ამ დროის მანძილზე ძირითად სამუშაოდან ანთავისუფლებენ, საზღაურს კი აძლევენ იმ ოდენობით რასაც საშუალოდ იღებდა ძირითად სამუშაოზე. სხვა საწარმოში სამუშაოდ დროებით გადახულ ავტორს ძირითად სამუშაოზე ენახება თანამდებობა, უწყვეტი სტაჟი, შევებულება. თუ ავტორის მუშაობა სხვა საწარმოში 11 თვეზე მეტს გაგრძელდა, შევებულებას მას ეს საწარმო მისცემს. თუ ავტორს მისი გამოგონების დანერგვის მოსამზადებლად სამუშაოზე მიიწვევენ ისეთ ადგილას, სადაც თვითონ მუდმივად არ ცხოვრობს, მას უნაზღაურებენ ყოველ ხარჯს სამსახურებრივი მივლინების კანონმდებლობის შესაბამისად. თუ გამოგონების ავტორი არსად არ მუშაობს, მას დაუდებენ შრომითს ხელშეკრულებას, რომელშიც აღნიშნული იქნება საბუნების შესრულების ვადა და ავტორის კვალიფიკაციის შესაფერი გასამრჯელო.

ავტორის შრომის წიგნაკში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ აღნიშვნის შეტანის უფლება. აღმოჩენა, რომელზეც ვაცემულია დიპლომი, გამოყენებული გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება და ამასთან დაკავშირებული საზღაურის გადახდა აღნიშნული უნდა იყოს ავტორის შრომის წიგნაკში (135-ე პ.).

შრომის წიგნაკში ვაკეთებულ ანთარ ჩანაწერი აღმოჩენის, გამოგონების ანდა რაციონალიზატორული წინადადების ავტორისათვის დიდი მორალური სტიმულია. ვარდა ამისა ეს ჩანაწერები ასახავენ, თუ რა ფასი აქვს წინადადებას.

დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება. წინათ მოქმედი დებულების თანახმად იმ აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებს, რომლებმაც სახელმწიფოს ძვირფასი წინადადებები მისცეს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება ჰქონდათ.

ახალ დებულებას ამ საკითხში არსებითი ცვლილებები შეაქვს. მნიშვნელოვნად ვაფართოებულა იმ პირთა წრე, რომლებსაც დამატებითი ფართობის უფლება აქვთ. მაგალითად, 141-ე პუნქტში ნათქვამია: „გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებს, რომლებსაც რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლის ან რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებები მიენიჭათ, აღმოჩენათა ავტორებს, აგრეთვე დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებს მეცნიერი მუშაკების თანაბრად „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება აქვთ“.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები გამოყენებულ გამოგონებათა სა-

ხალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ სამინისტროებისა და უწყებების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე იძლევიან მოწმობას, რომ ამ პირს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი საცხოვრებელი ფართობით. დამატებით საცხოვრებელ ფართობად იგულისხმება ცალკე ოთახი ან დამატებითი ფართობი 20 კვ. მეტრის ოდენობით.

სხვა უფლებები და შეღავათები. ახალი დებულების 138-ე პუნქტის თანახმად წარმოებაში დანერგულ გამოგონებათა ავტორებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება მიენიჭათ, უფლება აქვთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით უკონკურსოდ ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებელში.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის აღმოჩენათა და გამოგონებათა ავტორებს უფლება აქვთ დადგენილი წესით დისერტაციის თანაბრად წარადგინონ ეს აღმოჩენები და გამოგონებანი მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შეიძლება დაუშვან ის პირები, რომლებსაც არა აქვთ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ ცნობილი არიან თავიანთი აღმოჩენებითა და გამოგონებებით. აღმოჩენათა და უაღრესად დიდ გამოგონებათა ავტორებს გამონაკლისის სახით დისერტაციის დაუცველად შეიძლება მიენიჭოთ მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ახალი დებულების მიღება გამომგონებლობის კანონმდებლობის სფეროში მოპოვებული დიდი მიღწევია. მნიშვნელოვნად დაზუსტებულია გამოგონების ცნება, რეგლამენტირებულია გამოგონების ობიექტი, დაკონკრეტებულია ავტორთა უფლებები, შემოღებულია ნორმები, რომლებიც აფართოებს ავტორთა მიერ საზღაურის მიღების უფლებებს.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ გამოგონებები ფართოდ გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობაში, უაღრესად სწრაფად განვახორციელოთ ის ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად.

საპროცესო ნორმების განუხრავლად დახვეწა საქმის დროულად და სწორად განხილვის მთავარი პირობაა

შ. ტყეშელაშვილი,
ადვოკატი.

უფროსი „საბჭოთა სამართლის“ 1974 წლის № 2-ში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის გ. იოსავასა და იმავე სასამართლოს წევრის ა. ცინცაძის სტატია „სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის საკითხისათვის“. ავტორები სამოქალაქო დავების დროულად და ხარისხიანად გადაწყვეტის მიზნით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აყენებენ საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლში ცვლილების შეტანის საკითხს და მოითხოვენ, რომ საკასაციო წესით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადად 14 დღის ნაცვლად დაწესდეს 4 დღე.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევჩერდებით სამოქალაქო საქმეების განხილვის გაჭინურებისა და, რაც მთავარია, საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევიდან გამომდინარე ზოგიერთ მიზეზებზე. უპირველეს ყოვლისა, აქ დავასახელებთ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლს, რომელიც სასამართლოს ავალებს დაუყოვნებლივ საქმის გარჩევისთანავე გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომ განსაკუთრებით რთულ საქმეებზე მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გადაიდოს სამი დღით, მაგრამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მაინც იმავე სხდომაზე უნდა გამოქვეყნდეს. კანონის ეს სავალდებულო მოთხოვნა ხშირად არ სრულდება. არის შემთხვევები, როცა საქმის მოსმენის შემდეგ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს არ აქვეყნებენ, აცხადებენ, რომ მთლიან გადაწყვეტილებას სამ დღეში დაწერენ, მაგრამ გადაწყვეტილება ათითორმეტი დღის შემდეგაც არ იწერება.

გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარე საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებას გათვალისწინებულ ვადაში ვეღარ ასწრებს. ვადის გასვლის შემდეგ კი მოსამართლე მას უნარს ვეღარ ეუბნება საჩივრის მიღებაზე. არის შემთხვევები, როცა საკასაციო საჩივრებს დებულობენ ვადის გასვლიდან საქმის დროის განვლის შემდეგაც. საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის დაუცველობა თავის თავად იწვევს იმავე კოდექსის 237-ე მუხლის დარღვევასაც, რომლის თანახმად საქმეში მონაწილე პირებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლოს სხდომის ოქმზე თავიანთი შენიშვნები შეუძლიათ წარადგინონ ოქმზე ხელის მოწერიდან სამი დღის ვადაში. უკმაყოფილო მხარეს ვერ გავამტყუნებთ, როცა გადაწყვეტილების უსწორობის მიზეზად ის მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება მას დროულად, დაუყოვნებლივ არ გამოუცხადეს. ერთ-ერთ საქმეზე ვინმე ფანჩულიძე ქუთაისიდან გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის სახელზე გამოგზავნილ საჩივარში იწერება: სახალხო სასამართლომ საქმე


1974 წლის 17 აპრილს განიხილა, გადაწყვეტილებისთვის ორი დღის შემდეგ დამიბარა და სრული სამი კვირა მატარაო; იმავე გაზეთის რედაქციის სახელზე გორიდან გამოგზავნილ საჩივარში ვინმე ცერცვაძე წერდა — სასამართლო საქმე 19 თებერვალს განიხილა და გადაწყვეტილება მხოლოდ 1 მარტს გამოიტანაო. გადაწყვეტილებისათვის 9 დღე მატარა მოსამართლემო, სწერს საკასაციო საჩივარში პედაგოგი ნინო კარაპეტოვა — კასპიდან.

ვფიქრობთ, სწორი იქნება, თუ დაეყენებთ საკითხს კოდექსის ამ მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ ისე, რომ საქმის სირთულის მიუხედავად გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ იქნეს გამოტანილი საქმის განხილვის შემდეგ.

სამოქალაქო საქმეების დროულად და სწორად განხილვას ხელს ისიც უშლის, რომ ხშირად სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით გასაჩივრების საფუძველზე რამდენჯერმე აუქმებს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია. იმის მაგივრად, რომ ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა დაუქვემდებარონ უმაღლეს სასამართლოს პირველი ინსტანციის სახით, როგორც ამას მოითხოვს კანონი და საკავშირო უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები, საქმე მაინც სახალხო სასამართლოს ეგზავნება განახსილველად. უკანასკნელად 1973 წლის 8 ოქტომბრის სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის № 14 დადგენილების მე-6 პუნქტში კიდევ ერთხელ ჩასწერა, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების მეორედ გაუქმების შემთხვევაში, კოლეგია ვალდებულია მიიღოს საქმე წარმოებაში და განიხილოს პირველი ინსტანციის წესით. სამწუხაროდ ჩვენში ეს სავალდებულო მითითება არ სრულდება. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ვ. პანიუგინი, თავის ვრცელ და ძალიან საჭირო სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტი“-ის 1974 წლის პირველ ნომერში შეეხო ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკას, და მაგალითად მოიტანა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო-სასამართლოში განხილული ერთი საქმე მხარეთა მიერ ბინის საერთო სათავსოებით სარგებლობის შესახებ. საქმე ოთხჯერ განიხილა სახალხო სასამართლომ, გამოტანილი გადაწყვეტილება ოთხივეჯერ გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ. მიუხედავად ამისა საქმე ოთხივეჯერ სახალხო სასამართლოს დაუბრუნა განახსილველად. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიზეზით საქმის გაჭიანურების შემთხვევები ჩვენში კვლავ ბევრია.

საქმის დროულად განხილვას ხელს ისიც უშლის, რომ მოსამართლეები ზოგჯერ არ ასრულებენ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის მოთხოვნას, წინასწარ არ ამზადებენ პროცესს, რათა თავიდან იქნეს აცილებული განხილვისათვის დანიშნული საქმის გადადება. ეს მუხლი 12 პუნქტისაგან შედგება. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-9, მე-10 პუნქტები, რომლითაც მოსამართლემ უშუალოდ ან მხარეთა მეშვეობით წინასწარ უნდა გამოითხოვოს სხვადასხვა ორგანოებიდან საქმისათვის საჭირო საბუთები და გადაწყვიტოს საკითხი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

ამ მუხლის შესრულების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე ყურადღებას ამახვილებს უმაღლესი სასამართლოს წევრი ნ. ბაღვაძე (იხ. „საბჭოთა სამართალი“ 1974 წლის № 2, გვ. 86). ძალიან ხშირად საქმის მოსმენა ვერ ხერხდება იმის გამო, რომ არაა დაგროვილი საჭირო



საბუთები. არ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 11 ოქტომბრის № 8 დადგენილების მესამე პუნქტის მითითება საქმის მომზადების შესახებ.

როდესაც სამოქალაქო საქმეების განხილვის გაჭინურების შესახებ ვლადიმერ პარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სახედამხედველო წესით საქმის წარმოებას. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული ვადა, რომლის შემდგომაც აღარ შეიძლება დღეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თუ განჩინების ზედამხედველობითი წესით გასაჩივრება და გადასინჯვა. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება თუ ეს საკითხი კანონმდებლობით მოწესრიგდება. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ სახალხო სასამართლოები ზემდგომ ორგანოებს დროულად არ უგზავნიან გამოთხოვილ საქმეებს. „სახალხო სასამართლოებიდან გამოთხოვილი საქმეები 2—3 თვის დაგვიანებით მოდის უმაღლეს სასამართლოში“ — შენიშნავს თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე ამავე სასამართლოს წევრი ვ. ლუკოვიჩი („საბჭოთა სამართალი“ 1974 წელი № 2, გვ. 86).

უფრო სამწუხარო ის არის, რომ ბევრჯერ არ სრულდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 337-ე მუხლის მოთხოვნა, რომ მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს გაეგზავნოთ პროტესტის პირები საქმის განხილვის დროისა და ადგილის შეტყობინებით, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ წარადგინონ პროტესტზე წერილობითი ახსნა-განმარტება, დაუროთონ დამატებითი მასალები.

საფიქრებელია, რომ პროტესტის მოთხოვნა საქმის განხილველმა ორგანომ შეიძლება უარყოს თუ პროტესტთან ერთად განხილული იქნება ამ პროტესტის შესახებ დაწერილი ახსნა-განმარტება და დართული საბუთები.


ერთი საქმე, მხარეთა შორის პირადი საკუთრების სახლის რეალურად განაწილების შესახებ, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში 1967 წელს აღიძრა. რამდენჯერმე განიხილა იგი ამ რაიონის სახალხო სასამართლომ, მაგრამ მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ყოველთვის გაუქმდა. საქმე ისევ სახალხო სასამართლოში ბრუნდებოდა განსახილველად. 1969 წლის 29 ოქტომბერს, კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება უცვლელად დასტოვა უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1969 წლის 16 დეკემბრის განჩინებით.

გავიდა ხანი და სრულიად მოულოდნელად მხარე იგებს, რომ საქმე გაუთხოვიათ საქართველოს სსრ პროკურატურაში, სადაც რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეს დაუწერია პროტესტი, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს განუხილავს 1970 წლის 15 ივნისს და თავისი დადგენილებით გაუქმებია ამ საქმეზე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და კოლეგიის განჩინება და, საქმე კვლავ სახალხო სასამართლოსათვის დაუბრუნებია განსახილველად.

მას შემდეგ დღემდე რამდენჯერმე იყო ეს საქმე სახალხო სასამართლოს და კოლეგიის განხილვის საგანი და იგი კვლავ დაუმთავრებელია. (საქმე № 276. კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო). მხარე დარწმუნებულია, რომ პროტესტის მოთხოვნა ამ საქმეზე უარყოფილი იქნებოდა და სახალხო სასამართლოს 1969 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და კოლეგიის 1969

წლის 16 დეკემბრის განჩინება ძალაში დარჩებოდა, თუ კანონის მოთხოვნა შესრულდებოდა და მას საშუალება მიეცემოდა წარედგინა თავისი ახსნა-განმარტება საბუთების დართვით.

ამჟამად, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, იუსტიციის სამინისტრომ უნდა იზრუნოს, რათა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნეს ზოგიერთი საჭირო ცვლილება — განხორციელდეს დონისძიებანი მისი განუხრელად შესრულებისათვის. ეს დიდად შეუწყობს ზელს სამოქალაქო საქმეების დროულად და სწორად გადაწყვეტას.





საბჭოთა შიშის დღეა

ხალხის ინფიქსიის სარეაქცია

გ. შალუნი,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

1917 წლის 10 ნოემბერს, რუსეთში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობის მესამე დღეს, საბჭოთა მთავრობის დავალებით რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო დადგენილება მუშათა მილიციის შექმნის შესახებ. ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში 10 ნოემბერი ყოველწლიურად დიდი ზემოთ ვითარებაში აღინიშნება საბჭოთა მილიციის შექმნის დღე. წლებს ეს დღესასწაული ისეთ ვითარებაში ტარდება, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის ჩვენი დიადი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

57 წელია ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილი საბჭოთა მილიცია მტკიცედ და ფხიზლად დგას საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ინტერესების, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე. მილიციის პირადი შემადგენლობა, პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე თავდადებით ასრულებდა თავის რთულ, უაღრესად კეთილშობილურ მოვალეობას. მილიციის მუშაკებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა ხალხის ისტორიაში არა მარტო ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომის, სოციალიზმის მშენებლობის პირველ დღეებში, არამედ დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. ისინი კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე — განვითარებული სოციალისტური — საზოგადოების, კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა მილიციის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია სამოქალაქო ომის პერიოდი, როცა რევოლუციური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვასთან ერთად, ის უშუალოდ მონაწილეობდა უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში.

სამოქალაქო ომის პერიოდში სამშობლოს დასაცავად მილიციამ გაგზავნა თავისი პირადი შემადგენლობის ორი მესამედი. მამაცი მილიციელები მამაცურად იბრძოდნენ პეტროგრადის დასაცავად; იუდენიჩის კონტრრევოლუციური არმიის წინააღმდეგ, უცხოეთის ინტერვენციისა და შინაგან კონტრრევოლუციისაგან ჩრდილოეთი კავკასიის განსათავისუფლებლად.

თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო თავდადებით ებრძოლა არა მარტო უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგან კონტრრევოლუციის, არამედ დამნაშავეობის წინააღმდეგაც. როგორც ცნობილია, კონტრრევოლუციონერები დამნაშავე ელემენტების — მკვლელების, მძარცველების, ბანდიტების,

ყაჩაღების, ხულიგნების, სპეკულანტების საშუალებით ცდილობდნენ შეერყიათ რევოლუციური წესრიგი.

ახალგაზრდა საბჭოთა მილიციის ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით საბჭოთა მთავრობის მითითებით 1918 წლის ოქტომბერში შეიქმნა სისხლის სამართლის სამძებრო აპარატი, 1919 წლის თებერვალში — რკინიგზისა და საზღვაო მილიცია, ხოლო 1919 წლის აპრილში სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით მილიციაში შემოღებულ იქნა სამხედრო დისციპლინა.

სამოქალაქო ომი უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგან კონტრრევოლუციის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ამან ჩვენს პარტიასა და ხალხს შესაძლებლობა მისცა შესდგომოდნენ მშვიდობიან მშენებლობას, ომით გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენას.

ამ პერიოდში წითელი არმიისა და საგანგებო კომისიის ნაწილებთან ერთად საბჭოთა მილიციამ განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია პოლიტიკური ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში მილიცია აქტიურად მონაწილეობდა პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებაში და კლასობრივ მტრების — კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად ენერგიულ ღონისძიებებს ატარებდა სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ, დაუნდობლად ებრძოდა დამტაცებლებს, სპეკულანტებს, ხულიგნებს, ბავშვთა უზედამხედველობას. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მილიციის მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ სამამულო ინდუსტრიისა და ახალი ქალაქების მშენებლობაში, პარტიულ აქტივისტებთან ერთად განამტკიცებდნენ პირველ კოლმეურნეობებს.

მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის პერიოდში მილიციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ითვლებოდა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა. პარტიამ და მთავრობამ 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით გადამწყვეტი ბრძოლა მოითხოვეს საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლების წინააღმდეგ, ეს ღონისძიება მათ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მთავარ ამოცანად ჩათვალეს.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა პარტია სოციალისტური საკუთრების დაცვას, ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1937 წელს მთავრობის დადგენილებით მილიციის ორგანოებში შეიქმნა სოციალისტური საკუთრების დაცვებზე და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური დანაყოფები, რომლებმაც დღიდან დაარსებისა დიდი მუშაობა გასწიეს ამ მიმართულებით.

30-იან წლებში მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ მკვეთრად გაზარდა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების წინაშე დადგა ამოცანა მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვისა. ამიტომ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით სსრ კავშირში ერთიანი საპასპორტო სისტემა დაწესდა. ამის გამო მილიციის აპარატი შეიქმნა საპასპორტო რეჟიმის დამცველი სპეციალური ქვედანაყოფი.

30-იან წლებში ჩვენი ქვეყნის საავტომობილო ტრანსპორტის სწრაფმა ზრდამ მოითხოვა შექმნილიყო სპეციალური ორგანო, რომლის მოვალეობაც იქნებოდა მანქანების ზუსტი აღრიცხვა, ავტოავარიებთან ბრძოლა და ავტომძ-

ლოლთა კადრების მომზადება. ამ მიზნით შინაგან-საქმეთა ორგანოებში 1936 წელს შეიქმნა სპეციალური აპარატი — სახელმწიფო ავტონისპექციის სახით.

ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში საბჭოთა მილიციამ სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა ის საბჭოთა ურმიის ნაწილებთან და პარტიზანულ შენაერთებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში, დივერსანტებთან ლიკვიდაციაში, პანიკორებისა და დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხანძრების ჩაქრობაში, ომის პერიოდში დაკარგული შეილებისა და ახლობლების მოძებნაში. მილიცია დიდ ყურადღებას აქცევდა უპატრონოდ და უხუდამხედველოდ დარჩენილ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის თავიდან აცილებას.

მილიციის მუშაკები ფიზიკურად იღვწენ სოციალისტური საქუთრების დაცვის სადარაჯოზე. ისინი შეუთრებელ ბრძოლას ეწეოდნენ დამტაცებლების, სპეკულანტებისა და სხვა ჯურის თაღლითების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ომით შექმნილი მძიმე პირობები პირადად გამდიდრების ინტერესებისათვის გამოეყენებინათ.

მილიციის მუშაკთა მხედრულ შრომასა და ბრძოლას დიდი სამამულო ომის პერიოდში უდიდესი შეფასება მისცეს პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. ორ-ორი ორდენით დაჯილდოვდა მილიციის 200 ათასზე მეტი მუშაკი, ხოლო სამ-სამი ორდენით — 70 ათასი თანამშრომელი. 1944 წელს მთკოვისა და ლენინგრადის მილიცია შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. შინაგან საქმეთა ორგანოებში ამჟამად 85 საბჭოთა კავშირის გმირი მუშაობს. მათ შორის მილიციის ორგანოებში საბჭოთა კავშირის 19 გმირია.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებამ მილიციის ორგანოებს შესაძლებლობა მისცა მთელი თავისი ძალები დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად დაერაზმა. მაგრამ ეს იოლი საქმე არ იყო. მილიციის ბევრი გამოცდილი მუშაკი ფრონტზე დაიღუპა ამიტომ მილიცია კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ამას გარდა დამნაშავენი ხშირად შეიარაღებული იყვნენ უახლესი ავტომატური ცეცხლმსროლელი იარაღით. განსაკუთრებით ძნელი იყო ბრძოლა უკრაინის დასავლეთ ოლქებში, ბელორუსსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში არსებული ანტისაბჭოთა ბანდების წინააღმდეგ, რომელთა ლიკვიდაციამ საბჭოთა მილიციის ასეულობით მუშაკის სიცოცხლე შეიწირა.

პარტიამ და მთავრობამ ყველაფერი იღონეს მილიციის ორგანოების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გაძლიერებისათვის. მილიციის ორგანოებში სამუშაოდ გაიგზავნა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ცეცხლში გამაწრთობილი ათასობით ფრონტელი, პარტიული და კომკავშირული მუშაკები, მკვეთრად გაუმჯობესდა მილიციის ტექნიკური აღჭურვილობა და მატერიალური პირობები. 1949 წელს გადიდდა მილიციის მუშაკთა ხელფასი, შემოდებულ იქნა ახალი ფორმა, დაწესდა მილიციის ფრიადონისის სამკერდე ნიშანი, გადიდდა ავტომატების, მოტოციკლების რიცხვი, უფრო სრულყოფილი გახდა რადიოკავშირი, კრიმინალისტური ტექნიკა და სხვა.

მშობლიურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მილიციას ყველაფერი მისცეს რაც საჭიროა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის წარმატებით დაცვისათვის. პარტიის ზრუნვის შედეგად ის საგანგებო დანიშნულე-

შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები და თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსმა, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში განმტკიცდეს დისციპლინა და მომთხოვნელობა, მუშაობის ლენინური სტილი და ნორმები, შექმნა დამნაშავეობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისა და მართლწესრიგის განმტკიცების რეალური პირობები. მილიციის ორგანოები არ იშურებენ ძალასა და ენერგიას ანტისაზოგადოებრივი, ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად და კარგად იციან, რომ პოზიტიური ძვრების გამრავლებასა და განმტკიცებას სჭირდება დაუღალავი შრომა.

საბჭოთა მილიციის ძალისა და ძლიერების წყაროა არა მარტო პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, მისი პირადი შემადგენლობის მაღალი პოლიტიკური და პროფესიული მომზადება, უახლესი კრიმინალისტიკური, ოპერატიული ტექნიკით მისი აღჭურვა, მილიციის ორგანოების შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, არამედ ამასთან ერთად მოსახლეობის ფართო მასებთან; საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მშრომელთა კოლექტივებთან მილიციის მუშაკთა მტკიცე კავშირი. დამნაშავეობის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შეუძლებელია, თუ ამ საქმეში არ ჩაება ფართო საზოგადოებრიობა. საზოგადოებრივ ძალებს შეუძლიათ უდიდესი როლი შეასრულონ არა მარტო სამართალდარღვევათა აცილების, არამედ ჩაღვნილ დანაშაულობათა გახსნის, დამნაშავეთა დაძვინის, მათი ხელახალი აღზრდის და განსაკუთრებით არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის ლიკვიდაციის საქმეში.

დღეს, როცა მილიციის მუშაობის ძირითადი მიმართულება და მთავარი ამოცანა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების გზით დანაშაულობათა აცილებაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მილიციისა და საზოგადოებრიობის მტკიცე კავშირს: მილიციის ორგანოები ცდილობენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მაქსიმალურად გამოიყენონ რეგოლუციის, ომის, შრომის ვეტერანები, სახალხო რაზმელები და ამხანაგური სასამართლოები, სახლისა და ქუჩის კომიტეტები, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი და მშრომელთა პატრიოტული მოძრაობა სოფლებსა და ქალაქებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა და თავიდან აცილება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური ხაზია. მისი პრაქტიკულად განხორციელების ორგანიზაციისათვის საჭიროა, რომ პროფილაქტიკური მუშაობის ცენტრი გადავიტანოთ მოსახლეობაში, მშრომელთა კოლექტივებში და, რაც მთავარია, — უზრუნველყოთ ამ საქმეში ფართო საზოგადოებრივი ძალების აქტიური მონაწილეობა.

ამგვარი საქმიანობის მეტად ეფექტური ორგანიზაციული ფორმაა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საყრდენი პუნქტები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში.

მილიციისა და საზოგადოებრიობის საყრდენი პუნქტები სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა, უბნის ინსპექტორის, სახალხო რაზმეულების, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი მილიციის ბავშვთა ოთახების, სახლმმართველობის, ამხანაგური სასამართლოების, ქუჩის კომიტეტების, ღებუტატთა ჯგუ-

დების, პედაგოგ-ორგანიზატორების, ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების და სხვა მსრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფლაქტიკური მუშაობის საკოორდინაციო მუშაობის ცენტრებია.

ყველა ეს რგოლი, რომელთა მოვალეობაა დანაშაუვების პროფილაქტიკა, თავს იყრის ერთ შენობაში, მათს საქმიანობას წარმართავს სახლმართველობისა და უბნის ინსპექტორის სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული მსხვილი საწარმოსა და დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია.

საყრდენი პუნქტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ზემო აღნიშნული რგოლები და მიკრორაიონში განლაგებულ საწარმოებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები სისტემატურად ანალიზებენ საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობას, ახორციელებენ ფართო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ეწევიან ინდივიდუალურ პროფილაქტიკურ საქმიანობას იმ პირებთან, — ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ახორციელებენ ბავშვთა უზედამხედველობისა და არასრულწლოვანთა შორის დანაშაუვობას პროფილაქტიკის კომპლექსურ ღონისძიებებს.

მართლწესრიგის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში, სახელმწიფოებრივ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, დიდი როლი ეკუთვნით ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს. მათ აქტიური როლი უნდა შეასრულონ ხელიგნობის, ლოთობის, სახელმწიფო ქონების დაცვების, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის თავიდან აცილების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, გასწიონ სამართლებრივი პრობაგანდა.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ახლახან მიღებულ დებულებაში, კერძოდ, სახალხო რაზმეულის საზეიმო დაპირებაში ნათქვამია: „მე ვალდებულებას ვკისრულობ ღირსეულად, კეთილსინდისიერად შევასრულო ყველა ვალდებულება — თავდადებულად დავიცვა მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, ყოველთვის ვიდეგ მოქალაქეთა ინტერესების დამცველთა რიგებში, ყველა ჩემს საქმიანობაში — ჩემი ქვეყნის, ხალხის, სამშობლოს და კომუნისმის მშენებლობის საქმეში — ვიყო ღირსეული მოქალაქე“.

დანაშაულობათა წინააღმდეგ მილიციისა და საზოგადოებრიობის ერთობლივ ბრძოლას უნდა ვუმადლოდეთ იმ სასიხარულო ფაქტს, რომ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის სამიათას დასახლებულ პუნქტში უკანასკნელი წლების მანძილზე რეგისტრირებული არ ყოფილა არცერთი სახის დანაშაული.

რესპუბლიკაში წლითი წლობით კლებულობს დანაშაულის რაოდენობა. მაგალითად 1966 წელთან შედარებით სისხლის სამართლის ხაზით აღრიცხული დანაშაული თითქმის 30 პროცენტით შემცირდა, ხოლო 1974 წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით საშიშმა დანაშაულმა შარშანდელთან შედარებით 11 პროცენტით იკლო.

საბჭოთა მილიცია მზად არის შეასრულოს კომუნისტური პარტიისა და ხალხის მოთხოვნა, შეამციროს, ხოლო შემდგომში მთლიანადაც აღმოფხვრას სისხლის სამართლის დანაშაული.

ძალიან მძიმე, მაგრამ კეთილშობილურ მოვალეობას რომ ასრულებს, მილიცია მზად არის შეუპოვრად დაიცვას საბჭოთა მოქალაქის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ნამუსი და სინდისი, თუნდაც ამისათვის თავისი მებრძოლების სიცოცხლის შეწირვა დასჭირდეს.

საქართველოს კონსტიტუცია მოსახლეობას

მუშა-მოსამსახურეთა საეუზომიანი დათხოვნის საფუძვლები

სამუშაოდან დათხოვნა მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივით. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 32-ე მუხლით მუშებს და მოსამსახურეებს უფლება აქვთ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება მოშალონ, მაგრამ ამის შესახებ ადმინისტრაცია წერილობით უნდა გააფრთხილონ ორი კვირით ადრე. ვადა დაწესებულია იმისათვის, რომ ადმინისტრაციას მიეცეს ახალი მუშაკის მიწვევის შესაძლებლობა.

მუშაკის მიერ სამუშაოს მიტოვება გაუფრთხილებლად ან გაფრთხილების ვადის გასვლამდე, ითვლება შრომის დისციპლინის დარღვევად და ამისათვის მუშაკი შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამუშაოს გაცდენისათვის. გაფრთხილების ორი კვირის ვადის გასვლამდე სამუშაოდან დათხოვნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ადმინისტრაციასთან მუშაკის შეთანხმებით.

მეორე მხრივ, ადმინისტრაციას არა აქვს უფლება მუშაკი, რომელმაც განცხადება შეიტანა სამუშაოდან განთავისუფლებაზე ორი კვირის ვადის გასვლამდე განთავისუფლოს. გაფრთხილების ვადაში მუშაკებს ენახებათ სამუშაო ადგილი.

ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციას არა აქვს უფლება შეაჩეროს მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლება. ორი კვირის ვადის გასვლისას ადმინისტრაცია ვალდებულია, რომ მუშაკს გაუსწოროს საბოლოო ანგარიში, მისცეს შრომის წიგნაკი, სადაც უნდა ჩაიწეროს, რომ მუშაკი სამუშაოდან განთავისუფლებულია პირადი განცხადებით.

განთავისუფლებულ მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის

ტრაციას შორის თუ წამოიჭრა დავა (დავლიანების დაფარვა, ბინიდან გასახლება და სხვ.) ეს არ არის საფუძველი სამუშაოდან განთავისუფლების დაყოვნებისათვის. ეს დავები გადაწყვეტილ უნდა იქნას ცალკე, კანონით დადგენილი წესით, განთავისუფლების გაფრთხილების შემდეგ.

ადმინისტრაციამ თუ ორი კვირის ვადის გასვლისას მუშაკი არ გაანთავისუფლა სამუშაოდან, ასეთ შემთხვევაში მუშაკს უფლება აქვს მიიტოვოს სამუშაო, რისთვისაც არავითარი პასუხისმგებლობა არ არის დაწესებული. ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნების შემთხვევაში მუშაკს ეძლევა საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის მთელი დროისათვის. (შრომის კანონთა კოდექსის 98 მუხლი).

მუშაკი თუ ორი კვირის ვადის გასვლისას არ იქნა სამუშაოდან განთავისუფლებული, მან მუშაობა არ მიიტოვა და არც ახლად არ დაადასტურა სურვილი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, ამ პირობებში შრომის ხელშეკრულება ძალაში რჩება და ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მუშაკი სამუშაოდან განთავისუფლოს წინათ შეტანილი განცხადების საფუძველზე.

მუშა-მოსამსახურეს სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ განცხადების შეტანა შეუძლია შევებულებაში ყოფნის დროსაც. შევებულების დრო ჩაითვლება ორი კვირის გაფრთხილების ვადაში.

ვადიანი შრომის ხელშეკრულება მუშაკის მოთხოვნით ვადამდე ადრე შეიძლება მოშლილ იქნეს ავადმყოფობისა თუ ონვადილობის შემთხვევაში, აგრეთვე იმ დროსაც თუ ადმინისტრაცია არღვევს შრომის

კანონმდებლობას, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს (მუხ. 33).

ამავე მიზეზით განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე იქნეს მოშლილი იმ პირობებთან, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ და აგრეთვე იმ პირობებთან, რომლებმაც შეასწავლეს ახალი პროფესიები და ვალდებული არიან განსაზღვრულ ვადაში იმუშაონ. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების „სასამართლო პრაქტიკის“ შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 6 დადგენილება, პ. 7).

ყველა შემთხვევაში, როცა მუშაკებს შეეძლება განცხადება და ითხოვენ სამუშაოდან განთავისუფლებას, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან, რომ პირადად გაერკვენ საკითხში, ესაუბრონ განმცხადებელ პირებს და თუ დადგინდება, რომ სამუშაოდან განთავისუფლების სურვილი ნაკარნახევია არა პირადი მოსაზრებებით, არამედ იგი თვით საწარმოს თუ დაწესებულების მიზეზით, რომ მუშაკს არ უქმნიან შრომითი შინაგანაწესით გათვალისწინებულ პირობებს მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, სათანადოდ არ ზრუნავენ მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მაშინ უნდა მიადგინონ მდგომარეობის გამოსწორებას და თავიდან აიცილონ მუშაკთა დენადობა, რადგანაც მუშაკთა ხშირ ცვალებადობას, დენადობას, დეზორგანიზაციას შეაქვს საწარმოს ნორმალურ მუშაობაში, ეცემა შრომის ნაყოფიერება.

შრომის ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით. განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, აგრე-

თვე ვადიანი შრომის ხელშეკრულება ვადის გასვლამდე შეიძლება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ მოშალოს მხოლოდ მაშინ, როცა არის ამისათვის კანონით დადგენილი საფუძვლები. კერძოდ, ადმინისტრაციის ინიციატივით მუშა-მოსამსახურის სამუშაოდან დათხოვნა დაიშვება: საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაკთა რიცხვისა და შტატის შემცირების დროს; როცა მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება თანამდებობას, თუ აღმოჩნდება, რომ მუშა-მოსამსახურე არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ასრულებს შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებულ ვალდებულებებს; არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის გამო (მათ შორის სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების გამო); ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სამუშაოზე გამოუცხადებლობა დრთებითი შრომისუნარიობის გამო, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიცემული შვებულების ჩათვლელად, თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით არ არის დადგენილი სამუშაო ადგილის (თანამდებობის) შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადა გარკვეული დაავადების დროს; მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს შრომითი დასახიჩრებისა თუ პროფესიული დაავადების დროს; მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს შრომითი დასახიჩრებისა თუ პროფესიული დაავადების გამო, სამუშაო ადგილი (თანამდებობა) ენახებათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე; მაშინ, როცა სამუშაოზე აღადგენენ იმ მუშაკს, რომელიც ადრე ასრულებდა ამ სამუშაოს (მუხ. 34).

გარდა ამისა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის ძალით შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველს წარმოადგენს მხარეების შეთანხმება; შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შრომითი ურთიერთობა

ფაქტიურად გრძელდება და არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია მისი მოშლა; მუშაკთა სამხედრო სამსახურში გაწვევა;

პროფკავშირის ორგანოს მოთხოვნით; მუშაკის გადაყვანა მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე ან არჩევით თანამდებობაზე გადასვლა; როცა მუშაკი უარს აცხადებს სააწრმო-დაწესებულებასთან ერთად სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლაზე; სასამართლო კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც მუშა ან მოსამსახურე მსჯავრდადებულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისჯილი აქვს პირობითი მსჯავრი) და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი მუშაობა არასამუშაო ადგილას ან სხვა სასჯელი, რომელიც გამორიცხავს ამ სამუშაოზე მუშაობის გაგრძელებას.

ცალკეული კატეგორიის მუშაკების სამუშაოდან დათხოვნა გარდა ზემო აღნიშნული საფუძვლებისა შეიძლება კიდევ სხვა მოტივით. ასე მაგალითად, მუშაკები, რომლებიც აღმზრდელი ფუნქციებს ასრულებენ, ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება დათხოვნილი იქნენ სამუშაოდან ამორალური საქციელის ჩადენის გამო („სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედო შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულების პ. 6). მუშაკები, რომლებიც ემსახურებიან ფულად და სასაქონლო ფასეულობას, შეიძლება სამუშაოდან დათხოვნილი იქნენ ნდობის დაკარგვით (სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წლის 6 ნოემბრის დადგენილების მეექვსე პუნქტი და შრომის კანონის კოდექსის 35 მუხლის მეორე პუნქტი).

შრომის ხელშეკრულების მოშლა შეიძლება აგრეთვე პროფკავშირული ორგანოს (არანაკლებ რაიონულისა) მოთხოვნით ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ ან ისინი ჩამოაყენონ დაკავებული თანამდებობიდან იმ შემთხვევაში, თუ არღვევენ შრომის კა-

ნონმდებლობას, არ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იჩენენ ბიუროკრატიზმს, აკიანურებენ საქმეს. პროფკავშირის ორგანოს მოთხოვნა მუშაკმა ან ადმინისტრაციამ შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომ პროფკავშირის ორგანოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა (მუხლი 39-ე).

განვიხილოთ ცალ-ცალკე თუ რა პირობებში შეიძლება მუშა-მოსამსახურის სამუშაოდან დათხოვნა.

1. დათხოვნა შტატის შემცირების მოტივით. შტატის შემცირების დროს უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვმდინარობდეთ საწარმოს ინტერესებიდან, სამუშაოზე პირველ რიგში დატოვებულ უნდა იქნენ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები, რომელთა შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალია.

კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების დასადგენად მხედველობაში მიიღება მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობისა და გეგმის შესრულების მაჩვენებლები, მუშაობის ხარისხი, განათლება, დისციპლინაობა, წახალისების ზომები და სხვა გარემოებანი. მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებლად შეიძლება მიღებულ იქნეს მუშაობის დიდი სტაჟი პროფესიისა და სპეციალობის მიხედვით, როგორც მოცემულ საწარმოში თუ დაწესებულებებში, ისე ამ დარგში.

საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, შტატის შემცირების დროს ადმინისტრაციას უფლება აქვს მოახდინოს მუშაკების გადაჯგუფება, უფრო კვალიფიციური მუშაკი, რომლის თანამდებობრივი ერთეული შემცირებას ექვემდებარება, მისი თანხმობით კვალიფიკაციის მიხედვით გადაყვანილი იქნეს ნაკლებად კვალიფიციური მუშაკის ადგილზე, ხოლო უკანასკნელი დათხოვნილი იქნეს სამუშაოდან შტატის შემცირებით, თუმცა მისი თანამდებობა არ შემცირებულა.

თანაბარი კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების პირობებში სამუშაოზე დატოვების უპირატესობა ეძლევათ: მათ ვისაც

კმაყოფიანე ყავს ორი ან მეტი პირი; პირებს, რომელთა ოჯახებში არ არიან სხვა მუშაკები, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი.

სამუშაოზე დატოვების უპირატესობის უფლებით სარგებლობენ აგრეთვე სამამულო ომის ინვალიდები, სამამულო ომის ფონტზე დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახის წევრები; პირები, რომლებიც წარმოებიდან მოუწყვეტლად იმადლებენ კვალიფიკაციას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში; ის პირები, რომლებსაც აქვთ ამ საწარმოში მუშაობის ხანგრძლივი უწყვეტი სტაჟი; მუშაკები, რომლებმაც მოცემულ საწარმოში მიიღეს შრომითი დასახიჩრება ან პროფესიული დაავადება (კოდ. 36 მუხ.).

კოდექსის 34-ე მუხლის ძალით შტატის შემცირებით სამუშაოდან დათხოვნა დაიშვება, თუ არ არის შესაძლებლობა, რომ მუშაკი მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს სხვა შესაფერის სამუშაოზე.

2. თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს მ უ შ ა კ ი ს შ ე უ ფ რ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ო ტ ი ვ ი თ . კანონით სამუშაოდან დათხოვნა ამ მოტივით დაიშვება მხოლოდ მაშინ, როცა დადგენილია, რომ მუშაკი არასაკმარის კვალიფიკაციისა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას. კანონის ამ მოთხოვნის მიუხედავად ხშირია შემთხვევა, როცა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები შეცდომებს უშვებენ და ამ მოტივით სამუშაოდან ათავისუფლებენ პირს თუმცა ამის საფუძველი არა აქვთ. სამწუხაროდ ამ საკითხში სასამართლო ორგანოებიც უშვებენ შეცდომებს. ბრძანებების ფორმულირებას შეუფერებლობის მოტივით სამუშაოდან დათხოვნაზე სწორად თვლიან, მაშინაც კი, როცა სახეზე არ არის დაბალი კვალიფიკაცია ან შრომისუნარიობა, არამედ სხვა საფუძველზე, მაგალითად, მუშაკის მიერ სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მი-

ყენება და სხვ., რაც აშკარად კანონსაწინააღმდეგოა.

ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს ზომები, რომ მუშაკი, რომელიც შეუფერებელია მოცემული თანამდებობისათვის, გადაიყვანოს შესაფერის სამუშაოზე. ამასთან ეს დაიშვება მხოლოდ მუშაკის თანხმობით.

3. და თ ხ ო ვ ნ ა შ რ ო მ ი თ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი შ ე უ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო . ამ მოტივით სამუშაოდან დათხოვნა შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა მუშაკი არასაბაჰით მიზეზით სისტემატურად არ ასრულებს მოვალეობას, რაც დაკისრებული აქვს შრომითი ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით, თუ წინათ, მუშაკის მიმართ გამოყენებული იყო დისციპლინარული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების სასჯელის ზომები.

შრომის დისციპლინის დარღვევა სისტემატურად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა მუშაკის მიერ წინათ ჩადენილი იყო გადაცდომა, რისთვისაც მას დაედო დისციპლინარული სასჯელი ან მის მიმართ გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა, მაგრამ მუშაკმა ერთი წლის განმავლობაში ხელახლა დაუშვა გადაცდომა.

შრომის დისციპლინის დარღვევის ეს ნიშანი ყოველთვის არ წარმოადგენს ამ მოტივით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის საფუძველს. შრომის დისციპლინის განმეორებით დარღვევის ფაქტებთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი სიმძიმის ხარისხი და ის გარემოებანი, რა პირობებშიაც მოხდა დარღვევა. ასე მაგალითად, თუ მუშაკმა დაუშვა დისციპლინის რამოდენიმე დარღვევა, მაგრამ ისინი სერიოზული არ არის, ამ მოტივით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სწორად.

სამსახურებრივი მოვალეობის არასაბაჰით მიზეზით სისტემატურ შეუსრულებლობად ითვლება მოვალეობის განმეორებითი შეუსრულებლობა. (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა შრო-

მის კანონმდებლობის საფუძვლების გამო-
ყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის და-
დგენილება № 6, პ. 10).

მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის
დისციპლინარული სასჯელი, რომელიც და-
დებულია დაწესებული წესის დაცვით, კე-
რძოდ, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ში-
ნაგანაწესის მოთხოვნათა დაცვით. სასა-
მართლოები და პროფკავშირის ადგილობ-
რივი კომიტეტები ვალდებული არიან შეა-
მოწიონ წინათ დადებული დისციპლინარუ-
ლი სასჯელის სისწორე. თუ დადგინდება,
რომ სასჯელი არ შეესაბამება კანონმდებ-
ლობას, ასეთი სასჯელი მხედველობაში არ
მიიღება.

ტიპობრივი შრომის შინაგანაწესის მი-
ხედვით დისციპლინარული სასჯელი კარ-
გავს ძალას ერთი წლის გასვლის შემდეგ
თუ ამ ხნის განმავლობაში მუშაკს არ და-
დებია ახალი სასჯელი.

სასჯელი, რომელმაც ერთი წლის გასვ-
ლის გამო დაკარგა ძალა, აგრეთვე სასჯე-
ლი, რომელიც ადმინისტრაციამ ვადადმდე
ადრე მოუხსნა მუშაკს, მხედველობაში არ
მიიღება.

4. დათხოვნა არასაპატიო მი-
ზეზეთ გაცდენის გამო (მათ
შორის სამუშაოზე არაფხიზელ
მდგომარეობაში გამოცხადე-
ბა). გაცდენად ითვლება არასაპატიო მი-
ზეზეთ მთელი სამუშაო დღე სამუშაოდ არ
გამოცხადება. გამცდენებად ითვლებიან აგ-
რეთვე მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც
სამუშაოზე გამოცხადდებიან არაფხიზელ
მდგომარეობაში.

სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში
გამოცხადება ითვლება გაცდენად მიუხედა-
ვად იმისა თუ რა დროს ქონდა მას ადგი-
ლი, სამუშაო დღის დასაწყისში, შუა პე-
რიოდში თუ დღის ბოლოს.

სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობა-
ში ყოფნა დადგენილი უნდა იყოს ექიმის

ცნობით, მუშაობის ადგილზე შედგენილი
აქტით ან მოწმეთა ჩვენებებით.

გაცდენად ითვლება აგრეთვე: სამუშაოს
თვითნებურად მიტოვება; ადმინისტრაციის
თანხმობის გარეშე ორი კვირის გაფრთხი-
ლების ვადის გასვლამდე მუშაობის შეწყვე-
ტა; იმ პირთა მიერ სამუშაოს მიტოვება,
რომლებსაც დადებული აქტთ ხელშეკრუ-
ლება; ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ
სამწლიანი ვადის გასვლამდე სამუშაოს მი-
ტოვება.

მუშაკი თუ კანონის დარღვევით ე. წ.
(თუ თვითონ არ არის თანახმა) გადაყვან-
ილია სხვა მუდმივ სამუშაოზე, უკანასკ-
ნელ ადგილას სამუშაოდ გამოუცხადებლო-
ბა არ ითვლება გაცდენად. გაცდენად ჩაი-
თვლება ისეთი შემთხვევა, როცა მუშაკი კან-
ონწინააღმდეგადაა გადაყვანილი სხვა ადგი-
ლას სამუშაოდ და ის არასაპატიო მიზეზით
არ გამოცხადდება სამუშაოზე. ასევე გაც-
დენად ითვლება თუ მუშაკი საწარმოთ აუ-
ცილებლობის ან დისციპლინარული სასჯე-
ლის წესით დროებით გადაყვანილია სხვა
სამუშაოზე და ის იქ სამუშაოდ არ გამო-
ცხადდება.

5. დათხოვნა სამუშაოზე გა-
მოუცხადებლობის გამო შრო-
მის უნარის დროებით დაკარ-
გვასთან დაკავშირებით. მუშა-
მოსამსახურეთა ამ საფუძვლით სამუშაოდან
დათხოვნა შეიძლება იმ შემთხვევაში, რო-
ცა დროებითი შრომისუნარობა გრძელდე-
ბა ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავ-
ლობაში (ორსულობისა და მშობიარობის
გამო შევებულების ჩათვლელად). მუშებ-
სა და მოსამსახურეებს, რომლებმაც შრო-
მის უნარი დაკარგეს შრომითი დასახიჩრე-
ბისა თუ პროფესიული დაავადების გამო,
სამუშაო ადგილი ენახებათ შრომის უნარის
აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე.
ტუბერკულოზით დაავადებულებს, რომლებ-
მაც დროებით დაკარგეს შრომის უნარი, სა-
მუშაო ადგილი ენახებათ 12 თვე.

სამუშაოდან დათხოვნა შეიძლება მხო-
ლოდ დროებითი შრომისუნარობის პერი-

ოდში, გამოჯანმრთელების შემდეგ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა არ შეიძლება თუგინდ ავადმყოფობა ოთხ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდეს.

დროებითი შრომისუნარობის ყველა შემთხვევაში მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა დაიშვება მხოლოდ მაშინ, როცა ეს გამოწვეულია საწარმოო აუცილებლობით, თუ არის შესაძლებლობა, რომ ავადმყოფი მუშაკის სამუშაოს შესასრულებლად დროებით იქნეს მიღებული მუშაკი, ან მისი სიმუშაო განაწილებულ იქნეს სხვა მუშაკებს შორის, მაშინ ავადმყოფ მუშაკს შეიძლება სამუშაო აღგილი შეუნარჩუნდეს ავადმყოფობიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგაც მის გამოჯანმრთელებამდე ან ინვალიდობის დადგენამდე.

6. დათხოვნა იმ მიზეზით როცა სამუშაოზე აღადგენენ იმ მუშაკს, რომელიც ადრე ახრულებდა ამ სამუშაოს. ამ მოტივით მუშა-მოსამსახურის სამუშაოდან დათხოვნა შეიძლება მაშინ, როცა ამ სამუშაოზე შრომითი დავის განმხილველი ორგანოს დადგენილებით ან ქვემდებარეობის წესით ზემდგომ ორგანოს ბრძანებით აღდგენილია ის მუშაკი, რომელიც წინააღმდეგობას აჩვენებდა ამ სამუშაოს. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა აღდგენილია მუშაკი, რომელიც ამ სამუშაოზე იყო სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში გაწვევამდე და ის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა ან გაშვებულ იქნა თადარიგში არა უგვიანეს გაწვევის დღიდან სამი თვისა.¹

ამ მოტივით მუშაკს დაითხოვენ მაშინაც, როცა წინანდელ სამუშაოზე დაბრუნდა მუშაკი, რომელიც ამ სამუშაოდან წასული იყო არჩევითი თანამდებობებზე და არჩევითი უფლებამოსილობის ვადა დაუმთავრდა და მას კანონით ენახებოდა წინანდელი სამუშაო აღგილი.

მუშაკები, რომლებიც ხსენებული მოტი-

ვით სამუშაოდან დათხოვნას ექვემდებარებიან, მათი თანხმობით შრომითი მოწყობის წესით გადაყვანილ უნდა იქნენ სხვა სამუშაოზე თუ ამის შესაძლებლობა არის.

7. დათხოვნა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის საფუძველზე. სამუშაოდან დათხოვნა ამ მოტივით შეიძლება მაშინ, როცა მუშა ან მოსამსახურე მსჯავრდებულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისჯილი აქვთ პირობითი მსჯავრი) და ეს დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც სასჯელის ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი მუშაობა არასამუშაო აღგილას ან სხვა სასჯელი, რომელიც გამორიცხავს ამ სამუშაოზე მუშაობის გაგრძელებას (მუხ. 30, პ. 7).

კანონით არ დაიშვება შრომის ხელშეკრულების მოშლა იმ მოტივით, რომ მუშაკი პატიმრობაში იმყოფება ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

8. დათხოვნა ნდობის დაკარგვის მოტივით. მუშაკები, რომლებიც ემსახურებიან ფულად და სასაქონლო ფასეულობას, გარდა სხვა საფუძვლებისა შეიძლება სამუშაოდან განთავისუფლებულ იქნენ აღმინისტრაციის მხრივ ნდობის დაკარგვის მოტივით (სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. 6 ნომბრის დადგენილების პ. 6 და შრომის კანონის კოდექსის მუხლი 35-ე, პ. 2).

ამ კატეგორიის მუშაკებს ეკუთვნიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, ანუ ისინი, ვინც უშუალოდ აწარმოებენ ფულადი და სასაქონლო ფასეულობის მიღებას, შენახვას, ტრანსპორტირებას და განაწილებას. გარდა ამისა, ნდობის დაკარგვით შეიძლება სამუშაოდან დათხოვნილ იქნენ სხვა მუშაკებიც, თუკი მათ მუშაობის შინაარსის მიხედვით უშუალო დამოკიდებულება აქვთ ფულად და სასაქონლო ფასეულობასთან, ასე მაგალითად, ნდობის დაკარგვით შეიძ-

ლება სამუშაოდან დათხოვნილ იქნეს ტაქსის მძღოლი.

ნდობის დაკარგვის მოტივით არ შეიძლება სამუშაოდან გათავისუფლებულ იქნას ისეთი მუშაკები რომლებსაც არა აქვთ უშუალო დამოკიდებულება ფულად და სასაქონლო ფასეულობასთან (მაგალითად, მთანგარიშე, ბუღალტერი, მაღაზიისა და საწყობის მუშა და სხვ.).

ადმინისტრაციის მხრივ მუშაკის მიმართ ნდობის დაკარგვა უნდა ემყარებოდეს მუშაკის ბრალის ობიექტურ მტკიცებას ზარალის მიყენებისა ან უკანონო მოქმედების შესახებ (დანაკლისი, ვაჭრობის წესების დარღვევა, გატაცება, სარევიზიო და საინვენტარიზაციო აქტები და ა. შ.).

პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის სავალდებულება. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები“ მე-18 მუხლის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის 1971 წლის 27 სექტემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა დებულების“ — მე-18 პუნქტის და შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციის ინიციატივით მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა დაუშვებელია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შრომის ხელშეკრულების მოშლა უკანონოა და დათხოვნილი მუშაკი აღდგენილ უნდა იქნეს თავის ადგილზე.

კანონის ეს მოთხოვნები მიუთითებს, რომ საბჭოთა კანონმდებლობით გარანტირებულია მშრომელთა კანონიერი უფლებების დაცვა, რასაც სახელმწიფო ორგანოებთან ერთად პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ანხორციელებენ.

პროფკავშირის ორგანოები აქტიურად მონაწილეობენ შრომითი დავების გადაწყვეტის საქმეში, ისინი სარგებლობენ შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი შედამხედველობისა და კონტროლის უფლებით და სხვ.

მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნაზე თანხმობის მიცემის საკითხის გადაწყვეტის დროს პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ვალდებულია ზუსტად დაიცვას კანონები, განუხრელად შეასრულოს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდენტის 1965 წლის 8 იანვრის დადგენილება, რომლითაც პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტებს ევალებათ, რომ სამუშაოდან დათხოვნაზე თანხმობის მიცემის საკითხი განიხილონ კოლექტიურად, კომიტეტის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედის დასწრებით, აგრეთვე იმ პირის დასწრებით, რომლის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხია დასმული.

ადგილკომმა თანხმობა განთავისუფლების შესახებ უნდა მისცეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი მასალები ყოველმხრივ იქნება განხილული, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სამუშაოდან განთავისუფლება უკიდურესი ზომია და მას შეიძლება მიემართოს მასინ, როცა მუშაკთა მიმართ ფართოდ იქნება გამოყენებული დისციპლინალური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოყვა და მათი სამუშაოზე დატოვება საწარმო-დაწესებულებათა ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ადმინისტრაცია ვალდებულია, რომ ადგილკომს მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ წინასწარ მიმართოს წერილობითი შუამდგომლობით სანამ გამოიცემა ბრძანება სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაცია მუშაკს სამუშაოდან ითხოვს კანონის დარღვევით — ადგილკომის თანხმობის გარეშე და ადგილკომს მიმართავს მას შემდეგ,

როცა ბრძანება დათხოვნაზე უკვე გამოცემულია, ადგილკომმა არ უნდა განიხილოს ასეთი შუამდგომლობა და მით უმეტეს არ უნდა მისცეს თანხმობა დათხოვნაზე (საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 იანვრის დადგენილების პ. 3.).

საწარმოში, სადაც პროფკავშირის 15 წევრზე ნაკლები ირიცხება პროფკავშირის წესდების შესაბამისად ირჩევენ პროფორგანიზატორს. ასეთ პირობებში ადმინისტრაციამ თანხმობა მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ უნდა მიიღოს პროფორგანიზატორისაგან².

თუ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის მაღაზიებში და სასადილოებში არჩეულია ადგილკომები, უკანასკნელები იხილავენ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნაზე თანხმობის მიცემის საკითხს, ხოლო იმ პატარა მაღაზიების, სასადილოებისა და სხვა სავაჭრო ობიექტების მუშაკების სამუშაოდან დათხოვნაზე თანხმობის მიცემის საკითხს, სადაც არ არის არჩეული ადგილკომი, იხილავენ ტრესტების და სხვა შემდგომ სავაჭრო ორგანოებთან არსებული პროფკავშირის გაერთიანებული ადგილკომები.

ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლებისათვის ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისათვის დაწესებულია დამატებითი გარანტიები, ასე მაგალითად, იმ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნისათვის, რომლებსაც არ მიუღწევიათ 18 წლისათვის, გარდა პროფკავშირის ადგილკომის თანხმობისა, საჭიროა რაიონის (ქალაქის) არასრულწლოვანთა საქმის კომისიის თანხმობა. ადგილკომის თავმჯდომარეები და წევრები, რომლებიც არ არიან განთავისუფლებული ძირითადი სამუშაოსაგან, ადმინისტრაციის ინიციატივით არ შეიძლება დათხოვნილ იქნენ სამუშაოდან ადგილკომისა და შემდგომი პროფკავშირის ორგანოს თანხმობის გარეშე, ხოლო პროფორგანიზატორები შემდგომი პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის მიუღებლად.

მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მუშაკის სამუშაოდან დათხოვნაზე ადგილკომის თანხმობის მოქმედების ვადა, პრაქტიკით კი ეს ვადა განისაზღვრება ერთი თვით.

პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება სამუშაოდან დათხოვნაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და ის არ შეიძლება შეცვლილ იქნეს შემდგომი პროფკავშირის ან სხვა ორგანოს მიერ. ასევე ამ დადგენილებას ვერ გაასაჩივრებს ადმინისტრაცია და ვერც პროკურორი გააპროტესტებს.

ადმინისტრაციის მიერ თუ მუშა-მოსამსახურე სამუშაოდან დათხოვნილია პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე, ის ადგენილ უნდა იქნეს წინანდელ სამუშაოზე „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 6 დადგენილების პ. 8), ხოლო ასეთ შემთხვევაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 13 ნოემბრის № 11 დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე სასამართლოები ვალდებული არიან, რომ საქმის განხილვისას არ შეამოწმონ არსებითად დათხოვნის მოტივი და მის გარეშე გამოითქანონ გადაწყვეტილება სამუშაოზე ადგენის შესახებ. როცა ადგილკომის თანხმობის გარეშე სამუშაოდან დათხოვნილი მუშაკი ადგენილია საქმის არსებითად განხილვის გარეშე, ადმინისტრაციას უფლება აქვს, რომ მუშაკის სამუშაოზე ადგენის შემდეგ ადგილკომში დააყენოს საკითხი იმავე მოტივით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილების პ. 4).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის

² ვაზ. «Труд», 1965 წ. 23 ივნისი.

მე-4 ბუნქტის საფუძველზე სასამართლოები ვალდებული არიან, რომ სამუშაოზე აღდგენის გადაწყვეტილებანი გამოიტანონ დაუყოვნებლივი აღსრულებით.

უკანონოდ დათხოვნილ მუშაკს, რომელიც აღდგენილია წინანდელ სამუშაოზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა აუნაზღაურდეს იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არაუმეტეს სამი თვისა (კოდექსის 207 მუხლი).

თუ მუშაკი სამუშაოდან დათხოვნილია კანონის აშკარა დარღვევით, ან ადმინისტრაციამ დააყოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, კოდექსის 309-ე მუხლის ძალით სასამართლომ თანამდებობის პირი, რომელიც დამნაშავეა მუშაკის უკანონოდ დათხოვნაში, საქმეში უნდა ჩააბას მოპასუხის მხარეზე მესამე პირად და მას დააკისროს ანაზღაურის საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალი იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. თანამდებობის პირზე დაკისრებული ზარალის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირის სამი თვის ხელფასს.

კ ა ნ ო ნ ი ს ა შ კ ა რ ა დ ა რ დ ვ ე ვ ა დ მ ი ჩ ნ ე უ ლ ი ა : მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე; სამუშაოდან დათხოვნა კანონით გაუთვალისწინებელი საფუძველით; სხვა მუდმივ სამუშაოზე მუშაკის გადაყვანა მისგან თანხმობის მიუღებლად; სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 6 დადგენილების პ. 16).

ფულადი მოთხოვნის თაობაზე განაცხადების განხილვისას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუშაკს სამუშაოზე აღდგენის დროს უნდა გადაუხადონ იძულებითი განაცდური დროის ხელფასი ან ხელფასში განსხვავება

მცირეხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროს) შრომითი დავის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომ მუშაკს კუთვნილი თანხა გადაუხადონ სულ დიდი ერთი წლისათვის, ხოლო სამუშაოდან დათხოვნისას გამოუყენებელი შვებულებისათვის — სულ დიდი ორი სამუშაო წლისათვის.

მსგავს შემთხვევაში წინათ მოქმედი კანონმდებლობით მუშაკთა ფულადი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა არაუმეტეს სამი თვისა.

მუშებმა და მოსამსახურეებმა შეუძლიათ შრომითი დავის კომისიას ყოველთვის მიმართონ, ვადა არ იზღუდება (პ. 13).

ახალი დებულება ითვალისწინებს შრომითი დავის განხილვაში პროფკავშირის ორგანოების უფლებათა შემდგომ გაფართოებას.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 28 ივლისს მიიღო დადგენილება „შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

აღნიშნული დადგენილება პროფკავშირულ ორგანოებს ავალებს, რომ მუშა-მოსამსახურეებს აუხსნან და განუმარტონ ახალი დებულების საკითხები, მოაწონ პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტისა და შრომითი დავის განმხილველი კომისიის წევრების მიერ დებულების შესწავლა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა, რომ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის დროს მტკიცედ დაიცვან შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები.

პრეზიდიუმის დადგენილება იმაზეც მიუთითებს, რომ პროფკავშირის ადგილობრივმა კომიტეტებმა არ უნდა განიხილონ ადმინისტრაციის წარდგინება და არ მისცენ თანხმობა დათხოვნაზე მუშაკის დათხოვნის შესახებ ბრძანების გადმოცემის შემდეგ.

პროფკავშირის ადგილობრივი კომიტე

ტები ვალდებული არიან ადმინისტრაციის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის დროს გააძლიერონ კონტროლი იმაზე, რომ უკანონოდ არ დაითხოვონ მუშა-მოსამსახურეები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 მაისის ბრძანებულებით დამტკიცებულია „დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ“. მის დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად არის მიჩნეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულება „შრომითი დავის განხილვის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ და 13 საკანონმდებლო აქტი¹.

ახალი დებულება ასახავს შრომითი დავის განხილვის წესში იმ არსებითს ცვლილებებს, რაც მოახდინა შრომის კანონმდებლობის საფუძვლებმა, გაფართოებულია მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების სასამართლო დაცვის გარანტია.

შრომითი დავის კომისიები ამ დავის განხილვის აუცილებელი პირველადი ორგანოებია. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის (საამქროს) და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შეთანხმებით. ამ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა აქვს და არაერთი დამტკიცება არ ესაჭიროება.

შრომითი დავის კომისიები განიხილავენ საკითხებს: სხვა სამუშაოზე გადაყვანა და შრომის ანაზღაურება გადაყვანისას; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელიც ადმინისტრაციის ინიციატივით არ მომხდარა (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც სათვისაც სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილია შრომითი დავის განხილვის

სხვა წესი); შრომის ანაზღაურება გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის, მოცდენისა და წუნის დროს; საზღვანაკვეთო მუშაობისა და ღამის მუშაობის ანაზღაურება; დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის კომპენსაცია.

შრომითი დავის კომისიები განიხილავენ აგრეთვე მუშაკთა და ადმინისტრაციის შორის შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავას სამსახურებრივი მივლინების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის, სამუშაოზე მიღების ან სხვა ადგილზე გაგზავნასთან დაკავშირებით კომპენსაციის გადახდის, იძულებითი განაცდურის გაცემის (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სამუშაოზე აღდგენის თაობაზე დავის განხილვისას), საწარმო-დაწესებულებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ხელფასიდან დაკავებული ფულადი თანხის დაბრუნების, პრემიის მიღების უფლებისა და ოდენობის, დაწესებული ყოველწლიური შვებულების ანაზღაურებისა და სამუშაოდან დათხოვნისას გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის, ნამსახურობის გასამრჯელოს გადახდის, დისციპლინური სასჯელის დადებისა და სხვა საკითხებს.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების მიზნით სასამართლოები ვალდებული არიან, როცა ადგილი აქვს შრომის კანონმდებლობის დარღვევების შემთხვევებს, დამნაშავე თანამდებობის პირების მიმართ გამოიტანონ კერძო განჩინებანი და ის სათანადო რეაგირებისათვის აცნობონ შესაბამის ზემდგომ ორგანოებს და მოითხოვონ მათგან განჩინებაში დაყენებული საკითხების მოგვარება.

აღვკაბე ბ. შონია.

¹ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1974 წ. № 22.



სასამართლო რეფორმა და ნაწილთა ვაქილთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოში

ბ. სარბთიშვილი

ქ. IX საუკუნის 60-იანი წლების მეფის რუსეთის ბურჟუაზიულ რეფორმათა შორის ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1864 წლის სასამართლო რეფორმა. რეფორმა გულისხმობდა წოდებრივი სასამართლოს გაუქმებას. 1864 წლის „სასამართლო წესდებულებით“ შეიქმნა რამდენიმე სასამართლო ინსტანცია (მომრიგებელთა სასამართლო, საოლქო სასამართლო, სასამართლო პალატა), რომელიც გამოეყო ადმინისტრაციას. საქმეს წინასწარ იძიებდა სასამართლოს გამომძიებელი. საქმის განხილვა სასამართლოში წარმოებდა მხარეთა მონაწილეობით და, რაც მთავარია, სამართალში მიცემულის ბრალეულობის საკითხს წყვეტდნენ საზოგადოების ყველა წოდებიდან არჩეული ნაფიცო მსაჯულები. მართალია, ნაფიცო მსაჯულად არ შეიძლებოდა აერჩიათ მუშები, ხელზე მოსამსახურენი და ისინი, ვინც ქირით მუშაობდა, მაგრამ ასეთი კლასობრივი შეზღუდულობის დროსაც კი ნაფიცო მსაჯულთა ინსტიტუტის დაწესება მაინც პროგრესული მოვლენა იყო, რაც აღნიშნა ვ. ი. ლენინმა — «Участие народных заседателей в суде есть, несомненно начало демократическое»¹.

სასამართლო რეფორმის დემოკრატიული საწყისი მყარია არ იყო, ხელისუფლება რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარების გამო თანდათან კვცდდა მას. 1881 წელს მეფე ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა საქმის გამოძიება კვლავ უნდადარმერისა გადაეცა, განხილვა კი — სპეციალურ საკრებულოებს.

როგორც ბატონყმობის გაუქმება, ისე სასამართლო რეფორმაც საქართველოში მოგვიანებით

(1868 წ.) და რაც მთავარია, ნაწილობრივ, შეკვეცილად განხორციელდა. სახელდობრ, საქართველოში ისევე, როგორც სხვა განაპირა მხარეებში, არ განხორციელდა ყველაზე არსებითი. არ შეუქმნიათ ნაფიცო მსაჯულთა ინსტიტუტი, საქმეებს კვლავ იხილავდნენ ხელისუფლების მიერ დანიშნული მოსამართლეები და რუსულ ენაზე. სასამართლო რეფორმის ასეთ შეკვეცას მეფის ხელისუფლება „კავკასიის სპეციფიკური პირობებით“ და „მოსახლეობის მოუზადებლობით“ აპართლებდა.

მეფე ალექსანდრე მეორემ 1867 წლის 9 დეკემბერს დაამტკიცა კავკასიისათვის სპეციალურად შემუშავებული „სასამართლო წესდებულება“, რომლის შესაბამისად საქართველოში დაარსდა თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები, თბილისის სასამართლო პალატა. თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები, აგრეთვე თბილისის სასამართლო პალატა გაიხსნა 1868 წლის 9 თებერვალს. სასამართლოების გახსნას დაესწრნენ დიდი თანამდებობის პირნი. სასამართლოების გახსნა მოხდა წინასწარ შემუშავებული პროგრამით. წაიკითხეს მეფის ნაცვლის ბრძანება თბილისის სასამართლო პალატის, საოლქო სასამართლოსა და თბილისის გუბერნიის მომრიგებელ მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ, შემდეგ მოსამართლეებმა 1864 წლის „სასამართლო წესდებულების“ შესაბამისად დადეს ფიცი. სასამართლოები აკურთხა მღვდელმა. ასეთივე ცერემონიალით მოეწყო საოლქო სასამართლოს გახსნა და გუბერნიის მომრიგებელი მოსამართლეების დანიშვნა.

ქუთაისის სასამართლოს გახსნა-კურთხევაზე იქადაგა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გაბრიელმა¹.

¹ В. И. Ленин, соб. сочинений, том 12, стр. 278.

¹ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გაბრიელი გახლდათ გერასიმე ქიქოძე, რომელმაც 1859 წელს მაგისტრის წოდებით დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია და ეპისკოპოსად კურთხევამდე თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი და ფილოსოფიისა და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი იყო. მან რუსულ ენაზე დაწერა საინტერესო შრომა ფსიქოლოგიაში.

1860 წელს კურთხულ იქნა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად და სახელი გაითქვა სასარგებლო მოღვაწეობით.

გაბრიელის ქადაგება (სიტყვა) საეკლესიო ერთ იყო წარმოთქმული. მაგრამ ეს სამართლისა და ისტორიის მცოდნის სიტყვა გახლდათ, გაბრიელი რეფორმას სასარგებლოდ მიიჩნევდა, ის ფიქრობდა, სასამართლო პროცესის საქაროობის წყალობით, „სამართალი უფრო სამართლიანი“ იქნებოდა. მისი თქმით, ძველი სამართალი უკანონო და უსამართლო იმიტად იყო, რომ მოსამართლენი საქმეებს დახურულ დარბაზში არჩევდნენ და „არავინ იყო მხოლეუბელი და გამამტყუნებელი მათი“, ახლა კი საზოგადოების ზეგავლენით იგი უფრო სამართლიანი იქნება, და საზოგადოებას მოუწოდებდა „რითაც შეგეძლოს შეეწიე მსაჯულთა, რათა სიმართლე არ დაიშალოს. მოწმედ თუ იქნები მოწოდებული, კეთილ-სინდისიერად აღიარე ყოველივე, რაიცა იცი. აჰა, ესრეა, კარნი სასამართლოსანი გაღებულნი, ხშირად შეხვიდე სასამართლოში და ყური დაუგად, როგორ წარმოებეს სამართალი. თუ შეიტყო, რომ მოსამართლე გონიერად მიუძღვის სამართალსა, აქე, დალოცე, წაახალისე; თუ სიმართლეს რამე შეატყო, თამამად გაამტყუნე, ბევრი იქვირე საზოგადოებაში. ესრეთი ბეჯითი საზოგადოების ყურადღება მღვიძარედ და ფრთხილად დაიჭირეს მოსამართლეთა და აქედგან საზოგადოებას მოეცემა აღუწერელი და განუწმელი სიკეთე“.

გაბრიელს იმედი ჰქონდა, რომ საქმის განხილვის ახალი წესი უკეთ დაიცავს ადამიანის ღირსებას. ჩვენში პატივისცემა აქვს ტანისამოსს, სახელსა და სახესა, პატივისცემა აქვს სიმდიდრესა. ადამიანს კი პირადი პატივი არა აქვს. საწყალი და ღარიბი კაცი ხშირად იყო დაურვილი და გასრესილი მდიდრისა და მძლავრისა კაცისაგან. გარნა ამიერიდან იქნება, ღვთის მადლით, ახალმა სჯულმა ჩვენ გვასწავლოს პატივისცემა კაცისა, ვითარცა კაცისა, ადამიანისა“.

სასამართლოში საქმის განხილვის ახალი წესი (საქარობა) გაბრიელს იმიტომაც მოსწონს, რომ იგი მას ძველ ქართულ სამართალს აგონებს, თუმცა კარგად იცის, რომ ძველი ქართული სამართალიც ხშირად უსამართლო და უკანონო იყო. „ახლად დაწესებული სამართალი კიდევ მისთვის უნდა იყოს ჩვენ აქართა მცხოვრებთათვის საყვარელი, რომ იგი, ერთის მხრით, დაემსგავსება ძველად მყოფ ჩვენში სამართალსა და ჩვეულებებსა. ძველს დროში ჩვენში სამართალი, თუმცა იყო სუსტი, ხშირად პირმოთენ და უმართო, გარნა ერთი

თვისება ჰქონდა მას კარგი, იგი მალე მოთავდებოდა, წარმოებდა სახალხოდ, ხშირად ხეთა ქვეშ და ეზოებში“².

1864 წლის „სასამართლო წესდებულების“ მანქანის მიხედვით სასამართლო პალატასა და საოლქო სასამართლოებთან ბრალდებულთა, მოდავეთა და სასამართლო პროცესის სხვა მონაწილე პირთა ინტერესების დასაცავად ჩამოყალიბდა ნაფიც ვეჟილთა დასი, რისთვისაც სასამართლოების გახსნამდე მეფის ნაცვლის განკარგულებით საოლქო სასამართლოებთან შეიქმნა საგანგებო კომიტეტები, რომლებიც განიხილავდნენ ნაფიც ვეჟილთა დასში შესვლის მსურველთა თხოვნას და ამ გზით ადგენდნენ დასს. კომიტეტები 1868 წლის 10 იანვრიდან შეუდგნენ მუშაობას. ნაფიც ვეჟილთა დასში მიღების პირობები გამოკვეთდა გაზეთ „აკაკაშში“.

საოლქო სასამართლოების არქივში ვერ მივაგენით კომიტეტების პირველ სხდომათა ოქმებს, მაგრამ 1868 წელს თბილისის ოლქის სასამართლოში ნაფიც ვეჟილად ჩარიცხული ვ. გ. მაჩაბლის პირადი საქმის შესწავლა ნათელყოფს მიღების პროცედურას.

„1868 წლის 16 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარის ნაცვლად თავმჯდომარის ამანაგა ე. ვ. ზურგარტი, სასამართლოს წევრების: თ. თ. წინამძღვაროვის, ა. ნ. კაჩუხოვის, თ. ი. ბებუთოვის, ა. ვ. სპირიდონოვის, ბროკურორის თანაშემწის ე. ს. კოვალიოვის მონაწილეობით და ი. ს. ეხოტოვიჩის მდივნობით განიხილა თხოვნა პეტერბურგის საოლქო პალატის ნაფიც ვეჟილად ჩარიცხვის შესახებ.

თავადი მაჩაბლის თხოვნას თან ერთვის პეტერბურგის სასამართლო პალატასთან არსებულ რწმუნებათა საბჭოს 1868 წლის 7 ნოემბერს გაცემული მოწმობა, საიდანაც მტკიცდება, რომ თავადი მაჩაბელი აკმაყოფილებს 878-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას და პროკურორის დასკვნის თანახმად მიღებული დადგენილება: თავადი მაჩაბელი ჩარიცხულ იქნეს თბილისის სასამართლო პალატის ნაფიც ვეჟილად“³.

„სასამართლო წესდებების“ 381-ე პარაგრაფის მიხედვით სასამართლოში ვეჟილად ჩარიცხულს ფიცი უნდა დაედო. დადგენილი იყო ფიცის ასეთი ტექსტი: — „ფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთს ვეყვე ერთგული მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ ხელმწიფე იმპერატორისა და ზუს-

² „ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, თქმულნი 1860-1870 წლებში“ წიგნი I, გამოცემა მეოთხე, ქუთაისი, 1913 წ. გვ. 444-447.
³ სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფონდი 116, № 729.



ტად აღვასრულო იმპერიის კანონები, სასამართლოში არაფერი ვთქვა და არ დავწერო ისეთი რამ, რაც შეარყევს მართლმადიდებელ ეკლესიას, სახელმწიფოს, სასოგადოებას, ოჯახსა და კეთილშენობას. კეთილსინდისიერად შევასრულო დაკისრებული ვალდებულებები. პატივი ვცე მართლმსაჯულებას, ხელისუფლებას, დავიცვა იმ პირთა ინტერესები, რომელთაც მე მომანდეს თავიანთი საქმენი. მარად უამს მეხსობება, რომ პასუხს ვაგებ ღმერთისა და კანონის წინაშე. ამის დასტურად ვემთხვევი მაცხოვრის სიტყვებსა და ჭვარს. ამინ“.

ნაფიც ვეკილთა კორპორაციამ ბევრი მიიზიდა. მეფის ხელისუფლების ბევრმა მოხელემ თავი დაანება სამსახურს და ვეკილობას მიჰყო ხელი. მათი აზრით, ეს ასპარეზი ფულის შოვნის იოლი საშუალება იყო. ასეთმა პირებმა კორპორაციას სასოგადოების თვალში სახელი გაუტეხეს, რაც კარგად აისახა როგორც რუსულ, ისე ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. საქმონები და გამორჩენის მაძიებელი ვეკილები გულისწყრომით ამხილეს ნ. ნეკრასოვმა, მ. სალტიკოვ-შედრინმა, ლ. ტოლსტოიმ, თ. დოსტოევსკიმ, ა. ჩეხოვმა, ქართულ ლიტერატურაში —აკაკი წერეთელმა, ვაჟა ფშაველამ და სხვებმა. ხოლო ნაფიც ვეკილთა მეორე ნაწილი, რომელიც კორპორაციაში მოვიდა და ჰქონდათ საჭირო მეცნიერული მომზადება, კულტურა, გამსჭვალული იყვნენ რევოლუციურ-ღვთმორატული იდეებით ან თანაუგრძნობდნენ ამ იდეებს, ნამდვილი სასოგადოებრივი მოღვაწენი გახდნენ. ისინი თავიანთ სიტყვებში ამხილებდნენ სოციალურ მიზეზებს, რომლებიც წარმოშობდა დანაშაულს. მართლაც, 80-იანი წლებიდან, როცა მეფის ხელისუფლება ყოველნაირად ებრძოდა და ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას, პროგრესულ პრესას, სასამართლო ტრიბუნა ერთ-ერთი ადგილი იყო, საიდანაც ვეკილს, ასე თუ ისე, თავისუფლად შეეძლო ემსჯელა, თუმცა, თავისუფალი მსჯელობისათვის ხელისუფლება ხშირად მათ, როგორც სახელმწიფო დამნაშავეებს. მეფის რუსეთის ხელისუფლება, სასოგადოების მიერ ნაწილის — ექსპლოატატორთა კლასის ინტერესებს იცავდა. ვეკილები იცავდნენ „დამნაშავეს“ ანუ გაბატონებულ კლასის პოლიტიკურ მტრებს და ამრიგად ნაფიც ვეკილობა თანდათანობით ყალიბდებოდა პროგრესული საქმიანობის მებრძოდ პროფესიად.

ცნობილი სასამართლო მოღვაწე ა. თ. კონი თავის მოგონებაში აგვიწერს ვერა ზასულიჩის

საქმის გამო გამართულ სასამართლო პროცესს (ვ. ზასულიჩმა პეტერბურგის მმართველი, გენერალი ტრეპოვი დაჭრა) და გადმოვეცემს იმ დიდ აღტაცებას, რომლითაც პეტერბურგის სასოგადოების პროგრესული ნაწილი ვ. ზასულიჩის გამართლების შემდეგ შეზავდა ნიკეილს პ. ალექსანდროვს: „ალექსანდროვი ვერ ასწრებდა ყველასათვის ხელის ჩამორთმევას და ჩამოვიდა თუ არა კიბეებიდან, ხალხს ხედში აიტაცა და ასე ხელში აყვანილი. გამარჯვების სადღესასწაულო შედახილებით მიიყვანა ლიტინის ქუჩაზე“.

ასეთივე აღტაცებით შეზავდა რუსეთის მოწინავე სასოგადოებრიობა ბეილისის დამცველ ადვოკატებს კიევში 1918 წელს და ასევე ხელში აყვანილი მიჰყავდათ პარიზის მშრომლებს ვეკილები 1894 წელს, როცა სასამართლომ გამართლა დრეიფუსი, რომელიც, ანტისემიტური მოძრაობის გასაღრმავებლად, საფრანგეთის მონარქისტულ-კლერიკალურმა ბურჟუაზიამ და რეაქციულმა სამხედრო წრეებმა განსახველის სკამზე დასვეს.

კავკასიაში და კერძოდ საქართველოში სასამართლო რეფორმის შეკვეცას წინ აღუდგა ქართული პრესა. დაიბეჭდა მამხილებელი წერილები. გაზეთი „დროება“ წერდა: „რაც საუკეთესო მხარე ჰქონდა ამ რეფორმას, იმისი ღირსი არ გაგვხადეს ჩვენ. ჩვენში არ არის ნაფიცი მსაჯულები, არ არის მობრიგებელი მოსამართლეების ამორჩევით დანიშვნა ისე, როგორც რუსეთში არის“⁴ „დროება“ აყენებდა აგრეთვე ენის საკითხს: „მომატებულიად ხელისშემშლელი და დამბარკოლებელი ჩვენი სასამართლოების ის გარემოებაა, რომ სამართლის აღმსრულებლად და გამჩენად ისეთი პირები დაგვინიშნეს, რომელთაც ჩვენი ენა არ იცინა, არც ხასიათი, არც ჩვეულება, არც ძველი კანონები და არც ახალი ცხოვრება და ამ ცხოვრების მოთხოვნილება ამგვარ მოსამართლეების ხელში სრულად უნაკლო და ჩვენს ცხოვრებაზე შედგამოჭრილი კანონებიც რომ იყოს, ცხადია, რიგაინი სამართალი მაინც არ დაწესდებოდა ჩვენში“⁵

გაზეთი „კვალიც“ აღნიშნავდა, რამდენად ხელსაყრელი იყო ხელისუფლებისათვის საქმის განხილვა მათივე დანიშნული მოსამართლეების მიერ, და შემდეგ წერდა: „ვემპირები მართლმსაჯულება მაშინ არის, როდესაც სასამართლოს წარმოებაზე პირად გავლენას ადგალი აქარ ექნება. ამისთანა თვისებებით კულტურა შემკულია ნაფიცთა სასამართლო. ვიდრე პოეტობის სამართალი. სამ კაცზე უფრო აღ-

⁴ „დროება“ 1882 წ. № 63.
⁵ იქვე.



ვალთ შეიძლება გავლენის მოხდენა, უიღრე თერთმეტ კაცზე. ამას გარდა ეს სამი პირი წინააღმდეგ არიან მოსამართლეებათ ცნობილი და ბრძანდებიან უმაღლეს იერარქიულ ხარისხში აყვანილნი“.⁶

სასამართლო რეფორმის შეზღუდვის შესახებ აკაკი წერეთელმაც დაბეჭდა ვრცელი წერილი „რამოდენიმე სიტყვა კავკასიის მხარეში სასამართლო წარმოების შესახებ“, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ქართული პრესისათვის ანგარიში არ გაუწევია, პირიქით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ხელისუფლება კვეცავდა და ზღუდავდა სასამართლო რეფორმას.

სასამართლო რეფორმის შეკვეცის გამო ქართველ ნაფიც ვეჟილებს გაცილებით მძიმე პირობებში მოუხდათ მოღვაწეობა, ვიდრე მათს რუს კოლეგებს. საქმის წარმოებას განსაკუთრებით აბრუნდებოდა სასამართლოებში საქმეთა რუსულ ენაზე განხილვა. მართალია, ქაროველმა ნაფიცმა ვეჟილებმა კარგად იცოდნენ რუსული ენა (თითქმის ყველას უმაღლესი იურიდიული განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული), მაგრამ რუსულ ენაზე წარმოთქმული სიტყვა მეტ წილად არც ბრალდებულს, არც მოადვეგებს და არც დამსწრე საზოგადოებას არ ესმოდათ. სასამართლოებში საქმეს თარჯიმნის მეშვეობით ვანიხილავდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ თარჯიმანს ძალზე მცირე ხელფასი ეძლეოდა, ამ საქმეს შემთხვევითი პირები, რუსული ენის ძალზე სუსტად მცოდნენი კისრულობდნენ, ანტიკომაც ხშირი იყო კურორსული შემთხვევები. რამდენიმე ასეთ შემთხვევას აგვიწერს აკაკი წერეთელი: ქართველი გლეხის საჩივარს განიხილავდა რუსი მოსამართლე. გლეხი უჩიოდა მეზობელს, რომელმაც მას დედა ღორი და ღორი გოჭი მოუკლა. თარჯიმანს გაგონილი ჰქონდა, რომ ღორი რუსულად არის „სვინია“, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეთქვა გოჭი რუსულად და მოსამართლეს გლეხის საჩივარი შემდეგნაირად უთარგმნა: «Господин судья! этот крестьянин жалуется на своего соседа, что он убил свинию и двух детей». მოსამართლე ვერ მიხვდა ეგონა, გლეხს მართლაც ბავშვები მოუკლესო და კანონის შესაბამისად საქმე ვალდაც გამოძიებულს სისხლის სამართლის წესით განსახილველად.

რუსეთის პროგრესული საზოგადოება ადფრთოვანებით შეხვდა სასამართლო რეფორმას, კერძოდ, სასამართლო პროცესის საჯარობას, ნაფიც მსაჯულთა და ვეჟილთა ინსტი-

ტუტის ჩამოყალიბებას, მაგრამ ხელისუფლები-სა და საზოგადოების რეაქციულ წრეებს ეს ფაქტი აშინებდათ და დასვეს ნაფიც ვეჟილთა უფლებამოსვალეობის განსაზღვრის საკითხი. მათი მოთხოვნით სასამართლოში ვეჟილს მხოლოდ კანონის მიხედვით უნდა ემსჯელა, გაერკვია, რამდენად არის ბრალდებულის ქმედობა სახელმწიფო კანონის დარღვევა, ამასთან არაფერი არ უნდა ეთქვა კანონის ავტარვანობაზე. ნაფიც ვეჟილთა სიტყვის შესაზღუდავად პრესაში ხმა აიმაღლა რეაქციულ-შავრაზ-მული მიმართულების „მოხკოვსკი ვედომოსტის“ რედაქტორმა მ. კატკოვმა, რომელმაც 1865 წლის 22 ივნისს ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. მ. კატკოვის წერილმა აღაშფოთა რუსეთის პროგრესული იურიდიული წრეები. ისინი მიხვდნენ, რომ ეს მარტო მ. კატკოვისა და „მოხკოვსკი ვედომოსტის“ რედაქციის მოსაზრება კი არ იყო, არამედ ხელისუფლები-საც. მ. კატკოვს საქართველოში სახელმძღვანელო ბუბლიისტი, რევოლუციონერ დემოკრატი ნიკო ნიკოლაძე გამოეხმაურა. იგი წერდა, რომ ნაფიც ვეჟილი არ უნდა დასჯიერდეს კანონის განმარტებას და ჩადენილ დანაშაულთან მის შედარებას, პირიქით, ვეჟილმა თვით კანონის ავტარვანობაზე უნდა იმსჯელოს და ამხილოს ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობს აღამიანს დანაშაულის ჩადენაში. ნ. ნიკოლაძის წერილში ვკითხულობთ: „კაცს რაც უნდა სუსტად ჰქონდეს შეგნებული აღამიანის ბუნების აუცილებელი მოთხოვნილებანი, მისთვის ცხადია, რომ ასეთ საქმეებში უნდა ეყრდნობოდეს სხვა რამეს და არა კანონის ვიწრო ცნებას. თუ კაცი დოქტრინორობის ჯურღმულში არ დახვავებულა და არ შთანთქმულა, მისთვის დღესავით ნათელია შემდეგი: ყოველთვის როცა ერთმანეთს შეეჯახება, ერთის მხრივ, ცალკე ინდივიდების ინტერესები მეორე მხრით საზოგადოების ინტერესები, მაშინ კანონზე მალა, — რომელიც არამც თუ სრულყოფილი არ არის, არამედ ცოტათ თუ ბევრად უსამართლო ყოველ არსებულ სახელმწიფოში, — უნდა იღვეს ქეშმარიტება და სიმართლე; ეს ქეშმარიტება და სიმართლე დამოკიდებული არაა არავითარ კანონმდებლობაზე: თუნდაც იგი შედგენილი იყოს „ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ 1-ლის ბრძანებით“, თუნდაც მასზე ხელი მოწერილი ჰქონდეს ინგლისის თვითმმართველობისა და რუსულ-თათრული ბატონყმობის ზამოსკვარჩიელ დამცველთა არეობაგს. დანაშაულთა დიდ უმრავლესობას საუკეთესოდ უდაგება საერთო წესი: არ არსებ-

⁶ ვახუთი „ვეალი“ 1889 წ. № 51.



ბობს მოქმედება უმიზნოთ, ე. ი. დანაშაულობა ხდება ინდივიდის განვითარებისა და მისი ცხოვრების არახელსაყრელი პირობების ზეგავლენით; მასხადამე, დანაშაულობის აღმოსაფხვრელად საჭიროა მოისპოს მძიმე და დუხჭირი პირობები, რომელნიც დანაშაულსა ქმნიან.⁷

შემდეგ:

„როცა ბუქღვითი სიტყვის თავისუფლება არ არსებობს, როცა თავის მოყრა და საზოგადოებრივი კრება აკრძალულია, როცა არ არსებობს ის, რასაც პოლიტიკურ ენაზე „ტრიბუნა“ ეწოდება, მაშინ“ აღვოკატურა, თუ მთლიანად არ შთანთქავს, თვალსაჩინოთ მაინც მიიზიდავს ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეებს და ყველას, ვინც მისთვის ოცნებობს. იგი შექმნილსამებრ კეთილ მოქმედებად გადაიქცევა. ან ბუქღვითი სიტყვის, კრების და ტრიბუნის მაგივრობას გაწევს. ჩვენ ოდნავადაც არ ვაპარბებთ აღვოკატურის მნიშვნელობის შეფასებაში“.⁸

როგორც ვხედავთ, მოწინავე დემოკრატიული საზოგადოება ნ. ნიკოლაძის პირთი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანის შესრულება აკისრებს ნაფიც ვეჟილთა ინსტიტუტს.

მართლაც, ხალხოსნების მიერ მეფე ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ, როდესაც დაიხურა დემოკრატიული პრესა, აიკრძალა საზოგადოებრივი კრებები და საჯარო გამოსვლები, ნაფიც ვეჟილებს მაინც რჩებოდათ რაღაც შესაძლებლობა სასამართლო ტრიბუნაიდან ემხილებინათ სახელმწიფო სისტემის და საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი მხარეები, დეცვათ მშრომელი ხალხის სოციალური და ეროვნული ინტერესები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ ნაფიც ვეჟილთა პირველ თაობას განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათი აზროვნება ყალიბდებოდა გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ხალხოსანთა რევოლუციური ტრადიციების გავლენით, და კანონზომიერი იყო, რომ ქართველ ნაფიც ვეჟილთა პირველი თაობა დემოკრატიულ-რევოლუციური მოძრაობის მონაწილე გახდა.

სახელმწიფო არქივში ვერ აღმოვაჩინეთ ნაფიც ვეჟილთა მიღების თაობაზე წარმოებული პირველი ოქმები, მაგრამ სხვადასხვა წყაროთი შეიძლება იმის გარკვევა, თუ ვინ მოჰკიდა ხელი ამ პროცესის სასამართლო რეფორმის პირველ პერიოდში, ე. ი. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. ნაფიც ვეჟილთა პირველ თაობას უნდა მავაკუთვნოთ თერგდალეულთა ლიდერი ილია

ჭავჭავაძე, გიორგი ლოლობერიძე, ნიკოლოზ გამრეკელი, გიორგი სიღამონ-ერისთავი, ვასილ მაჩაბელი, ალექსანდრე ქორჭაძე, დავით და პიხელი ხედთუნიშვილები, მოსე ქიქოძე, ლუარსაბ ლოლუა, მექი ფაღავა, დავით ლორთქიფანიძე, ვასილ მაჩაბელი და სხვანი.

სასამართლო ტრიბუნას ისეთი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა, რომ სასამართლოებში ბრალდებულთა და სამოქალაქო პროცესებში მხარეთა დაცვას ხელი მოჰკიდეს ქართველმა მწერლებმაც. ამ შემთხვევაში ყველაზე ნიშანდობლივია ანტონ ფურცელაძისა და თერგდალეულთა ერთ-ერთი ლიდერის, დიდი პოეტის აკაკი წერეთლის იურიდიული საქმიანობა. სასამართლოებში დამცველად ა. წერეთელი სისტემატურად გამოდიოდა. 1912 წელს მან სასამართლოში საქმე აღძრა მილიონერ მადათოვის წინააღმდეგ, რომელმაც გლეხების მოტყუებით შეიძინა მიწები (მანგანუმის საბადოებით); 1882 წელს საოლქო სასამართლოში იგი იცავდა გაზეთ „დროების“ რედაქტორს ს. მესხს, რომლის წინააღმდეგაც საქმე აღძრა ბარონმა მარცვლილდმა; იგი იცავდა ზუგდიდის გლეხთა აჯანყების მონაწილეებს, სოფელ კაცხის გლეხებს მემამულეთა წინააღმდეგ და სხვ. მაგრამ ა. წერეთლის იურიდიულ საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავისი უფალი სვანეთის 1875-1876 წლების აჯანყების მონაწილეთა დაცვა, რომელთა საქმეც 1876 წლის ნოემბერში ქ. ქუთაისში განიხილა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ. ა. წერეთელთან ერთად აჯანყების მონაწილეებს იცავდნენ ნაფიცი ვეჟილები: ლ. ლოლუა, დ. ლორთქიფანიძე და ა. დროიშვიე.

როგორც ცნობილია, ზემო სვანეთის სოფლების კალაშისა და ბეროს გლეხები წინ აღუდგნენ ხელისუფლების მიერ მიწების აზომვას. ხელისუფლებამ ჰარი ჩააყენა იქ და საშინელ რებრესიებს მიმართა მოსახლეობის წინააღმდეგ. გლეხობა აჯანყდა, და შეტაკების დროს მოკლეს ლეჩხუმის მავრის უფროსი გრიგვსკი, მაიორი ლეუსი, ექიმი ბელსკი, ბოქაული მიქელაძე, მამასახლისი და ხუთი ჰარისკაცი.

ა. წერეთელმა თავისი დაცვითი სიტყვა მეტად ორიგინალურად აავო, რაც მიზნად ისახავდა განსახველთა გამართლებას. აკაკი განმარტავდა, რომ დანაშაულის ცნება ისტორიული ხასიათისაა, რომ ის, რაც დანაშაულია ერთისათვის, სამართლიანობა და აუცილებლობა მეორისათვის. თავისი აზრის ნათელსაყოფად მან მაგალითად მოიყვანა შემთხვევები, როდესაც

7 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, 1962 წ. ტომი II, გვ. 265
 8 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, 1962 წ. ტომი I, გვ. 288.

ინკვიზიციამ კოცონზე დაწვა ჭეშმარიტი მეცნიერნი. მაგრამ „გავიდა საუკუნეები, შეიცვალა შეხედულებები და მომდევნო პერიოდმა განაჩინა თვით ინკვიზიტორებს გამოუტანაო“, — დასძინდა აკაკი. შემდეგ დიდმა პოეტმა ღრმად გააანალიზა ის მხეცური ღონისძიებები, რომლებსაც ადმინისტრაციამ სვანების წინააღმდეგ მიმართა და რამაც აიძულა სვანები აჯანყებულიყვნენ, რათა დაეცვათ თავი. აკაკი ამბობდა, რომ სვანების დანაშაული ადმინისტრაციის უკანონო საქციელის შედეგია, სვანეთის უსწავლელი და გაუწავლებელი გლეხები კი არ არის დამნაშავენი არამედ რუსეთის თვითმპყრობელობის მოხელეები, და სვანებისათვის დანაშაულის პატიება მოითხოვა. დანაშაულის წარმოშობის მიუხედავად ასეთივე აზრს გამოთქვამდა ა. წერეთელი პოლემიკურ წერილებში, რომლებიც გამოაკვეყნა „კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ თავმჯდომარის ფრენკელის წიგნის გამო — „საქართველოში ყაჩაღობის ისტორიისათვის“ და გაზეთ „კავკაზის“ შვარჯშული პოეზიის წინააღმდეგ 1880 წელს თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენის გამო, რომლის ძალითაც ყაჩაღი ტატო წულუკიძე ჩამოახრჩეს. „კავკაზის“ მონარქისტმა ურწინალისტებმა და „კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ თავმჯდომარემ ფრენკელმა ტატო წულუკიძის ბოროტმოქმედება ქართველი კაცისათვის თანდაყოლილ, ღამის ეროვნულ თვისებად გამოაცხადეს, ასეთივე ბოროტმოქმედთა რიცხვს მიაკუთვნეს სახალხო გმირი არსენა ჭორჯიანიშვილი და სხვები. აკაკიმ წერილებში მეცნიერული არგუმენტაციითა და დამაჯერებლობით დანახუთა, რომ დამნაშავე არ იბადება და რომ დამნაშავედ აღმაიან ცხოვრების უკუღმართი პირობები აქცევს. დიდი პოეტის ასეთ საჯარო გამოცხადებას სასამართლოში იგი პრესის ფურცლებზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ ნაფიც ვეჟილთა დასის იმ ნაწილისათვის, რომელმაც მიზნად დაისახა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ასეთივე დიდი პროცესები მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში, მაგრამ ქართველი ადვოკატებისათვის განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო იყო პეტერბურგისა და მოსკოვის ცნობილი ადვოკატების — პ. ალექსანდროვის, სპასოვიჩის, სპაროვერის, პლევაკოს და სხვათა გამოსვლები. რუსეთის ცნობილი ადვოკატები საქართველოს ხშირი სტუმრები იყვნენ და ბევრ მძიმე ბრალდების საქმეს იცავდნენ თბილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოებში და თბილისის სასამართლო პალატაში. ქართველი საზოგადოებრი-

ობა დიდი გულსხმიერებითა და ინტერესით შეხვდა 1878 წელს თბილისის სასამართლო პალატაში ვ. სპასოვიჩის გამოსვლას თავად შერვაშიძის მოუზავის დავით ჩხოტუას დასაცავად, რომელსაც მსჯავრი დასდეს ნინო ანდრეევსკიას წინასწარგანზრახული მკვლელობისათვის. ასევე ძალიან საინტერესო იყო საქართველოში პეტერბურგელი ადვოკატის პ. ალექსანდროვის გამოსვლა ზარა მოღვაძის საქმეზე ებრაელთა დასაცავად, რომლებიც ხელისუფლებამ პასუხისგებაში მისცა ანტისემიტური კამპანიის გაჩაღების მიზნით.

ქართველ ნაფიც ვეჟილთა პირველი თაობიდან უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ გიორგი ლოღობერიძე, რომელმაც 1856 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დაბრუნდა სამშობლოში (ქუთაისში), რამდენიმე წელიწადს სახელმწიფო სამსახურში იყო, 1868 წელს ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან ნაფიც ვეჟილად ჩაირიცხა და გარდაცვალებამდე (1900 წ.) ვეჟილად მუშაობდა. თანამედროვეთა ვადმოცემით, გ. ლოღობერიძე იმ წლებში ერთადერთი უმაღლესსაწავლებელ-დამთავრებული კაცი ყოფილა ქუთაისში და მისი ოჯახი თურმე ქუთაისის პროგრესული საზოგადოების თავმჯდომარე ადგილი ვახლდათ. გ. ლოღობერიძის დაბრძანების დღეს სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც განსვენებულს თერგდალეულების წინაპარი უწოდა. „მართალია, მწერლობით საშვილიშვილო საბუთი თავისი მოღვაწეობისა არ დაუტოვებია რა განსვენებულს, — თქვა აკაკიმ, — მაგრამ ჩვენ, მის ნაამხანაგებს ვგახსოვს და მოვალეთაც ვხდეთ ჩვენ თავს, არ დავიფიქროთ რომ იმ გზისაკენ, რომელზედაც შემდეგში მესამოცე წლების მოღვაწეებმა გაიარეს ჩვენში, პირველად გიორგი ლოღობერიძემ მივიტოვა. მასხალადამე, სხვა ღირსებაც რომ არ ჰქონოდა რა, ეს ფაქტიც საკმაო იყო მისდა სასახლოდ, და აი, კიდევაც ვხედავთ დღეს, რა პატივითაც გაიხსენა საზოგადოებამ.“⁹

ნაფიც ვეჟილთა კორპორაციის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი უკვე ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ი. ჭავჭავაძე 1875-1881 წლებში ადვოკატურ საქმიანობას ეწეოდა. ამ პროფესიამდე დიდი ჭეშმანიტი მშრომელი ხალხის სიყვარულმა და ერთგულებამ მიიყვანა. ილიას იურიდიული საქმიანობის მკვლევარი ნ. კეკელიძე ცნობილი ვადმოცემს, რომ ილია „არაპერსონალურ-

⁹ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900, № 1130.

რი საქმეების დაცვასაც აწარმოებდა უსასყიდლოდ, კლიენტების სიღარიბისა და გაჭირვების გამო.¹⁰

პირველთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ნაფიცო ვეკილი მოსე ქიქოძე (1836-1914), რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ოცდაათ წელზე მეტ ხანს პირნათლად ემსახურა ამ პროფესიას და ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობით ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გახდა იმ ქართული ინტელიგენციისა, რომელიც 70-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე.

მ. ქიქოძეს პუბლიცისტური წერილები „საქართველოს მომავალზე“, სადაც განხილულია საქართველოს ეკონომიური განვითარების პრობლემები, მნიშვნელოვანი წვლილი იყო იმ ხანად საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში.

მ. ქიქოძემ 1869 წელს შურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა წერილი „ენის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა ხალხისათვის“ და გვერდში ამოუდგა თერგდალეულთა დიდ თაობას მშობლიური ენის დაცვის საქმეში. მას, როგორც ქვემარტო პატრიოტს, აწუხებს ქართული ენის უპატოვებლობა, ის, რომ ქართული საზოგადოების ნაწილმა, რომელმაც დიდი თანამდებობები დაიკავა მეფის სამსახურში, დაივიწყა მშობლიური ენა „შინ და გარეთ“. „ჩვენდასასიტყვილოდ დავიწყეთ დედაენის უცოდინარობა, — წერდა იგი, — საითქვანაც გაიხედავთ, ვისაც შეხვედებით, ან თუ საზოგადოებაში შეერგვიეთ — უძველად შეინწინათ დედა ენის უცოდინარობას. ბრუნდე და მართალი, მოვლენ და უმეცარი — ყველა ერთბაშად ჰქვენქნის თავის ენასა. ამ ენაზე ლაპარაკს ბევრნი არ კადრულობენ“.

მ. ქიქოძე, იცავს რა ქართული ენის სიწმინდეს, ირკვევს მისი წარმოშობის ისტორიას და დაასკვნის, რომ როგორც ყოველი ერის — ასევე ქართველი ერის ენის წარმოშობა და განვითარებას საფუძვლად უძვეეს გარკვეული გეოგრაფიული, ყოფა-ცხოვრებითი და ისტორიული პირობები ყოველ ეროვნულ ენას განსაზღვრავს ხალხის ფიზიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები და ამიტომ მისი შეცვლა სხვა ერის ენით ბუნების საწინააღმდეგო მოვლენააო. „ენა არის ფასალუდებელი საუნჯე ხალხისა, იმისგან გამოვიცნობთ ხალხის კჳუსს, გონებას, სოციალურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ მდგომარეობას“ წერდა იგი. 1903-1904 წლებში მ. ქიქოძე კვლავ დაუბრუნდა ენის საკითხს და ქართული ენის წარსულსა და მომავალზე რამდენი-

მე საჯარო ლექციაც კი წაიკითხა ქუთაისის თეატრში.

1879 წლიდან მ. ქიქოძე აქტიურად მონაწილეობდა განახლებული ქართული თეატრის საქმიანობაში. იგი ქუთაისში საჯარო ბიბლიოთეკისა და სახალხო უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთ ინიციატორად გვევლინება. დიდი ხნის მანძილზე მ. ქიქოძე იყო ქუთაისის საადგილმამულო-ბანკის გამგეობის წევრი. 1897 წელს დაწერა ნაშრომი „გაბრიელ ებსიკოპოსი იმერეთისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“, რომელიც ქუთაისის ნოქრებმა იმავე წელს საკუთარი სახსრებით დაბეჭდეს გაბრიელის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში „ესულ-მნათი გაბრიელის საუნჯე“. მ. ქიქოძე კარგად იცნობდა საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრებას და მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში; უსასყიდლოდ გამოდიოდა პოლიტიკურ სასამართლო პროცესებზე და დიდი ცოდნითა და მგზნებარებით იცავდა ბრალდებულთ. 1905 წლის ოქტომბერში, როცა მთელ რუსეთში დაიწყო საყოველთაო გაფიცვები და მუშათა კლასი მშრომელი გლეხობის მხარდაჭერაში აშკარად გამოდიოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მეფე ნიკოლოზ მეორემ 17 ოქტომბერს მანიფესტო გამოსცა და ხალხს პიროვნების ხელშეუხებლობას, კრებების, კავშირების თავისუფლებასა და დემოკრატიულ კონსტიტუციას დაჰპირდა. ამის გამო 1905 წლის 19 ოქტომბერს ქუთაისში ტაძრის („სობორის“, როგორც მაშინ ამბობდნენ) წინ მოედანზე ქალაქის მცხოვრებთა დიდი მიტინგი გაიმართა. ამ დღე კრებას მ. ქიქოძე ხელმძღვანელობდა. 1905 წლის დეკემბერში კი, როდესაც შეიარაღებული აჯანყებები დაიწყო და დასავლეთ საქართველოს აღიხანოვ-ავარსკისი დამსჯელი რაზმები შეესია, მ. ქიქოძე დააპატიმრეს და რამდენიმე თვეს საპატიმროში მუავდაო. მას „გურიის რესპუბლიკის“ პრეზიდენტობას აბრალბდნენ.

1918 წელს მ. ქიქოძეს მოღვაწეობის მწ. წელი შესრულდა. სახელოვანი ნაფიცო ვეკილის ცხოვრებისა და საქმიანობის ეს თარიღი საქართველოს მოელმა ადვოკატურამ აღნიშნა და იუბილარს 41 ცნობილი ქართველი, რუსი, სომეხი და ებრაელი ადვოკატის ხელმოწერილი მისახალმობელი წერილიც მიართვა.

მ. ქიქოძე 1914 წელს გარდაიცვალა. ქართველმა ხალხმა იგი დაიტირა, როგორც ნამდვილი ეროვნული მოღვაწე. მისი გარდაცვალების გამო გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტების დეპემა, სადაც ნათქვამი იყო: „ნაფიცო ვეკილი მოსე ქიქო-

10 გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957 წ., 22-X.

ძეს, ნათელი ეროვნული ტრადიციების კაცს ამაყად და მადლა ეჭირა დროსა პატროსანი ადამიანისა და საზოგადო მოღვაწისა.¹¹

ნაფიც ვეჭილთა პირველ თაობას ეკუთვნის ქართულად შექსპირის ნაწარმოებთა უბადლო მთარგმნელის ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა ვასილ მაჩაბელი, რომელმაც 1872 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სასამართლო პალატაში ჩაირიცხა ნაფიც ვეჭილის თანაშემწედ, 1888 წელს კი თბილისში გადმოსახლდა და აქ მოღვაწეობდა.

ვ. მაჩაბელი პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ი. ჭავჭავაძის თხოვნებზე მე-10 კლასში დაბეჭდილია 1878-1879 წლებში პეტერბურგში გაგზავნილი რომდენიმე წერილი, რომლებშიც გაუშუქებულია ვ. მაჩაბლის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე. ვ. მაჩაბელი, რომელიც ი. ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი იყო, პირნათლად ასრულებდა მის ყოველგვარ დავალებას. ილიამ თითქმის მთელი 1878 წელი პეტერბურგში გაატარა. მას იქ ჩატანილი ჰქონდა სათავადაუნათრო ბანკის წესდება, რომელიც ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა. დამტკიცება გაუიანურდა, ილია პეტერბურგიდან წამოვიდა და ვ. მაჩაბელს დაავალა ეზრუნა წესდების დამტკიცებისათვის. ამ წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით 1878 წელს ვაზეთ „დროებაში“ ვ. მაჩაბელი წერდა: „ნამდვილად შევეტყვეთ, რომ მინისტრი დაუყოვნებლივ წარადგენს ამ მოკლენ ხანში დასამტკიცებლად სახელმწიფო რჩევაში ბანკის წესდებულებას. სხვადასხვა პირნიც დიდ იმედს იძლევიან, რომ სახელმწიფო რჩევა წესდებას დაამტკიცებსო“.¹²

ილია 1875 წლის 10 მარტს ვ. მაჩაბელს სწერდა: „გთავყვანე, მანდ მოსწავლეთაგან მცირე ლიტერატურული წრე შეადგინეო“.¹³ ეს დავალებაც პირნათლად შეუსრულებია ვ. მაჩაბელს. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა ქართველ სტუდენტებისაგან შემდგარი ლიტერატურის შემსწავლელი წრე, რომელიც მეტადიწიფობას უმეტესად მის ბინაში მართავდა.

ვ. მაჩაბელი თავისი ძმის ვანოს დახმარებით, რომელიც ძალიან დანტერესებული იყო ქართული თეატრის ბედ-იღბლით, ქართულ წარმო-

დგენებს მართავდა პეტერბურგში. მაგალითად, წარმოდგენილი იყო კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებია და 200 მანეთი შემოსულა, რაც დარბ სტუდენტთა დახმარების ფონდში შეუტანათ. ქართული თეატრისადმი ვასილ მაჩაბელი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა. ვაზეთ „დროებაში“ (1879 წ. № 214) დაბეჭდილია განახლებული ქართული თეატრის ამხანაგობის წერილი, რომელშიც მადლობა უძღვნეს ვ. მაჩაბელს თეატრისათვის სხვადასხვა საქირო ტანსაცმლის შეწირვისათვის.

ვ. მაჩაბელი პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში მთელი გრძნობით სამშობლოსთან იყო და ხელს უწყობდა აქ ჩატარებულ ყოველ დონისძიებას. პეტერბურგში სტუდენტებს შორის მას ფული შეუგროვებია და გამოუგზავნია თბილისში ბროსეს პრემიის დაწესებისათვის,¹⁴ აგრეთვე შეუგროვებია და თბილისში გამოუგზავნია 500 მანეთი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამკეთებისათვის ქართული სახელმძღვანელო წიგნების გამოსაცემად¹⁵ და სხვა.

ვ. მაჩაბელი პეტერბურგში ფულს აგროვებს და თბილისში გზავნის აქარლების დასახმარებლად. ამასთან დაკავშირებით იგი „ივერიის“ რედაქტორს სწერს: „უფალო რედაქტორო! „ივერიის“ მეორე ნომერმა გვაცნობა იმ გაჭირვებულ მღვდლმარობაზე, რომელშიც თურმე იმეორეებთან ჩვენი მოძმენი აჭარლები. ვისაც კი ცოტადღენი თავისი მოძმის სიყვარული უღვივის გულში, არა მგონია, რაც უნდა დარიბი იყვეს, ამგვარად შეუწუხებულ და გაჭირვებულ მოძმეთ შეძლებისდაგვარად ხელი არ გაუშარდოს.“

ამ გზით აქაურმა მოსწავლე ქართველ ყმაწვილ-კაცობამაც შეაგროვა თავის ქლეკიან ქისიდან სამოცდათხუთმეტი მანეთი და მომანდო გამოიმგზავნა თქვენთვის, რომ შიღებისთანავე გადასცეთ კუთვნილებისამებრ. გარდა ამისა ამ ფულთანვე გიგზავნით ჩემის მხრივაც ოცდახუთ მანეთს, იმავე დანიშნულებისათვის.¹⁶

ვ. მაჩაბელს ახარებდა ყველაფერი, რაც ქართული კულტურის სასარგებლოდ კეთდებოდა. ერთ წერილში იგი ხიხარულით იტყობინებოდა: „ვინაზე ჩვენი პატივცემული მოღვაწე დავით იოსების ძე ჩუბინოვი. იგი ორნაირ სარგებლო-

¹¹ ვაზეთი „თემი“, 1914 წ. 15 თებერვალი.

¹² ვაზეთი „დროება“, № 40.

¹³ ვ. ქლეკი: ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, მეორე გამოცემა, გვ. 103.

¹⁴ „დროება“, 1881, № 21.

¹⁵ „დროება“, 1884, № 96.

¹⁶ „დროება“, 1879, № 88.



ბას უპირებს ჩვენს ლიტერატურას: პირველი — წერს საქართველოს შინაგანი ცხოვრების ისტორიას და დასაბეჭდად აშუადებს ახლა უფრო ვრცელად შევსებულ ლექსიკონს. იგი აპირებს, რომ თავისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა სახსოვრად შესწიროს თავის ქვეყანას.

აქ პეტერბურგში ჩვენი უმაწვილები (ლაპარაკია ი. ჭავჭავაძეზე და ივ. მაჩაბელზე — გ. ნ.) პირდაპირ ინგლისურიდან თარგმნიან შექსპირის ტრაგედიას „ქაროლ ლირს“. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, რომ დედნიდან თარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანი სიტყვის ფორმა სრულიად გადააქვთ ქართულ ენაზე და ლექსთ-წყობით, რომელსაც აქნობამდის ჩვენს ლიტერატურაში არ ხმარებულა, ესე იგი თოთხმეტ მარცვლოვანის ლექსით ურითმოთ. ამბობენ, რომ ეგეთი ლექსთწყობა ჩვენს ენას უხდება და კეთილხმოვანიც არისო.¹⁷

როგორც ცნობილია, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილი ნ. დადიანმა 1885 წელს საგვარეულო ბიბლიოთეკა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცა. მთავარს ეს სურვილი ვ. მაჩაბლის მეშვეობით აღუსრულებია. შემორჩენილია ნ. დადიანის წერილი:

კნიაზო ვასილ!

დიდი ხანია გულში მიძევს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას ანუ საზოგადოებრივ მხარეს ჩვენი სამშობლოსი, გადამეცა ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი“, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო მომეტებული სახსარი და ღონისძიება აქვს ამით სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ვიდრე კერძო პირმა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო დღემდე ეს სურვილი შეუსრულებელი დამრჩა. ახლა გთხოვთ ჩემს მაგივრად გადასცეთ მმართველობას ზემოხსენებულის საზოგადოებისას, რომ მე მოვახდინე განკარგულება მთელი ჩემი ბიბლიოთეკა — თავადმა კონსტანტინე დავითის ძე ნიჟარაძემ ჩაიტანოს ქ. თბილისში, „დროების“ რედაქტორთან, სადაც საზოგადოებისაგან ამორჩეულ პირთ შუღლითა ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დანიხავენ საჭიროდ და სასარგებლოდ.

თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცნ ჩემს თავს ბედნიერად.

თქვენი პატივისცემილი თავადი მენარეულია — ნ. დადიანი

28 თებერვალი 1885 წ. პეტერბურგი.¹⁸

ვ. მაჩაბელი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1888 წ.) კვლავ ეწევა სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობას, მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი ძმის — ივ. მაჩაბლის მდგომარეობა იყო, რომელსაც „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა ჰქონდა გამართული ი. ჭავჭავაძესთან ბანკის თაობაზე.

აქვე უნდა დავიმოწმოთ ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ერთ თავის წერილში ასე იგონებს ვ. მაჩაბელს: „ილია და ვასო დიდი მეგობრები იყვნენ. ილია შვილებს უნათლავდა. ვასო ნაფიცი ვეჟილი იყო, ადვოკატი თავადი მინგრელოვსკისა.

ვასო ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა ხოლმე ხელმოკლეათვის ფულის შესაქრებად საღამოების მოწყობაში. ერთ საღამოს 3 000 მანეთი ვასილის თანხმობით სტუდენტებს გადაედოთ როგორც ხელუხლებელი ფონდი. ეს ფული ვასილს ქონდა მიბარებული“.¹⁹

ამავე თაობას ეკუთვნოდა ლუარსაბ ლოლუა, რომელიც ნაფიცი ვეჟილად მოღვაწეობდა 1872-1892 წლებში. ლ. ლოლუას აკავი წერეთელთან ერთად 1876 წელს კავკასიის სამხედრო ოქჯის სასამართლოში დაუცავს თავისუფალი სვანეთის აჯანყების მოწყობაში, უთანამშრომლია გაზეთ „ივერიაში“ და თავის დროზე გამოუცია საინტერესო წიგნები „საერო სკოლები სამეგრელოში“ და „ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის ნიმუშები“. ლ. ლოლუამ ნაფიცი ვეჟილობით და საზოგადო მოღვაწეობით ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ 1892 წელს ფარული კენჭისყრით ქუთაისის ქალაქის მოურავად აურჩევიათ. სწორედ ამ თანამდებობაზე მუშაობდა, როცა გარდაიცვალა 1914 წელს.

ფრიალ მაინტერესოა ლ. ლოლუას სიტყვა, რომელიც მან 1898 წელს წარმოთქვა, როგორც ქუთაისის დეპუტატის მეთაურმა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედრის განჯიდან თბილისში გადმოსვენების დღეს. ეს სიტყვა მთლიანად დაიბეჭდა გაზეთ „კვალში“.

აღსანიშნავია, რომ ლ. ლოლუას გარდაცვალების გამო ქალაქის მოურავად ახალ არჩევნებში ქუთათურებმა კვლავ პროფესიული საქმიანობით სახელმწივეჟილი ნაფიცი ვეჟილი დავით ლორთქიფანიძე აირჩიეს.

ქართველ ნაფიცი ვეჟილთა პირველ თაობას, რომელიც ადვოკატობასთან ერთად საზოგადოებ-

17 გაზეთი „დროება“, 1873 წ. № 4.

18 გაზეთი „დროება“, 1885 წ. № 60.

19 ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი III, გვ. 240.

რაც მოღვაწეობასაც ეწეოდა, ეკუთვნის მედიკ-სედ (მექი) ფაღავა, რომელიც 1880 წელს ქ. იურევის იურიდიული ლიცეუმის დამთავრების-თანავე ქუთაისის საოლქო სასამართლოში ნაფიცი ვეჰილთს თანაშემწედ მიიღეს.

მ. ფაღავა დიდად განსწავლული ადამიანი იყო, საუკეთესოდ იცოდა ფრანგული ენა, ზედმიწევნით იცნობდა დასავლეთევროპულ და რუსულ მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიას. მონაწილეობდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეთა ორგანიზაციაში. ასევე დიდად განათლებული ყოფილა მისი მეუღლე დარია მურსაყანის ასული ფაღავა, რომელსაც 1894 წელს გელათის მონასტერში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დაკრძალვაზე წარმოიქმნილი სიტყვით უსახელებია თავი. მათი შვილიშვილია ცნობილი ქართველი მხატვარი ვერა ფაღავა, რომელიც პარიზში ცხოვრობს.

მ. ფაღავას მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან — ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, გ. ზდანევიჩთან, გ. წერეთელთან, ი. მეუნარგიასთან და სხვებთან. აქტიურად მონაწილეობდა ქართული თეატრის საქმიანობაში და 1910 წელს ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ, მაგრამ ძირითადად მისი საქმიანობა ქუთაისის საადგილმამულო ბანკში მოღვაწეობა იყო. საადგილმამულო ბანკში საქმიანობამ დაახლოვა იგი ი. ჭავჭავაძესთან და მალე მისი უახლოესი მეგობარიც გახდა. ი. მეუნარგია ავიწერს ი. ჭავჭავაძესა და მ. ფაღავას მეგობრობის ერთ საინტერესო ფაქტს. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრობის ვაჟიშვილმა, ნიკოლოზ დადრანმა „ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ვ. შაჩაბლის მეშვეობით მიიღარი სავგარეულო ბიბლიოთეკა რომ გადასცა, სამეგრელოს ეწვია „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კომისია ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. აქ იყვნენ ი. მეუნარგია, დრამატურგი დ. ერისთავი, გ. ყიფშიძე, ს. ყიფიანი, ს. დოლობერიძე და ნაფიცო ვეჰილი ვ. შაჩაბელი. კომისია ჭრ დანიანების საზაფხულო რეზიდენციაში — აგარაკ გორდში ჩასულა, წიგნები ჩაუბარებია, თბილისში გასაგზავნად ქუთაისში გადაუტანია და მ. ფაღავასაც სწევვია სოფელ ბანძაში, სადაც რამდენიმე დღე დარჩენილან და ფრიად მოუღუნენათ კიდევ. ი. მეუნარგიას გაღმოცემით, ილიას სუფრაზე მებრული სიმღერაც უმღერია. დამსწრეთა მოგონებით კი დინჯი ილია ისე მოუხიბლავს პელაგია ქორქა-

შვილს, რომ შეზარსოვებულს ხალხური ლექსიც კი წაუშდებოდა:

„გადმოვიგდებ ხელსახოცსა
ოქრომკედლით მოქარგულსა,
შიგ გავახვევ ჩემსა გულსა,
შენგნევ დამწვარ-დაღაგულსა.“²⁰

მ. ფაღავა რევოლუციურ მოძრაობაშიც მონაწილეობდა. თვეების მანძილზე იგი თავის ბინაში მალავდა რევოლუციონერ იცა რიჟინაშვილს. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რევოლუციის მონაწილეთა მასობრივი გასამართლებები რომ დაიწყო, სრულიად უსასყიდლოდ, მთელი მგზნებარებით იცავდა მათ.

თუმცა მეფის ხელისუფლება რევოლუციონერთა წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიმართავდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უფრო მკაცრ სასჯელს მოითხოვდნენ, აშკარად გამოსვლას ვერ ბედადნენ და მორჩენ ანბანით შედგენილ ანონიმურ წერილებს უგზავნიდნენ უნდარბერას. ერთი ასეთი წერილი უცნობ პირს გაუგზავნია 1902 წლის 15 ნოემბერს. წერილში მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა შორის დასახელებული არიან ვეჰილები მ. ფაღავა, დ. კვიციანი, მ. ქიქოძე, მ. გაბუნია და ს. ფაჩულია. აი რას ვკითხულობთ წერილში: „იცნობთ თუ არა თქვენ ქუთაისში ცანავას, ქიქოძეს, მისო გაბუნიას, ნესტორ დავითაიას, იული გურდანიას, კვიციანიას, ჩაჩიბაიას, ფაჩულიას, შენგელიას და ცნობილ მელოქსელებს. ყველა ეს პირნი არ არიან მოკლებულნი ნაციონალიზმს, სშირად იკრებებიან. აქვთ მსჯელობა, მაგრამ არაფერს არა წერენ, რადგან ამბობენ: პოლიტიკურ საქმეებში ყველაფერი სიტყვიერად უნდა ტარდებოდესო.“²¹

ეს დოკუმენტი ნათესს ჰყენს ნაფიც ვეჰილთა პოლიტიკურ სახეს.

ხელმოკლე მოსახლეობის იურიდიული დახმარების მიზნით ქართველ ნაფიც ვეჰილთა პირველ თაობას 1882 წელს თბილისში იურიდიული კაბინეტიც კი გაუხსნია, და ამ დონისძიების ინიციატორი ნიკო ნიკოლაძე გამხდარა, რომელსაც ჭრ კიდევ 1875 წელს წამოუჭრია ეს საკითხი გაზეთ „თფლისსი ვესტნიკის“ ფურცლებზე. იგი წერდა: „ჩვენი მხარის ორ-სამ პუნქტში შეიძლება მოვაწყუთ კაბინეტები ხელმოკლე კლიენტების საქმეთა უსასყიდლოდ წარმოებისათვის (შეძლებული ადამიანები ჩვენს მხარეში ერთი-ორი ასეთით თუ იქნება). ეს კაბინეტები საქმეს მოკიდებენ ხელს, რომლებიც საცხებით კეთილსინდისიერია და მათ საფუძვლად უდევთ არამართო იურიდიული, არამედ ზნეობრივი სიმართლედ. კაბინეტებმა უნდა მიიღოს თავის

²⁰ გეგეჭკორის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან.

²¹ ცენტრალური არქივი, საქმე № 358, ტ. IV, გვ. 1455.



თავზე: ქალაქების შედგენა ასეთ საქმეებზე, შუამდგომლობა სასამართლოებში ღარიბ კლიენტებისათვის, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებზე, ბაჟისა და სხვა ხარჯების შეტანა და ა. შ.²²

მართლაც, 1882 წელს თბილისში დაარსდა იურიდიული კაბინეტი, რომელიც ღარიბებს უსასყიდლოდ უწევდა იურიდიულ დახმარებას; დაწარჩინებს კი — „შედავითიან ფასებში“. 1882 წლის თებერვალში თბილისის ქუჩებში გაჩნდა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე შედგენილი ასეთი შინაარსის განცხადება: „ქ. თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე, არქიტექტორ ბელოის სახლში გაიხსნა იურიდიული კაბინეტი გამოცდილ იურისტების ხელმძღვანელობით: განსაკუთრებულ შემთხვევებში მოწვეულნი იქნებიან ხოლმე სხვა მცოდნე და გამოჩენილი იურისტებიც. კუთხილი განზრახვა და ან რა სარგებლობას წარმოადგენს საზოგადოებისათვის ასეთი კაბინეტის დაარსება ყველასათვის ცხადია, ამიტომ არ ვსაპირობებ მის ქებადღედებას ამთავითვე, მხოლოდ ვიტყვით თამამად, რომ კაბინეტი თავის მხრივ არ დაზოგავს შრომას და მეცადინეობას, რომ ეს დაწესება დაადგინოს უმაღლესი წინების ხარისხზე, რადგანაც კაბინეტი დაწესდა იმ აზრით, რომ საზოგადოებას შეუმსუბუქონ დიდი ძალი ხარჯი, ხშირად გამოუსადეგარი და უბრალო წვადება აიცილოს. მსურველთ ვთხოვთ-ისარგებლონ უფლებებისა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე“.²³

ძველი თაობის ნაფიცი ვეჟილებიდან შეიძლებოდა დაგვესახელებინა კიდევ ბევრი, რომელიც პროფესიულ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. მაგალითად, კალისტრატე ჩიკვაძე და ნიკო დოლობერიძე, რომლებიც წლების მანძილზე სათავეში ედგნენ ქუთაისის საადგილმამულო ბანკს, ივანე გობეჩია, ვარლამ არდვილი, ბეჟან ხუნდაძე, ვასილ თუმანიშვილი, ვარლამ ლორთქიფანიძე, მიხეილ გაბუნია, ძმები ბესარიონ და მიხეილ ხელთუფლიშვილები და სხვები.

1888 წელს გარდაიცვალა ნაფიცი ვეჟილი მიხეილ ხელთუფლიშვილი. ამის გამო აკაკი წერეთელმა: „თვალეები მეცხება ცრემლებით, მით უფრო, რომ ეს საბრალო მარტო ჩვენი სამგლოვო კი არ არის, საზოგადოთ ქვეყნის დანაკლისია“.²⁴

ქართველ ადვოკატთა პლეადას, რომელიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, მიეკუთვნება აგრეთვე არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი (1866-1942). იგი 1888 წლიდან სხვადასხვა ფსევდონიმებით (ჩიორა, განიელიძე, ფარნაოზი, ნიორი, კენჭოსანი, კალმოსანი, დიოგენი, დიოგენ-ფარნაოზი, დუშუკო, აღმა, აღფა, ა. ახოვი, ა. ა-ვი და სხვ) გამოდიოდა როგორც პუბლიცისტი, პოეტი, თეატრალური კრიტიკოსი და მთარგმნელი.

ა. ახნაზაროვს არ მიუღია იურიდიული განათლება, თუ არას ვიტყვით იმაზე, რომ რამდენიმე თვე დაჰყო ნოვოროსისკის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად, მაგრამ ნიჭი ჰქონდა ვეჟილობისა და თბილისის ოლქის სასამართლოს კომისიამ გამოცდის შემდეგ კერძო ვეჟილობის მოწოდება მისცა და ამ პროფესიას ღრმა მოხუცებულობამდე ემსახურებოდა.

ა. ახნაზაროვმა სულ ახალგაზრდამ მიჰყო ხელი ჟურნალისტობას და 1888 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი ქართული ანდაზებისა და გამოცანების შესახებ. 1889 წელს ვ. აბაშიძის ყოველკვირეულ გაზეთ „თეატრში“ იგი ბეჭდავს ლექსებს და პოლემიკურ წერილებს, ხოლო 1886 წლიდან ილ. ჯავახიძის მიწვევით ჟურნალ „ივერიაში“ იწყებს მუშაობას და 1903 წლამდე მისი მუდმივი თანამშრომელია.

ცნობილი ლიტერატორი იმ. ვირთაგავა, რომელსაც ყოველთვის ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ივერიის“ რედაქციასთან, წერს: „ილია დიდად აფასებდა ახნაზაროვის ერთგულებას და მკვირცხლი მოქმედებისათვის იყო, ასე ვთქვათ ილიას მარჯვენა ხელი სარედაქციო საქმეებში. ილია მას უღრმესი ნდობითა და სიყვარულით ეპყრობოდა. საქმიანი, მკვირცხელი, უადრესად ერთგული, თანც ფიანი, სანტერესო კალმოსანი ახნაზაროვი — „ჩიორა“ დიდად იყო ილიას ყურადღებისა და ნდობისა... შემდეგშიც, ღრმა მოხუცებულობამდის, ის ილიას ერთგული დარჩა და მისი მადლიანი აზრებითა და განცდებით სუნთქავდა“.²⁵ „ივერიის“ რედაქციაში ა. ახნაზაროვის საქმიანობის აქტიურ როლზე საინტერესო მასალები დაგვიტოვებს ი. გრიშაშვილმა, ი. შურაბიშვილმა და ი. მანვეტაშვილმა.

ა. ახნაზაროვი „ივერიაში“ აქვეყნებდა ლექსებს, თეატრალურ რეცენზიებს ქართული და რუსული თეატრების სპექტაკლების გამო, პოლემიკურ ფელეტონებს, მოთხრობებს, პატარა სცენებს, რუსი და საზღვარგარეთელი მწერლებ-

22 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტომი IV, გვ. 250.
 23 ცენტრალური არქივი, ფონდი 116, № 457.
 24 აკ. წერეთელი, თხზულებათა კრებული, ტომი 15, გვ. 216.
 25 იმ. ვირთაგავა, მოგონებები, II, თბილისი, 1926, გვ. 27-28.

ბის ნაწარმოებთა თარგმანებს. ა. ახნაზაროვის უოველი მოთხრობის, იუმორისტული ფელეტონისა თუ სცენების თემა სინამდვილიდან იყო აღებული. იგი ამხელდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს, ეკამათებოდა „ივერიის“ იდეურ მოწინააღმდეგეებს, იცავდა ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს, ეხმარებოდა ახალგაზრდა მწერლებს. სანტერსოდ არის დაწერილი „ჩიორას“ ფსევდონიმით 1894 წელს „ივერიაში“ (198) გამოქვეყნებული „სახალწლო (არც თემად ასადები და არც წუაღწახადები ამბები)“, რომელსაც თავის დროზე დიდი პოპულარობა მოჰყვა.

ა. ახნაზაროვი აკრიტიკებდა და დასცინოდა ერთ დროს დედაენისა და კულტურის ერთგულებით სახელგანთქმულ ქართველ ქალებს, რომელთაც დაივიწყეს საკუთარი ლიტერატურა, უკადრისობენ ქართულ ენას, რის შედეგადაც „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი პოლ-დე-კოკისა და პონსთან-დე-ტრაილის რომანებმა დაიჭირა. „ტკბილი ქართული ენა წაირყვნა, ჩვენმა ქალებმა სხვაფერად დაიწყეს უღურტული, ქართული იუკადრისეს, ათავალისწუნეს — წერდა იგი. ქართველმა მოწინავე ქალებმა არ მიიღეს ასეთი ბრალდება და დედაენის უგულვებელყოფა კატეზს დააბრალეს. ა. ახნაზაროვს პასუხი გასცეს ევ. გაბაშვილმა; ბ. ხერხეულიძემ, ელ. ჩერქევი-შვილმა; მ. დემურიაშ და სხვებმა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ა. ახნაზაროვის დამსახურება ქართული თეატრალური კრიტიკის დარგში. მან, 1887-1908 წლებში „ივერიის“ ფურცლებზე 100-ზე მეტი წერილი გამოაქვეყნა თეატრის საქმიანობაზე. იგი წერდა რეცენზიებს ქართული თეატრის თითქმის ყოველ ახალ დანდების, რუსული მუსიკალური სპექტაკლების გამო, ქართული თეატრის ისტორიის, საიუბილეო თარიღების შესახებ, განიხილავდა ვ. აბაშიძის, ლ. მესხიშვილის, მ. საფაროვა-აბაშიძის, ზ. ფალიაშვილის შემოქმედებას, იკვლევდა ქართული დრამატული საზოგადოების საქმიანობას და თარგმნიდა პიესებს ქართული სცენისათვის. მის კლამს ეკუთვნის ა. სუმბათაშვილი-იუნიონის დრამის „ბორკილების“ ქართული თარგმანი, მან წერიალი მიუძღვნა 1890 წელს იტალიელი ერნერტო როსის საქართველოში ჩამოსვლას...

ცნობილია, თუ რა მძიმე პირობებში უზღებოდა მუშაობა ქართულ თეატრს 1879 წელს. ეს მძიმე პირობები იმიტომ გამოიხატებოდა, რომ არ არსებობდა პროფესიული, მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული თეატრალური კრიტიკა. ამიტომაც თეატრალური კრიტიკის საპატიო საქმე 80-90-იან წლებში ქართველმა მწერლებმა და პუბლიცისტებმა იკისრეს. პირველი თეატრალური კრიტიკოსები ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი იყვნენ.

მათთან ერთად ა. ახნაზაროვი სრულიად სამართლიანად ქართული თეატრალური კრიტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად უნდა ვაღიაროთ.

1912 წელს კ. აბაშიძის წინასიტყვაობითა და მხატვარ ო. შერტლინგის ილუსტრაციებით პირველად გამოცა ა. ახნაზაროვის თხზულებათა კრებული „ლექსები და სცენები“, რომელიც ეძღვნება ეროვნულ-პატრიოტულ და სოციალურ თემებს. ავტორი ამხელს და დასცინის მეფის მოხელეებს, ჩარჩ-ვაჭრებს, აღწერს მშრომელი ფენების ღუხჭირ ცხოვრებას.

„ქვირი-ობოლთ ცრემლი კვლავ იღვრის, წუხილი არა ნელდება, მდიდარს მკა აქვს და მიწა კი — ღარიბის ოფლით სველდება. არ მესმის დრო-უამთ გზა-კვალის, სით მიღის, საით გორდება... ან მოვა ის დრო, რომ ქვეყნად ყველა გათანასწორდება?“

თუ ამ ლექსს („უამი უამს მისდევს“), რომელიც 1895 წელს არის დაბეჭდილი „ივერიაში“ (№ 1), პესიმისტური განწყობილება დაჰკრავს, სამაგიეროდ 1905 წლის რევოლუციის წინ ა. ახნაზაროვი იმედით შეჰყურებს მომავალს და წერს:

„წარსული გაჰქრა, აწმყო შეგ-ბნელი მერმისის შიშით ფერწახულია... თავისუფლების სით ჰქრის ნელი... გაზაფხულია! გაზაფხულია!

ა. ახნაზაროვი, როგორც აღვნიშნეთ, მთარგმნელობითს საქმიანობასაც ეწეოდა და სხვადასხვა დროს ქართულად თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, ვოლტერის, ე. ზოლას, გოუდე-მოპასანის და სხვათა ნაწარმოებები. იგი ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო მთარგმნელია დიდი რუსი მწერლის მ. გორკის მოთხრობებისა.

თუმცა ხანდაზმული იყო, ა. ახნაზაროვი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაშვარების შემდეგაც ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა და 1921-1941 წლებში აქვეყნებდა ლექსებსა და წერილებს უზრუნველყოფის: („ხელოვნება“, „თეატრი და ცხოვრება“ და „მოამბე“, „მებრძოლი უღმერთო“, „ნიათი“, „პიონერი“, „ოქტომბერი“, „მუშა“, „კომუნისტი“, „მნათობი“, „ლიტერატურული საქართველო“).

ცხოვრება წინ მიდიოდა, კაპიტალიზმის განვითარება აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობებს, მუშათა კლასი ძლიერდებოდა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უფრო ორგანიზებულიად იწყებდა ბრძოლას. ამ დიდ ისტორიულ ბრძოლებში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ქართული ადვოკატურის პროგრესული როლი.



შეჯერებით კეთილსინდისიერ პაექრობას

ყოფნა „საბჭოთა სამართლის“ 1972 წლის მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი რეცენზია პროფ. ვ. აბაშაძის ნაშრომზე „საბჭოთა სამართლის ნორმები და მათი შეფარდება“ (ვ. აბაშაძის განცხადებით, იურიდიული ფაკულტეტის უფროსი კურსის სტუდენტებმა მისი ნაშრომი შეიძლება დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოიყენონ).

რეცენზიაში სათანადო ტაქტითა და ავტორის მეცნიერული რეპუტაციის შეუღლებად გამოვთქვით მოსაზრებები ამ ნაშრომის შესახებ. არც ერთი მოულოდნელი სიტყვა, უხეში გამოთქმა ან სხვა ამგვარი რამ რეცენზიაში არ არის. შენიშვნებს წინ უძღვის ასეთი ფრაზა: „როგორც ნაშრომიდან ირკვევა, მისი ავტორი აპირებს კვლავ გააგრძელოს სამართლის ნორმისა და მისი შეფარდების საკითხების კვლევა. ამ გარემოების გამო, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება ნაშრომში შემჩნეული მცდარი ან უუსუსტო დებულებების გარშემო მსჯელობა“ („საბჭოთა სამართალი“, № 6, გვ. 74). რეცენზია ასე მთავრდება: „ჩვენი კეთილი სურვილია ეს მოსაზრებები ავტორმა გაითვალისწინოს სამართლის ნორმისა და მისი შეფარდების საკითხების შემდგომი კვლევისას“ (იქვე, გვ. 81).

რეცენზიამ ერთობ განაწყენა ვ. აბაშაძე. მოსალოდნელი იყო, თავად იზრუნებდა ნაშრომის საჯარო განხილვის მოწყობისათვის, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ჩვენ კი სამიზნედ ცდა არ დაგვივლია (ბუნებრივია, საჯარო განხილვისას უფრო ვრცლად დავახსენებდით მის ნაშრომს). ვ. აბაშაძემ ამჯობინა გამოქვეყნებინა წერილი ყურნალ „მნათობში“.

„მნათობში“ 1974 წლის მეშვიდე ნომერში ვ. აბაშაძის წერილი დაბეჭდა სათაურით: „საბჭოთა სამართლის თეორიის საკითხები“. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, მისი გამოქვეყნების მიზეზი ის არის, რომ „ქართული იურიდიული მეცნიერებაში საბჭოთა სამართლის თეორიის აქტუალურ საკითხებზე უკანასკნელ დროს გამოთქმულ მოსაზრებებში ჭერ კიდევ გვხვდება შეცდომები“ („მნათობი“, 1974, № 7, გვ. 148). ასეთ პირველ შეცდომად ვ. აბაშაძეს მიაჩნია „მართლ“ კომპოზიციით ზოგიერთი ქართული იურიდიული ტერმინის წარმოება (თავდაპირველად ამ საკითხზე ვ. აბაშაძემ თავისი მოსაზრებები გამოთქვა „მნათობის“ 1972 წლის მესამე ნომერში). ამის გამო იგი ედავება სამ სწავლულ იურისტს, რომლებმაც „მნათობის“ 1974 წლის მეორე ნომერში მკაფიოდ და ნათლად დაასაბუთეს ვ. აბაშაძის მოსაზრებების უსაფუძვლობა.

ქართული იურიდიული მეცნიერებაში საბჭოთა

სამართლის თეორიის აქტუალური საკითხების გაშუქებისას დაშვებულ მეორე შეცდომად ვ. აბაშაძეს მიაჩნია ჩემი რეცენზია მის ნაშრომზე. ეს რეცენზია მან თავიდან ბოლომდე ტენდენციურად გამოაცხადა. საგულისხმოა, ვ. აბაშაძემ არა მარტო არ მიიღო შენიშვნები, არამედ, ამასთან, წერილი ასე დაამთავრა: „მეტყველებისას რეცენზია... ხელს უწყობს ბევრი მეთოდოლოგიურად მიუღებელი შეხედულების გავრცელებას“ („მნათობი“, 1974, № 7, გვ. 158).

შევაშოვწით ჩემი რეცენზიის აბაშაძისეული კვალიფიკაციის სისწორე.

ვ. აბაშაძის წერილში აღნიშნულია, რომ ნაშრომისათვის დართულ „რუსულად შედგენილ რეზიუმეში“ „გადმოვეციო მხოლოდ ის ახალი მოსაზრებები, რომლებიც ჩვენ მიერ არის ჩამოყალიბებული...“ („მნათობი“, გვ. 156). რეზიუმესა და საერთოდ ვ. აბაშაძის ნაშრომის გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი კომპლიაციური ნაშრომია, რომელშიც კონსპექტურად არის ასახული საბჭოთა სწავლული იურისტების შეხედულებები სამართლის ნორმისა და მისი შეფარდების საკითხებზე. ავიღოთ რუსული რეზიუმე. აქ თავდაპირველად ნათქვამია, რომ არსებობს ნორმის ორი სახე: ტექნიკური და სოციალური. არა გვგონია ამ დებულების ავტორობა ვ. აბაშაძემ სახელმძღვანელოსა თუ შესაბამის მონოგრაფიაში ნორმის ასეთი დაყოფა დიდი ხანია ცნობილია. იმავე რეზიუმეში მითითებულია, რომ სოციალური ნორმის ერთ-ერთი სახეა სამართლებრივი ნორმა, რომლის შინაარსი განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების პირობებით, რომ ასეთი ნორმა გამოხატავს გარკონიკურული კლასის ნებას. ეს დებულება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა წამოაყენეს და ექსნალურად დაასაბუთეს. ამის შემდეგ ვითხულობთ, რომ საბჭოთა სოციალისტური სამართალი წარმოადგენს სამართლის უმაღლეს ისტორიულ ტიპს, რომ იგი თანამედროვე ეტაპზე მთელი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავს. ეს დებულება ასახულია სკკპ პროგრამაში და ერთსულყოვნად აღიარებულია საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში. იქვე ვ. აბაშაძე გვაუწყებს, რომ სამართლებრივ ნორმას, რომელსაც განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას აწესრიგებს, აქვს აბსტრაქტული ხასიათი, რომ სამართლის ნორმა წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზომს, მასშტაბს. ესეც ცნობილი დებულებაა. ვ. აბაშაძე აღნიშნავს, რომ სამართლებრივ ნორმას აქვს განსაზღვრული ლოგიკური სტრუქტურა, რომ ნორმა შედგება

სამი ელემენტისაგან: ჰიპოთეზის, დისპოზიციისა და სანქციისაგან. ამაზე უკვე საშუალო სკოლისათვის გამიწვულ სამართლებრივი ცოდნის სახელმძღვანელოებშიც კი მიუთითებენ. სამართლებრივი ნორმის არსობისა და ჭეშარილობის საკითხის აბაშმაძისეული „გადაწყვეტა“ სინამდვილეში არ არის ახალი სიტყვა ჩვენს მეცნიერებაში, რადგან დებულება, რომ სამართლებრივი ნორმა ასახავს ფაქტს და იმავდროულად მიმართულია მომავლისაკენ, დიდი ხანია დამკვიდრებულია ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში.

რეზიუმეში სამართლის ნორმის შეფარდების პროცესი დაუფიქრია სამ სტადიად, ე. ი. ვ. აბაშმაძე იმეორებს საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებულ შეხედულებას. ის გარემოება, რომ სამართალში ხარვეზის არსებობა ძველთაგანვე აღიარებული იყო, ესეც ცნობილი გახლდათ ვ. აბაშმაძის ნაშრომის გამოქვეყნებამდე. შეიძლება ვ. აბაშმაძეს თავის „აღმოჩენად“ ის მიაჩნია, რომ პირველად მან მიუთითა არისტოტელეს მიერ სამართლის ხარვეზის შესავსებად სიმართლის ცნების გამოყენებაზე. მაგრამ იგი თვითონვე წერს ნაშრომში (არა რეზიუმეში), რომ არისტოტელეს სიმართლის ცნება იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია დადგენილია და დანტერესებულ მკითხველს ყოველთვის შეუძლია მისი გაცნობა (იხ. ნაშრომი, გვ. 111, სქოლიო). ასევე, ვ. აბაშმაძის ნაშრომის

გამოქვეყნებამდე ცნობილი იყო, რომ საბჭოთა სამართლებრივი ნორმების გამოყენება სახელმწიფოს ოპერატიულ-ორგანიზატორულ მოღვაწეობას წარმოადგენს და სორციელდება დარწმუნებისა და იძულების მეოღდგბით. არც იმ დებულების ავტორია ვ. აბაშმაძე, რომ სამართლის ნორმის სწორი შეფარდებისას ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს დასაბუთებულობა, კანონიერება და მიზანშეწონილება.¹

ამრიგად, „ახალი მოსაზრებები“, უბრალოდ რომ ვთქვათ, დადასტურებული არ არის. ამავე თვალსაზრისით უნდა შეფასდეს ვ. აბაშმაძის პრეტენზიული განცხადება, თითქოს მისი ნაშრომი „...საბჭოთა იურიდიული მეცნიერების აქტუალურ და შედარებით ნაკლებად შესწავლილ საკითხებს ეძღვნება...“ („მნათობი“, გვ. 158). პირიქით, ვ. აბაშმაძის ნაშრომი როგორც თავისი აგებულებით, ისე საკითხების წრით, მათი გადმოცემის თანმიმდევრობით ასახავს საბჭოთა სამართლის თეორიაში დამკვიდრებულსა და აღიარებულს. ფრანზა „ნაკლებად შესწავლილი საკითხები“ არასტაციონალური მკითხველისათვის არის გამიწვული.

უფრო მეტიც: ნაშრომში არც თუ იშვიათად შეიმჩნევა ტექსტობრივი დამთხვევები შესაბამის რუსულ წყაროებთან, თანაც წყაროების მიუთითებლად. ქვემოთ მოტანილია სამისო მავალითები.

ვ. აბაშმაძე. საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდება

წყარო

1. „სამართლებრივი ნორმის შეფარებით განსაზღვრული ჰიპოთეზა, მართალია, მიუთითებს ამ ნორმის შეფარდების პირობებს, მაგრამ მოცემულ შემთხვევებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკა ისეთია, რომ ამ პირობების არსებობა ან არარსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს სათანადო ორგანოს მიერ. ამ პირობების არსებობა ყველასათვის ნათელი არაა, ამიტომ საჭიროა არა მარტო მათი შემოწმება, არამედ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის მათი ოფიციალური დადგენა“ (გვ. 80-81).

«Относительно - определенная гипотеза указывает условия для осуществления нормы права, но специфика жизненных отношений в данных условиях такова, что наличие или отсутствие этих условий определяется в каждом отдельном случае соответствующем органом. Наличие таких условий не является для всех очевидным. Поэтому требуется не простая их проверка..., а официальное установление в каждом конкретном случае».
(«Общая теория советского права»). Под редакцией докторов юридических наук С. Н. Братуся и И. С. Самошенко. Изд-во «Юридическая литература». М., 1966, стр. 197).

1 რუსულ რეზიუმეში ვ. აბაშმაძე წერს, რომ კერძო სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ...на высших курсах (ზახი ჩვენია — გ. მკითხველს კარგად მოესხენება, რომ ვ. აბაშმაძის არა «...на высших курсах...».

მის ნაშრომს საფუძვლად დაედო ლექციების სპეცკურსში, რომელსაც იგი კითხულობს (ტ.) юридического факультета (გვ. 136). უნდა ეთქვა «...на старших курсах...» და

ვ. აბაშმაძე. საბჭოთა სამართლის
ნორმების შეფარდება

წყარო

2. „კანონმდებელი ზოგჯერ სამართლებრივი ნორმის დისპოზიციას პირდაპირ არ აუღლებს ნორმატიული აქტის მუხლში, მაგრამ იგი ლოგიკურად გამომდინარეობს ნორმის ტექსტიდან. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ნორმა ამკრძალველი ხასიათისაა. გარეგნულად ასეთი ნორმების დისპოზიცია კანონმდებლის მიერ ყალიბდება იმ მოქმედებათა აღწერით, და მითითებით, რომელთაც შედეგად სასჯელი მოსდევს. დისპოზიციის გადმოცემის ასეთ წესს, ჩვეულებრივ, კანონმდებელი ძალზე ხშირად მიმართავს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების გადმოცემისას (გვ. 35).

3. „სამართლის ნორმებს შორის არსებული ლოგიკური კავშირები სისტემატური კავშირებისაგან იმით განსხვავდება, რომ ლოგიკური კავშირები უფრო ფართოა და იგი არ განისაზღვრება ცალკეული ნორმატიული აქტის ფარგლებით. გარდა ამისა, ლოგიკური კავშირები ნორმებს შორის ნორმათა სისტემატიზაციისაგან (1) დამოუკიდებლად არსებობს. ლოგიკური კავშირების დახასიათებისას მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ, სისტემატური კავშირებისაგან განსხვავებით, ლოგიკური კავშირები სრულებითაც არ არის დამოკიდებული იმ ადგილზე, რომელიც ნორმას უკავია სამართლის სისტემაში“ (გვ. 103).

ზოგჯერ ვ. აბაშმაძე ისე თარგმნის, რომ წყაროს არ უთითებს და თანაც სათანადო აზრს და-

2. «Иногда диспозиция правовой нормы не формулируется прямо в статье нормативного акта, а логически вытекает из ее текста. Это... имеет место тогда, когда норма носит характер запрета... Внешне... диспозиция этих норм формулируется путем указания или описания деяния, влекущего за собой применение наказания... Именно так формулируется большинство статей особенной части уголовных кодексов союзных республик» (с. 201).

3. «От систематической связи норм она (ლაპარაკია ლოგიკურ კავშირებზე — გ. ტ.) отличается во-первых, тем, что это более широкая связь, которая не ограничивается рамками отдельного акта; во-вторых, она имеет место независимо от наличия систематизации норм, произведенной законодателем; в-третьих, она не зависит от места, которое занимает норма в системе государственно-правового акта.»

(П. Е. Недбайло. Применение советских правовых норм. Госюриздат, М., 1960, стр. 388).

მანიჭებულად გადმოსცემს.

ვ. აბაშმაძე. საბჭოთა-სამართლის
ნორმების შეფარდება

Н. П. Томашевский. О структуре правовой нормы и классификации ее элементов (Сб. «Вопросы общей теории советского права». Госюриздат, М., 1960):

„სამართლებრივი ნორმის ალტერნატიული პიპოტეზა გულისხმობს ნორმის გამოყენებას პიპოტეზაში აღნიშნული რამდენიმე გარემოებიდან ერთი ან რამდენიმეს არსებობის შემთხვევაში“ (გვ. 33-34).

«Альтернативные гипотезы ставят применение нормы... в зависимость от наличия одного из двух или нескольких условий...» (стр. 233).

აქ ვ. აბაშმაძემ სიტყვები „одного из двух“ ასე თარგმნა: „ერთი ან რამდენიმე“. ამის შედეგად ალტერნატიული პიპოტეზა მან განსაზღვრა როგორც სამართლებრივი ნორმის შეფარ-

დება ერთი ან რამდენიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში (1). სინამდვილეში ასეთი პიპოტეზა გულისხმობს სამართლებრივი ნორმის შეფარდებას ორი ან მეტი პიპოტიდან ერთ-



ერთი პირობის არსებობისას. სხვათაშორის თვით სიტყვა „ალტერნატიული“ სწორედ ამაზე მიუთითებს — ერთი ორსა თუ რამდენიმეს შესაძლებლობას შორის. ვიფიქროთ, ვითომ ავტორმა ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არ იცის?

მოვიყვანოთ მეორე ანალოგიური მაგალითი, ე. ი. როდესაც თარგმანი შესრულებულია წყაროს მიუთითებლად და თანაც დამახინჯებულია აზრი.

ვ. აბაშვიძე. საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდება

О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский. Вопросы теории права. Госюриздат, М., 1961.

„განსაკუთრებული ნორმების სპეციფიკური თვისებები იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აღგენენ ქცევის ისეთ წესებს, რომლებიც დამატებითი ხასიათისაა ზოგადი ან სპეციალური ნორმებისადმი. ეს დამატებები აღნიშნული ნორმების ზოგადი წესიდან არსებიად გამოწვევას ეხება. ზოგადი ხასიათისაა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის (!) მეორე მუხლით დადგენილი სამართლებრივი ნორმა, რადგანაც იგი განსაზღვრავს იმას, თუ რა ხასიათის სადავო საკითხებს აწესრიგებს სამოქალაქო სამართლის კოდექსი. განსაკუთრებულ ნორმას შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება, რომელიც აწესებს პირუტყვის პატრონის მიმართ აღმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესა წახდენისათვის“ (გვ. 45).

«Специфика исключительных норм состоит в том, что они являются дополнением либо к общим, либо к специальным нормам, причем таким дополнением, которое устанавливает изъятие из правил указанных норм. Так, например, норма ст. 2 Гражданского кодекса является общей. Она устанавливает, что споры о праве гражданском разрешаются в судебном порядке. Эта норма потому и является общей, что она распространяется на все вообще гражданские споры. Однако Указ Президиума Верховного Совета СССР от 11 января 1955 г. ввел административный порядок ответственности владельцев скота за потравы посевов в колхозах и совхозах. В этом случае мы имеем дело с исключительной нормой, устанавливающей изъятие из правила общей нормы» (стр. 170 — 171).

აქაც, შესაბამისი წყაროს მიუთითებლად შესრულებულ თარგმანში უზუსტობაა: ვ. აბაშვიძემ არ მიუთითა იმაზე, რომ სამოქალაქო დავები სასამართლო წესით წყდება, ასევე არ მიუთითა იმაზე, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის

ბრძანებულებით გათვალისწინებული ნორმა წარმოადგენს განსაკუთრებულ ნორმას, რადგან შეიცავს გამოწვევის ზოგადი ნორმიდან. ყოველივე ამის გამო აზრი ბუნდოანია. მესამე ანალოგიური მაგალითი:

ვ. აბაშვიძე. საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდება

«Общая теория государства и права». Изд-во Ленинградского университета. 1961.

„სამართლებრივ ნორმაში გადმოცემული ქცევის წესის მოცულობის მიხედვით დისპოზიცია შეიძლება იყოს კაზუალური და აბსტრაქტული. კაზუალური დისპოზიცია შეიცავს მიუთითებს ამა თუ იმ მოქმედების აკრძალვის ან ნების დართვის შესახებ. რაც შეეხება აბსტრაქტულ დისპოზიციას, იგი გულისხმობს ქცევის განსაზღვრულ ტიპს“ (გვ. 35).

«Диспозиции по объему выраженного в них правила поведения подразделяются на казуальные и абстрактные. Казуальные диспозиции перечисляют конкретно предписываемые, запрещаемые или дозволяемые ими действия. Напротив, абстрактные диспозиции предусматривают определенный тип поведения в качестве предписанного, дозволенного или запрещенного...» (стр. 335).



ამ შემთხვევაში ვ. აბაშაძემ კაზუალური დისპოზიციის განსაზღვრისას კანონოვა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ მითითება პრინციპულ მოქმედებაზე. სიტყვა „ამა თუ იმ“ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც კონკრეტული მოქმედების, ისე განსაზღვრული ტიპის ქცევის აღსანიშნავად („ამა თუ იმ მოქმედების“, „ამა თუ იმ ქცევის ტიპი“). კაზუალური დისპოზი-

ცია სწორედ იმით განსხვავდება აბსტრაქტულისაგან, რომ პირველში შესაბამისი კონკრეტული მოქმედებაა მითითებული, ხოლო მეორეში — ქცევის ტიპი.²

არასწორ თარგმანს ვ. აბაშაძის ნაშრომში მაშინაც ვხვდებით, როდესაც შესაბამის წყაროზეა მითითებული.

ვ. აბაშაძე. საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდება

«Общая теория советского права». Под редакцией С. М. Братуся и И. С. Самощенко.

„სწირბლ (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) კანონმდებელი ნორმატულ აქტებში გვაძლევს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა როგორც უფლებამოსილებას, ისე ვალდებულებასაც. მაგრამ ზომჯჳპრ (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) იგი დისპოზიციის ვადმოცემისას კმაყოფილდება მისი ერთ-ერთი ნაწილის — უფლების ან მოვალეობის აღნიშვნით. რა თქმა უნდა, როდესაც კანონმდებელი დისპოზიციაში მიუთითებს სამართლებრივი ურთიერთობის ერთი მხარის ვალდებულებაზე, გულისხმობს მეორე მხარის უფლებასაც და პირიქით. ამიტომაც როგორც ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში იყო აღნიშნული, საკმარისია დისპოზიციაში უფლების ან ვალდებულების მითითება: ორი ნაწილის ერთდროულად ვადმოცემა ზედმეტია და ართულებს ნორმის სიტყვიერი ვადმოცემის ფორმას“ (გვ. 34-35).

«В сравнительно редких случаях (ხაზი ჩვენია—გ. ტ.) законодатель формулирует в нормативном акте как правомочия, так и юридические обязанности сторон регулируемых отношений... В подавляющем большинстве случаев (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) формулируется или только юридическая обязанность..., или только правомочие. Другой элемент регулируемого нормой отношения обычно подразумевается» (стр. 201).

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ დაამახინჯა ვ. აბაშაძემ დამოწმებული წიგნის ავტორთა აზრი, ეკრძოდ, მან სიტყვა „в сравнительно редких случаях“ თარგმნა სიტყვით „სწირბლ“, ხოლო სიტყვას «в подавляющем большинстве случаев» ქართულად მიუსადაგა სიტყვა „ზოგჯერ“. ამის შედეგად სულ საწინააღმდეგო აზრი მივიღეთ: დამოწმებული წიგნის ავტორები აღნიშნავენ, რომ კანონმდებელი შედარებით იშვიათად მიუთითებს ნორმატიულ აქტებში სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა როგორც უფლებამოსილებაზე, ისე ვალდებულებაზე. ვ. აბაშაძე კი ამბობს, რომ სწირბლ კანონმდებელი გვაძლევს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა როგორც უფლებამოსილებას, ისე ვალდებულება-

საც. დამოწმებულ წყაროში აღნიშნულია, რომ უმთავრესად (მეტწილ შემთხვევებში) ნორმატიულ აქტებში მითითებულია ან მოვალეობა ან უფლებამოსილება. თანაც ამ წყაროში ასეთი მოსაზრება გამოთქმულია როგორც არსებული კანონმდებლობის ნიშანთვისება. ვ. აბაშაძემ კი დამოწმებული წიგნის ავტორებს მიაწერა მოსაზრება, თითქოს ზომჯჳპრ ნორმატიულ აქტებში მითითებულია ან უფლება, ან მოვალეობა. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ჩვენს კანონმდებლობაში უპირატესად მიუთითებენ ან უფლებამოსილებაზე ან ვალდებულებაზე, მან მკვეთრად არ გამოყო (მიაქციეთ ყურადღება სიტყვას „საკმარისია“).

რაკი სიტყვა თარგმანზე ჩამოვარდა, გვინდა

2 ვ. აბაშაძე პიპოთეზის ერთ-ერთ სახედ თვლის კაზუსტიკურ პიპოთეზას (იხ. მისი ნაშრომი, გვ. 32, 33). ამიტომ ტერმინოლოგიური ერთიანობისათვის ასევე უნდა ვინმართ ტერმინი — კაზუსტიკური დისპოზიცია და არა კაზუალური დისპოზიცია.

ერთი მაგალითიც მოვიყვანოთ. „მნათობში“ გამოკვეთებულ წერილში ვ. აბაშმაძემ მიუღებლად მიიჩნია შენიშვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომში სწორად არ არის გადმოცემული ზემო-

ხსენებული წიგნიდან დებულება სამართლებრივი ნორმის განუსაზღვრელი ჰიპოთეზის შესახებ. ქვემოთ შედარებისათვის ნაჩვენებია ორთავე ტექსტი.

ვ. აბაშმაძე. საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდება

«Общая теория советского права». Под ред. С. Н. Братуся и И. С. Самощенко. М., 1966.

„რიგ შემთხვევებში, როცა ნორმა შეიცავს მითითებას „აუცილებლობის შემთხვევაში“, საჭიროებისამებრ“ და ა. შ., უნდა იქნება მინც ვილაპარაკოთ განუსაზღვრელი ჰიპოთეზის მართა სამართლებრივი ნორმების შესახებ (ხაზი ჩვენია — გ. ტ.). საბჭოთა კანონმდებლობაში მოიპოვება ბევრი ასეთი ფორმულირების მქონე სამართლებრივი ნორმა და ამგვარი ნორმების არსებობა საცხებით გამართლებულია“ (გვ. 32).

«Не во всех случаях, где в законе имеется указание «в случае необходимости», «по надобности» и т. д., можно говорить о наличии неопределенной гипотезы. В советском законодательстве есть много норм с подобного рода формулировками и существование таких норм вполне оправдано. Так, в ст. 293 УПК РСФСР, регулирующей осмотр местности и помещения, имеется выражение: «В случае необходимости осмотр производится в присутствии свидетелей и эксперта». О наличии неопределенной гипотезы в данном случае не может быть речи, (ხაზი ჩვენია — გ. ტ.), поскольку определение суда о необходимости осмотра в присутствии свидетелей и эксперта зависит от определенных условий: слушание уголовного дела (общее условие), признание необходимым осмотреть какое-либо помещение или местность (специальное условие)» (стр. 198).

დამოწმებული ნაშრომის ავტორები ამ შემთხვევაში განუსაზღვრელი ჰიპოთეზის არსებობას კი არ თვლიან გამართლებულად, არამედ ისეთი ჰიპოთეზისა, რომელიც მხოლოდ გარეგნულად წაგავს განუსაზღვრელ ჰიპოთეზას. მათ მიერ მოყვანილი მაგალითიც მას აღსატურებს. ვ. აბაშმაძემ კი მათი აზრი შეცვალა, თითქოს ისინი აღნიშნულ შემთხვევაში ცნობდნენ განუსაზღვრელი ჰიპოთეზის არსებობას.

და ჯერარსობის შესახებ მიმდინარეობს საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში, 3) მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელთა ნუსხიდან გამოტოვებულია სასჯელის 9 სახე, 4) მცდარად არის განმარტებული შედარებით — განსაზღვრული ცნება აბსოლუტურად განსაზღვრული სასჯელთა (ნებები, 5) კანონის განმარტების ლოგიკური წესები ილუსტრირებული არ არის მაგალითებით, 6) ნაშრომი შეიცავს კანონის ავთენტუკური განმარტების ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო განსაზღვრებას, 7) ავტორს სწორად არა აქვს წარმოდგენილი კანონის განვრცობითი განმარტება.

ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითებიც საკმარისია იმისათვის, რომ ვ. აბაშმაძის ნაშრომი კომპილაციურ ნაშრომად ჩავთვალოთ.

ახლა შევეუდგეთ ვ. აბაშმაძის პასუხის არსებითად განხილვას. თავდაპირველად, მთელი პასუხისმგებლობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. აბაშმაძის პასუხი შემთხვევაში, რამდენიმე მიხედვით უკიდურესად დაუსაბუთებელ ზრალდებებს.³ აუპარად ჩანს, ვ. აბაშმაძემ უოველანძირად არის მოწყადინებული შეცდ-

ვ. აბაშმაძის წერილი „მნათობში“ ისეა შედგენილი თითქოს საერთოდ ჩემი ყველა შენიშვნა მიუღებელია. სინამდვილეში მან პასუხი არ გასცა რეცენზიაში გამოთქმულ შემდეგ შენიშვნებს: 1) ნაშრომის თავები დაყოფილი არ არის პარაგრაფებად, 2) არაფერია ნათქვამი იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც ნორმის არსობისა

3 ამ თვალსაზრისით მრავალთაგან მეტად დამახასიათებელია ბრალდება, რომელიც ვ. აბაშმაძემ წამოგვიყენა სიტყვა „შუამავლის“ ხსენებისათვის. 1969 წელს უტრნალ „საბჭოთა სამართლის“ მეხამე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი სტატია „სასამართლო პრაქტიკა და სამართალშემოქმედება“. ამ სტატიაში გამოვიყენეთ ფიგურალური



დინოს არასპეციალისტი მკითხველი, იყენებს სხვადასხვა იარაღებსა და პიტიებს, პამათის სოფისტური ხერხებით ცდილობს თავი აარიდოს შენიშვნაზე პასუხის გაცემას.

რეცენზიაში ნათქვამია, რომ სივრცეში კანონის მოქმედების, სამართლებრივი ნორმის აღწერილობითი, მითითებითი დისპოზიციების, კანონის ავტენტუკური განმარტების მაგალითები ვ. აბაშაძეს მოყვანილი აქვს ძველი, საკმაოდ დიდი ხნის წინათ გაუქმებული კანონმდებლობიდან, მაშინ, როცა საამისო მაგალითებს უხვად შეიცავს ამაჲმად მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა (იხ. „საბჭოთა სამართალი“ გვ. 75-78).

ამ შენიშვნაზე პასუხის გაცემას, უფრო უზუსტად, პასუხის გაუცემლობას ვ. აბაშაძემ „მნათობში“ წერილის გვერდნახევარი მიუძღვნა. პირველი მხის არგუმენტი ასეთია: „უპირველეს ყოვლისა, რეცენზენტს უნდა მოეპოვებინა (ხაზი ჩვენია — გ. ტ.), რომ ჩვენს ნაშრომში გამოყენებულია როგორც ძველი და უძველესი, ასევე ახალი, მოქმედი კანონმდებლობა. რეცენზენტს, აღბათ, მხედველობიდან „გამოეპარა“, რომ სწორედ ახალ, მოქმედ კანონმდებლობას ეკუთვნის ჩვენს ნაშრომში შიითებული...“ (შემდეგ ჩამოთვლილია შესაბამისი აქტები, „მნათობი“, გვ. 154). ვ. აბაშაძეს რომ ძველთან ერთად ახალი კანონმდებლობაც აქვს გამოყენებული ნაშრომში, ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია ჩემს რეცენზიაში: „...ნაშრომის სხვა გვერდებზე მაგალითები უკვე ამაჲმად მოქმედი კანონმდებლობიდან არის მოყვანილი“ (იხ. „საბჭოთა სამართალი“, გვ. 75).

ამრიგად, აქ რეცენზენტის გულმავიწყობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ვ. აბაშაძის უწყალო ცდასთან დაახლოვების მკითხველი, როგორც უკვე შევნიშნეთ, ვ. აბაშაძე თავისდაუნებურად აღიარებს, რომ ნაშრომში გამოყენებულია როგორც ძველი, ისე ახალი კანონმდებლობა. სწორედ ამის გამო სტუდენტი ვეღარ ვაერკვევა, თუ რომელი კანონია გაუქმებული და

რომელი მოქმედებს, ხეცე აღნიშნულია რეცენზიაში („საბჭოთა სამართალი“, გვ. 75).

ვ. აბაშაძის მეორე არგუმენტი: „რაც შეეხება ჩვენს ნაშრომში გამოყენებულ ძველ კანონმდებლობას, რასაც რეცენზენტი დაუშვებლად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა. საჭიროა გავარკვიოთ ის საკითხი, თუ რას ეხება ძველი კანონმდებლობიდან ჩვენ მიერ დამოწმებული მაგალითები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძველი კანონმდებლობიდან მოყვანილი ეს მაგალითები ეხება ისეთი სამართლებრივი მოვლენების განსაზღვრას, რომლებიც არა მარტო მოქმედი კანონმდებლობისათვის, არამედ ძველი კანონმდებლობისათვისაც არის დამახასიათებელი... ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ეს სამართლებრივი მოვლენები როგორც ძველი, ასევე ახალი კანონმდებლობისათვის ერთნაირად დამახასიათებელია, მაშინ რეცენზენტი რატომ მოითხოვს, რომ მათი ილუსტრირებისათვის მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობა უნდა გამოვიყენოთ?“ („მნათობი“, გვ. 154).

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, თუ რა განზრახ ართულებს ვ. აბაშაძე სულ უმარტივეს საკითხს, საბჭოთა სამართლის ნორმის შეფარდება სტუდენტს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვასწავლოთ მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით. უკვე გაუქმებული კანონმდებლობიდან მაგალითების მოყვანა გამართლებული იქნებოდა ორი პირობით: 1) თუ მოქმედ საბჭოთა კანონმდებლობაში სტანანადლ მხატვართები არ მოიპოვებება და 2) თუ ამაჲმად ღრუს ტექსტიდან ნათელია, რომ ნაბალითი მოტანილია ძველი კანონმდებლობიდან, რომელიც დღეს აღარ მოქმედებს. ჩემი შენიშვნა სწორედ იმის შედეგია, რომ ვ. აბაშაძე არ იცავს ამ პირობებს და ამიტომ სტუდენტს ექმნება მცდარი წარმოდგენა, თითქოს შესაბამისი კანონები დღესაც მოქმედებდეს.

ჩემი ღრმა რწმენით, ვ. აბაშაძეს კარვად ესმის, რომ მისი პასუხი სწორი არ არის. ამას

გამოთქმა, სასამართლო შუამავალია ფაქტსა და სამართლებრივ ნორმას შორის. ვ. აბაშაძემ „მიიჩნია“, რომ ეს დებულება „...ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს და იგი ნასესხება ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერებიდან“ („მნათობი“, გვ. 157-158). აქ ვანსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ვ. აბაშაძის კამათის ხერხი: „გაღმა შედავების პოლიტიკით თავი დაიხსნას საკუთარი შეცდომებისაგან.

ჩემს ზემოხსენებულ სტატიაში ის ახრია ასახული, რომ სამართლებრივი ნორმის შეფარდება თავისთავად არ ხდება, რომ ამისათვის აუცილებელია სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს არსებობა. ვინაიდან სტატია სწორედ სასამართლო პრაქტიკისადმი იყო მიძღვნილი, ამიტომ ასეთ შუამავლად სასამართლო მოვიხსენიეთ. კ. მარქსი წერდა: «Закон всеобщ. Случай, который должен быть определен на основании закона,— единично. Чтобы подвести единичное под всеобщее, требуется суждение. Суждение проблематично. Для применения закона требуется также и судья. Если бы законы применялись сами собой, тогда судьи были бы излишни» (К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. I, стр. 66-67).



ადსტურებს მისი შემდეგი დებულება: „სამართლის ნორმის კაზუსტური ჰიპოთეზის მაგალითი მხოლოდ უძველეს კანონმდებლობაში (ხაშურაბის კანონები, რომის სამართალი და ა. შ.) უნდა ვეძებოთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კაზუსტური ჰიპოთეზის მართალი სამართლებრივი ნორმები დღევანდელ კანონმდებლობაში აღარ გვხვდება“ (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) („მნათობი“, გვ. 155). ეს არსებითად სწორია. მაგრამ ვინაიდან მოქმედ კანონმდებლობაში უხვად გვპოვებთ მარტივი, აღწერილობითი ჰიპოთეზისა თუ დისპოზიციის მაგალითები, ამიტომ უპირატესობა სწორედ ამ კანონმდებლობას უნდა მივცეთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეცენზიაში ნათქვამი იყო: „უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორმა ამ შემთხვევაში ახალი კანონმდებლობის მიღებამდე გამოცემული ლიტერატურით ისარგებლა და გამოეპარა დროში კანონის მოქმედების პრინციპი“ („საბჭოთა სამართალი“, გვ. 76). ამ შენიშვნის სისწორეს ადსტურებს შემდეგი მაგალითი.

ნაშრომის 76-77-ე გვერდებზე ვ. აბაშაძე წერს: „მოკავშირე რესპუბლიკების შინაარსით განსხვავებული სამართლებრივი ნორმების შეფარდების წესი ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებისადმი დადგენილია (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1931 წლის 10 თებერვლის განმარტებაში“. ამის შემდეგ ვადმოცემულია ან დადგენილების შინაარსი. ეს დებულება ავტორს ნახსენები აქვს პროფ. პ. ნედბაილოს ნაშრომიდან „საბჭოთა სამართლებრივი ნორმების შეფარდება“.⁴ პ. ნედბაილოს სრული უფლება ქონდა მიეთითებია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1931 წლის 10 თებერვლის დადგენილებაზე, რადგან ეს დადგენილება მოქმედებდა მისი ნაშრომის გამოქვეყნებისას (1960 წ.). ვ. აბაშაძეს კი ეს აღარ შეეძლო; მისი ნაშრომი გამოქვეყნდა 1972 წელს, ხოლო აღნიშნული დადგენილება აღარ მოქმედებს უკვე 1961 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა ახალი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა.

შეიძლება კიდევ დავუმოწმებია სხვა ანალოგიური შემთხვევები, როდესაც ვ. აბაშაძე ახალი კანონმდებლობის მიღებამდე გამოცემული იურიდიული ლიტერატურიდან ამოღებული მაგალითებით სარგებლობს. მან თავი არ შეიწუნა სათანადო მაგალითები ახალი,

მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობიდან მოეძებნა.

ამრიგად, პროფ. ვ. აბაშაძემ იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებს, რომელთაც სხალ-ჯგ უსტიციის ორბანოვაში მუშაობა უნდა დაიწყონ, საბჭოთა სამართლის ნორმის შეფარდებას გაუმეზღული კანონმდებლობით ასწავლის.

ასევე გაბმული და თანაც უსაფუძვლო დავა გავიმართა ვ. აბაშაძემ ფაქტის იურიდიული შეფასებისათვის წენობრივი ნორმების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე. ამ საკითხზე მის ნაშრომში ნათქვამია: „...სამართლის ნორმის შეიფარდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ სამართლის ნორმებით, რაც შეეხება სხვა სოციალური ნორმის მოთხოვნებს, ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენას მათ შინაშე ნელობა არა აქვთ, ფაქტები უნდა შეფასდეს მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული თვალაზრისით“ (გვ. 66). რეცენზიაში შევნიშნეთ, რომ მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შეფასებითი ნიშნების შინაარსის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ წენობრივი ნორმების მომარჯვებით (მაგალითად, შეურაცხყოფის დროს „პატივი“ და ღირსება“ და სხვ.) (იხ. „საბჭოთა სამართალი“, გვ. 79).

ძნელი არ არის იმის გამოკვევა, თუ ვის „დაეხსნა“ ვ. აბაშაძე, როდესაც ნაშრომში ზემოაღნიშნული დებულება შეიტანა. ამ დებულების ავტორია პროფ. პ. ნედბაილო, რომელიც ასევე წერს: „...в оценке фактов общественной жизни нужно исходить из требований правовых, а не нравственных или иных социальных норм... Юридически существенными являются лишь такие факты, которые квалифицируются в соответствии с требованиями правовых, а не иных норм...“.⁵

როგორც ჩანს, ვ. აბაშაძემ ბოლომდე არ ჩაიკითხა პ. ნედბაილოს ნაშრომის ეს გვერდი. იქვე, იმავე გვერდზე პ. ნედბაილო წერს: «Все социальные нормы поведения человека тесно связаны между собой. В связи с этим в деятельности по применению правовых норм нельзя абстрагироваться от моральных и иных не правовых норм. Моральный критерий помогает суду в оценке фактов и их юридической квалификации. Правильно говорит проф. С. И. Вильянский, что «от советского судьи требуется подчинение закону, но при оценке фактов суд руководствуется добавочными оценочными критериями, которые он находит в правилах социалистического общежития».⁶

⁴ იხ. П. Е. Недбайло. Применение норм советских правовых норм. Госюриздат. М., 1960, стр. 309.

⁵ დასახელებული ნაშრომი, გვ. 239.

⁶ იქვე, 239-240.



თავის პასუხში ვ. აბაშმაძე ფაქტობრივად (რასაკვირველია, არა აშკარად და გულღიად) ასწორებს მის ნაშრომში დაშვებულ შეცდომას და წერს: „აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენისას არა სამართლებრივ სოციალურ ნორმებს, კერძოდ, ზნეობრივ და აგრეთვე ადათობრივ ნორმებს, დამხმარე მნიშვნელობა აქვთ. ეს ნიშნები გათვალისწინებული უნდა იქნას ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენისას“ („მნათობი“, გვ. 150—151).

ეს დებულება რომ ვ. აბაშმაძეს თავის ნაშრომში იმთავითვე ჩაეწერა, მაშინ ჩვენ მოხსენიებულ წინაშესახსრებულ ალბრ შემიტანდით რამენაირად.

მაგრამ ვ. აბაშმაძე მაინც დავობს, ასე ვთქვათ, სრულით იხვევს უკან. მაგრამ ვაი ასეთ სროლას! როგორც ჩანს, იგი მეტად განიცდის იმას, რომ ფაქტობრივად შენიშვნის მიღება უხდება და ამიტომ უკვე დემაგოგიას მიმართავს, ცდილობს დავის საგანი შეცვალოს, როგორმე მცდარი აზრი მოგვაწეროს და ამის შემდეგ ასეთი აზრი გააბათილოს.

როდესაც საბჭოთა სწავლული იურისტები მსგავს შემთხვევაში ზნეობრივი ნორმების გამოყენებაზე ლაპარაკობენ, ისინი, ამასთან, მიუთითებენ, რომ ასეთმა ნორმებმა ხელი უნდა შეუწყოს შესაბამისი სამართლებრივი ნორმების სწორად შეფარდებას.⁷ ზნეობრივი ნორმებით ხდება შესაბამისი სამართლებრივ ნორმებში ასახული მოქმედებათა შეფასება. სწორედ ეს თვალსაზრისია ჩემს რეცენზიაში ასახული. ვ. აბაშმაძეს სურს როგორმე მოგვაწეროს აზრი, თითქმის მე იურიდიული ფაქტის დადგენისას ზნეობრივი ნორმებით ხელმძღვანელობას მოვითხოვდეთ. ვ. აბაშმაძისათვის სამწუხაროდ, მე ასეთი აბსურდული მოსაზრება არ გამოიმთხვამს. ამიტომ მთელ მის მსჯელობას ამ საკითხზე ამ წინაშესახსრებულ აბსურდულად კავშირი არა აქვს. მას კი სრული უფლება აქვს ღია კარები აბჭარიოს. მხოლოდ გვიანდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ვ. აბაშმაძე დიდ შეცდომას ჩადის, როდესაც საქმეს იხე გვიხატავს, თითქმის მოცემულ შემთხვევაში სკკპ პროგრამა კრძალავდეს ზნეობრივი ნორმების მომარჯვებას. სკკპ პროგრამა შეიცავს დებულებას იმის შესახებ,

რომ მართლმსაჯულება სსრ კავშირში კანონის სრული შესაბამისობით ხორციელდება. საბჭოთა კანონმდებლობა კი თავის მხრივ უშუალოდ შეიცავს მითითებას სოციალისტური თანაცხოვრებისა და კომუნისტური ზნეობის პრინციპებზე. მაგალითად, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „უფლებათა განხორციელებისა და მოვალეობათა შესრულების დროს მოქალაქეებმა და ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან კანონები, პატივი სცენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და კომუნისტური მშენებელი საზოგადოების მორალურ პრინციპებს“. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, საბჭოთა სასამართლო კონკრეტული სამოქალაქო სამართლის საქმეთა გადაწყვეტისას ურყევად იცავს ამ მუხლით გათვალისწინებულ ნორმას. რაც მთავარია, სკკპ პროგრამაში ჩამოყალიბებული კომუნისტური მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპები ზნეობრივი თვალსაზრისით ყველასათვის სავალდებულოა და მათ შორის კანონის შემფარდებლისათვის.

აშკარად, რომ იტყვიან თვალსა და ხელს შუა ცვლის ვ. აბაშმაძე ჩვენს სხვა წინაშესახსრებულ რეცენზიაში აღნიშნულია: „ნაშრომის პირველ თავში ავტორი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის ნორმის არსობისა თუ ჯერარსობის გამო აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ამის მიზეზად ავტორი იმას თვლის, რომ ბურჟუაზიულმა იურიდიულმა მეცნიერებამ, მეთოდოლოგიური საფუძვლის (ჩვენ აქ გამოგვჩა სიტყვა: „მტკიცე“ — გ. ტ.) უქონლობის გამო, ვერ შესძლო ამ პრობლემის გადაჭრა. ავტორი აქ არაფერს ამბობს იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც საბჭოთა და ევროპის სოციალისტური ქვეყნების ფილოსოფიურ ლიტერატურაში მიმდინარეობს ნორმის არსობისა და ჯერარსობის საკითხებზე (სხვათაშორის, ამ დისკუსიაში ქართველი ფილოსოფოსებიც მონაწილეობენ) („საბჭოთა სამართალი“, გვ. 77) შენიშვნის აზრი სავსებით გასაგებია. ვ. აბაშმაძემ კი თითქოსდა ვერ გაიგო იგი. მისი „პასუხი“: „რეცენზენტის ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამოდის შემდეგი: ბურჟუაზიულმა იურიდიულმა მეცნიერებამ მტკიცე

⁷ იხ. **О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский.** Вопросы теории права. Госюриздат. М., 1961, стр. 111—114; **В. В. Борисов.** Этические основы законности и правопорядка советского общества, кн. «Мораль, право и коммунизм». Изд-во Саратовского университета. 1965, стр. 148 и сл.; **С. С. Алексеев.** Социальная ценность права в советском обществе. «Юридическая литература», М., 1971, стр. 204 и след.; **А. Ф. Черданцев.** Вопросы толкования советского права. Свердловск. 1972, стр. 178—183; «Марксистско-ленинская теория государства и права. Социалистическое право». «Юридическая литература», М., 1973, стр. 191—192 и след.

მეთოდოლოგიური საფუძვლების უქონლობის გამო რომ ვერ შესძლო სამართლის ნორმების არსობისა და ჭერარსობის საკითხის გადაჭრა, თითქოს ეს მტკიცება მხოლოდ მე მეკუთვინს. რეცენზენტს უნდა შევახსენოთ, რომ ეს მარტო ჩემი შეხედულებაა კი არაა, არამედ ამ თვალსაზრისზე დგას მთელი აბაქოთა იურიდიული მეცნიერება და, საკვირველია, ასე უსაფუძვლოდ რატომ მიიჩნია რეცენზენტმა იგი საკამათოდ?!“ („მნათობი“, გვ. 151). მართლაც საკვირველია, რატომ აცხადებს ვ. აბაშმაძე უდავოს სადავოდ. ჩემი შენიშვნა ამ შემთხვევაში სრულადაც არ შეეხება ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის ნორმის არსობისა და ჭერარსობის საკითხის დაყენებას. ბურჟუაზიულმა იურიდიულმა მეცნიერებამ რომ ვერ შესძლო მოხსენიებული პრობლემის გადაწყვეტა მტკიცე მეთოდოლოგიური საფუძვლის უქონლობის გამო, ეს სრული ჭეშმარიტებაა. როგორც დავინახეთ, ჩემი შენიშვნა ის არის, რომ ნაშრომში არაფერია ნათქვამი იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც ნორმის არსობისა და ჭერარსობის შესახებ მიმდინარეობს ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში. ამ შენიშვნას ვ. აბაშმაძემ პასუხი არ გასცა და მსჯელობა სხვა მიმართულებით წარმართა. ვასაგებია, რატომ: იგი არ იცნობს ამ დისკუსიის მასალებს. ვ. აბაშმაძე მოვალე იყო განემარტა მკითხველისათვის, რომ ნორმის არსობისა და ჭერარსობის შესახებ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში წარმოებულნი მტკიცე საინტერესო დისკუსია ემყარება ერთ მტკიცე მეთოდოლოგიურ საფუძველს—მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკას.⁸

ასევე აარიდა თავი ვ. აბაშმაძემ ჩემს შენიშვნას იმის შესახებ, რომ მისი ნაშრომიდან სტუდენტს გაუძნელებდა გაარკვიოს, როდის

იყო სილოგიზმის თეორია გაბატონებული ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში. ნაშრომის 93-ე გვერდზე ვ. აბაშმაძე აღნიშნავს, რომ „სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში (ხაზი ჩვენი — გ. ტ.), როდესაც ბურჟუაზია თავისი მდგომარეობის განმტკიცებას ცდილობდა და მისი სამართლებრივი იდეოლოგია ჭერ კიდევ ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპებს ემყარებოდა, იურიდიული მეცნიერება სამართლის ნორმის შეფარდებას განიხილავდა როგორც ფორმალურ-ლოგიკურ ოპერაციას, რომელიც ემყარება სასამართლო სილოგიზმის წესებს“. ამის წინ კი მას ნათქვამი აქვს: „თანამედროვე ბურჟუაზიულ იურიდიულ უმრავლესობა (ხაზი ჩვენი — გ. ტ.) იმ თვალსაზრისზე დგას, რომ სამართლის ნორმის შეფარდება გაგებულ იქნეს როგორც Subsumtion ე. ი. კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი განსაზღვრული სამართლის ნორმის შეფარდების გვით სამართლის შემფარდებლის მიერ გადაწყვეტილების მიღება, როგორც აუცილებელი ლოგიკური დასკვნა“ (გვ. 8). იქვე, მე-9 გვერდზე ეს აზრი უფრო კატეგორიულად არის გადმოცემული: „თანამედროვე ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში (ხაზი ჩვენი — გ. ტ.), სამართლის ნორმის შეფარდებასთან დაკავშირებით წამოყენებული საკითხების გადაჭრას იმ დასკვნამდე მივყვართ, რომ სამართლებრივი მეცნიერება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებული კლასების ინტერესთა შესაბამისად სამართლის კლასობრივი არსის შენიღბვის მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნორმის რეალიზაციის ფორმალურ მხარეებს. თანამედროვე ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერება (ხაზი ჩვენი — გ. ტ.) ავიტარებს ძველ ტრადიციულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი

⁸ ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი (ო. ვაინბერგერი, გ. კლაუსი, დ. გორსკი, ვ. ეიხგორნი) თვლის, რომ მორალური ნორმა არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, მეორე ჯგუფი ფილოსოფოსებისა (ფ. ლეზერი, ა. შიშკინი, ნ. მოკროუსოვი) კი დადებითად წყვეტს ნორმის ჭეშმარიტების საკითხს. მაგალითად, ო. ვაინბერგერის შეხედულებით, თავისი ფუნქციით ნორმატიული წინადადება ისევე განსხვავდება გამოთქმისაგან, როგორც მსჯელობა „შენ არ უნდა იქორწინო“ განსხვავდება გამოთქმისაგან „შენ მღერა“. მისი აზრით, ასეთი გამოთქმა აღწერს სინამდვილეს, აქვს შემეცნებითი და ინფორმაციული ხასიათი, იგი ყოველთვის ან ჭეშმარიტია ან ყალბი. მის საწინააღმდეგოდ, ნორმატიული წინადადება არ წარმოადგენს სინამდვილის აღწერას, მას არა აქვს შემეცნებითი მნიშვნელობა. ნორმატიული წინადადება არ არის სინამდვილის სახე და ასახვა. იგი არის სინამდვილის პროდუქტი, კვალი, ნიშანი. მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნას ჭეშმარიტების ცნება, რადგან ისინი ასრულებენ სახელმძღვანელო, მოტივაციურ და მაკორდინირებელ ფუნქციას (იხ. **В. П. Кобликов. Об истинности моральных суждений. «Вопросы философии», 1968, № 5, стр. 62.** იხ. აგრეთვე „დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის პრობლემები“. თბილისი, 1966, გვ. 135 და სხვა.). ფილოსოფოსთა მეორე ჯგუფი კატეგორიულად უარყოფს არსობისა და ჭერარსობის, ფაქტობრივი სინამდვილისა და ნორმის ასეთი დაპირისპირებას (იხ. მაგ., **А. Ф. Шишкин. Основы марксистской этики. М., 1961, стр. 143—146.**)

ურთიერთობის მოწესრიგებას სამართლის ნორმის შეფარდების გზით კლასობრივი ხასიათი კი არა აქვს, არამედ ემყარება ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს, რომლებიც კლასობრივი მიზანდასახულებისაგან დამოუკიდებლად ერთნაირად გამოიყენება ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირებისათვის“ (გვ. 9).

დებულება, რომ სასამართლო სილოგიზმის თეორია გაბატონებული იყო სამრწველო კაპიტალიზმის ეპოქაში, სწორია, მაგრამ მცდარია, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით მიუღებელია ვ. აბაშაძის მეორე დებულება, თითქოს იმპერიალიზმის პერიოდში თანამედროვე იურიდიული მეცნიერება სამართლებრივი ნორმის შეფარდებისას სასამართლო სილოგიზმის თეორიას ემსრობოდა. აი რას სწერს ამ საკითხზე ცნობილი საბჭოთა სამართალმცოდნე პროფ. ვ. თუმანოვი: «Отношение современной буржуазной теории права к закону резко различно. В ее глазах он уже давно потерял тот ореол, которым был окружен ранее. Идея примата права еще более усугубляет эту тенденцию. Поскольку целью права объявляется определенная лимитация государства, то под правом склонны видеть уже не издаваемый государственной властью закон, а иные источники — судебную практику, обычай, доктрину, принципы естественного права, в значительной мере противопоставляемые закону. Наиболее неуважительное отношение к закону продемонстрировала американская социологическая и реалистическая юриспруденция. Но и другие господствующие школы проявляют эту же тенденцию. Доктрина «возраженного» естественного права и другие концепции, оперирующие понятием идеи права, требует ныне не столько законодательного воплощения «надзаконных принципов», сколько признания за органами, применяющими закон, права непосредственного применения этих принципов и вынесения на их основе решения contra legem»⁹.

ამრიგად თეზისი, თითქოს თანამედროვე ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერება კანონის ფორმალურ-ლოგიკურ განმარტებას ემსრობოდა, არსებითად ყალბი და მიუღებელია. ვ. აბაშაძის ეს თეზისი შემთხვევითი არ არის. მისი ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ამ საკითხის შესახებ ბურჟუაზიულ თეორიებს განიხილავს, ძირითადად ეხება სილოგიზმის თეორიის მომხრეთა შეხედულებებს. მართლაც,

ნაშრომის მე-7-8 გვერდებზე ვ. აბაშაძე წერს: „კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების გამო ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლები, რომლებიც დანტერესებული არიან კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სახელმწიფოსა და სამართლის აქტიური შემოქმედების ფორმათა ძიებით; დიდ ყურადღებას აქცევენ საბარძლიის ნორმის შემადგენლობას (ხაზი ჩვენია — გ. ტ.). სამართლის ნორმის შეფარდების აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა 1959 წლის 28 იანვრის ნორდრაინ-ვესტფალენის (გფრ) სამეცნიერო საზოგადოების სხდომა, რომელზეც მოხსინეს ჰ. კონიგის მოხსენება“. ნაშრომის მე-80 გვერდზე ნათქვამია: „სამართლის ნორმის ასხნა-განმარტების საკითხების სისტემატიური დამუშავება ბურჟუაზიული მეცნიერებიდან იწყება: იურიდიული ჰერმენევტიკის აქტუალური საკითხები პირველად სავინმა (უნდა იყოს სავინიმ — გ. ტ.) დააყენა. მან საგანგებოდ დამუშავა სამართლის ნორმის ასხნა-განმარტების თეორიული პრობლემები, რაზეც მეცნიერული დავა დღესაც გრძელდება“. ამის შემდეგ ვადა მოცემულია ბურჟუაზიული კანონის ფორმალურ-ლოგიკური განმარტების ნომხრების სავინის, ტიბოს, ბინდინგის, ვასკოვსკის და სხვათა შეხედულებები. ნაშრომის სქოლიოებში ძირითადად დამოწმებულია ასეთი განმარტების ნომხრეთა ნაშრომები.

„ბურჟუაზიის მიერ შექმნილი კანონიერების გამოყენების ეპოქა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იცვლამბა უღიგის რევოლუციური ბრძოლების ეპოქით, ამასთან, ეს ბრძოლები ბრძნობით აღიწერება მთელი ბურჟუაზიული კანონიერების, მთელი ბურჟუაზიული წყობილების დანგრევა, ფორმის მხრივ ისინი უნდა დაიწყოს (და იწყება) ბურჟუაზიის თავგანზნული ცდებით თავიდან მოიშოროს მის მიერვე შექმნილი და მისთვის დღეს უკვე აუტანელი კანონიერება“¹⁰. „მონოპოლისტიური კაპიტალი, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — სულ უფრო ცხადად ამუღავნებს თავის რეაქციულ, ანტიდემოკრატიულ არსს. იგი ვერ ურიგდება წინანდელ ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ თავისუფლებებსაც — კი, თუმცა ფარისევლურად ქადაგებს მათ. ბურჟუაზიისთვის ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე სულ უფრო ძნელია თანასწორობისა და თავისუფლების მოსაპყნება, როგორც ამას იგი წინათ აკეთებ.

⁹ В. А. Туманов. Буржуазная правовая идеология. К критике учений о праве. Изд-во «Наука», 1971, стр. 75 — 76.

¹⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 388.

და¹¹ ეს დებულებები მთლიანად ვრცელდება ბურჟუაზიულ სამართლებრივ იდეოლოგიაზე.

ამიტომ ნაშრომში მთავარი აქცენტი უნდა გაკეთებულიყო იმ უკიდურესად რეაქციული ბურჟუაზიული თეორიების წარმომადგენელი-სა (პოლსონი, პაუნდი, კარდოზო, კანინსი, ფრენკი და სხვ.) შეხედულებათა კრიტიკაზე, რომლებიც კანონის ფორმალურ-ლოგიკური განმარტების წინააღმდეგ ილაშქრებენ და ამასთან მოსამართლის თვითნებობას ასაბუთებენ. ნაშრომში დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერებიდან სწორედ ისეთი ავტორების შეხედულებების კრიტიკა უნდა უფოილიყო მოცემული, რომლებიც კანონის მნიშვნელობას უარყოფენ. განა შეიძლება და ავტორს გვერდი ავლო იმ კრიტიკისათვის, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამ-იან წლებში გამოიწვია მოსამართლის შესახებ კანონის პროექტმა? ეს პროექტი შეიცავდა ასეთ ფორმულას: „მოსამართლე დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კანონს“. ეს ფორმულა სასტიკად გააკრიტიკეს დასავლეთ გერმანიის იურიდიულ ლიტერატურაში, ერნსტ ფონ ჰიპელმა აღნიშნული ფორმულა გამოაცხადა უკანსვლად ისტორიის მიერ დაგმობილი პოზიტივიზმისაყენ. ფონ ჰიპელმა მიათხოვა მოსამართლის ვაიკისუფლება კანონის შემოტყვევი ძალისაგან და იგი (მოსამართლე) სამართლის იდეისა და ბუნებითი სამართლის პრინციპების გამოხატელობა გამოაცხადა. ასეთი პოზიცია კი შეტად დამანასიათებელია დასავლეთ გერმანიის იურიდიული აზრისათვის.¹²

სწორედ ზემოაღნიშნულის გამო არის ნათქვამი რეცენზიაში, რომ ვ. აბაშმაძე არ უნდა შემოფარგლულიყო სილოგიკის თეორიის მხოლოდ უარყოფითი მხარის ჩვენებით, რადგან სამართლებრივი პოტივიზმი, საერთო წესისამებრ, „უფრო ხელსაყრელია კავიტანისტური ქვეყნების მშრომელებისათვის, ვიდრე თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერების უკიდურესად რეაქციული მიმდინარეობანი — თავისუფალი სამართლის სკოლა, სოციოლოგიური და რეალისტური მიმართულებები. ეს მიმართულებები უარყოფს კანონის მნიშვნელობას და, მაშასადამე, კანონის ლოგიკური განმარტების აუცილებლობას და წინა პლანზე აყენებს მოსამართლის პიროვნებას, მის შეუ-

ღუდავ მიხედულებას, ე. წ. ცხოვრებისეულ სამართალს, როდესაც მოსამართლე თვითონვე იქცევა კანონმდებლად“ („საბჭოთა სამართალი“, გვ. 77).

ვ. აბაშმაძე აქაც სულ სხვა საკითხზე მსჯელობს. იგი „მნათობში“ ისევ იმას აღნიშნავს, რომ სილოგიკის თეორიას აქვს უარყოფითი მხარე, რომ ამ თეორიის მომხრენი ცდილობდნენ სამართლის კლასობრივი შინაარსის შენიღბვას და ა. შ. ამას იმ მიზნით აკეთებს, რომ მკითხველს უჩვენოს რეცენზენტის შენიშვნის უსწორობა. სინამდვილეში ჩემს რეცენზიაში სიტყვისსიტყვით ნათქვამია: „ავტორმა, არსებითად, მთელი უარადღება სილოგიკის თეორიის უარყოფით მხარეზე გადაიტანა. უღამობა, რომ ამ თეორიის გამომყენების დასაბუთებით უარშუაზიული თეორიტიკოსები ცდილობდნენ მოსამართლის მოღვაწეობის სოციალურ-კლასობრივი ხასიათის უმნიშვნელობის მიუხედავად იმ უარშუაზიული კანონების შეზღუდვას. მათი მიზანი იყო უარშუაზიული კანონების შეზღუდვას. მათთვის ბრ-ბრამბრება საპითისი — სამართლებრივი თუ უსამართლო კანონი. ისინი კანონს კლასობრივი მოსახრებაების გამო მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით განიხილავდნენ.“¹³ ჩვენი აზრით, ავტორი სწორად არ მოიქცა, როდესაც არ აღნიშნა სილოგიკის დადებითი მხარე“ („საბჭოთა სამართალი“, გვ. 78).

ვ. აბაშმაძემ საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს რეცენზიაში შეენიშნავდეთ, რომ მის ნაშრომში უარყოფითი საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდებისას ლოგიკის გამოყენების შესაძლებლობა (იხ. „მნათობი“ გვ. 152). სინამდვილეში რეცენზია ასეთ შენიშვნას არ შეიცავს. პირიქით, მე ის აღნიშნე, რომ ვ. აბაშმაძის ნაშრომში „საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდების ხერხები ფორმალური ლოგიკის წესების მიხედვით არის კლასიფიცირებული. სტუდენტს, ბუნებრივია, დაეზაბება კითხვა: რა განსხვავებაა, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ სასამართლოსა და მეორე მხრივ, საბჭოთა სასამართლოს მიერ ამ წესების გამოყენებაში?“ („საბჭოთა სამართალი“, გვ. 77). ეს შენიშვნა კი ვ. აბაშმაძეს წერილში „უემჩნეველი“ დარჩა.

ვ. აბაშმაძე ფიქრობს, რომ მე ვამახინჯებ მის აზრს, რომ მისი ნაშრომის ტექსტში ის კი არ არის ნათქვამი, რომ ნაპოლეონის კოდექსში

¹¹ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1971, გვ. 47.

¹² იხ. В. А. Туманов. Буржуазная правовая идеология. К критике учений о праве. М., 1971, стр. 89.

¹³ ვ. აბაშმაძემ ამ ციტატის დამოწმებისას ხაზგასმული სიტყვები მრავალწერტილით განზრახ გამოტოვა (იხ. „მნათობი“, გვ. 151).



აისახა რეგელსბერგერის¹⁴ შეხედულება, არამედ ის, რომ ამ კოდექსში აისახა ისტორიული სკოლის დებულება სამართლის ლოგიკური დასრულებლობის შესახებ. სიუჟეტისათვის მოვიტანთ შესაბამის ტექსტს ვ. აბაშმაძის ნაშრომიდან: „სამართლის ისტორიული სკოლის მიერ შემუშავებული შეხედულებანი შემდეგში განავითარა ბურჟუაზიულმა იურისტმა კ. ბერგოლმმა. მისი აზრით, სამართალი არასდროს საჭიროებს შეცვლას გარედან, რადგანაც იგი ყოველ წუთს სრულია: მისი გავართობისა და გავრცობის ლოგიკური ძალა ყოველთვის იძლევა ნებისმიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ფხით გადაწყვეტის შესაძლებლობას, სამართლის ისტორიული სკოლის მიერ შემუშავებულმა თეორიამ სამართლის ლოგიკური დასრულებლობის შესახებ ფართო გავრცელება პოვა სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში. ამ თეორიის მომხრე ფ. რეგელსბერგი (!) ამტკიცებდა, რომ დადებით სამართალში ყოველთვის მოიპოვება პასუხები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კითხვას. დადებითი სამართლისათვის უცხოა თავისთავში ე. წ. „არასამართლებრივი სივრცის“ არსებობა და ამ გაგებით სამართალში არ არსებობს სარვეში. ამ მოსაზრებამ გამოხატულმა კომპანამ საზოგადოებრივი ნაპოლეონის მიერ შედგენილ კოდექსში (ხაზი ჩენია. — გ. ტ.)“ (გვ. 113). წინადადებას ასეთმა აგებამ არ შეიძლება ისეთივე დასკვნა არ გავაკეთებინოთ, როგორც რეცენზიაშია. რეგელსბერგერის (და არა რემპლსბერგის) მოსაზრება აისახა ნაპოლეონის 1804 წლის კოდექსში.

ვ. აბაშმაძის ნაშრომი შეიცავს სამართლის ნორმის შეფარდების ორ, სხვადასხვა განსაზღვრებას. რეცენზიაში აღვნიშნეთ, რომ მეორე განსაზღვრება მეტად ზოგადია. „სამართლის ნორმის შეფარდება, — წერს ვ. აბაშმაძე თავის ნაშრომში, — ეწოდება სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას. შეცვლას და მოსპობას იმ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და მის შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ მოცემულ ურთიერთობებს“ (გვ. 62). რეცენზიაში ამ განსაზღვრების შესახებ ნათქვამია, რომ აქ „არ ჩანს სამართლის ნორმის შე-

ფარდების, როგორც სამართლის რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმის, სპეციფიკა“ („საბჭოთა სამართალი“, გვ. 79). ვ. აბაშმაძე არც ამ შენიშვნასაც ღებულობს და აღნიშნავს, რომ „მცენიერებაში ერთი და იმავე ცნების რამდენიმე განსაზღვრება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხშირად გვხვდება“ („მნათობი“, გვ. 154). რასაკვირველია, ერთი და იმავე ცნების განსაზღვრება კლასიფიკაციის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით სავსებით დასაშვებია. მაგრამ ყველა ასეთი განსაზღვრების დროს არ უნდა დიკარგოს განსაზღვრავი ცნების სპეციფიკა. მეორე განსაზღვრებაში სწორედ სამართლის ნორმის შეფარდების სპეციფიკა არ ჩანს. განა მოქალაქეთა მიერ, ვთქვათ, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას? მაგრამ მოქალაქეთა ასეთი მოქმედება არ ნიშნავს სამართლის ნორმის შეფარდებას, სამართლის ნორმის შეფარდების უფლება სახელმწიფო ორგანოებსა და ზოგჯერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა აქვთ. ესეც ნათქვამი იყო ჩემს რეცენზიაში („საბჭოთა სამართალი“, გვ. 79), მაგრამ ვ. აბაშმაძე ამას ყურადღებას არ აქცევს.¹⁵

ვ. აბაშმაძეს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი კანონის ლოგიკური განმარტებისა და სისტემური განმარტების განსხვავება. მას პროფ. პ. ნედბაილოს მსგავსად მიაჩნია, რომ ლოგიკური განმარტების საფუძველია სამართლებრივ ნორმებს შორის არსებული ლოგიკური კავშირები, ხოლო სისტემური განმარტებისა — სისტემური კავშირები. მაგრამ დაუშვებელია ლოგიკური კავშირებისა და სასტემური კავშირების ასეთი დაპირისპირება: შეუძლებელია სისტემური კავშირის დადგენა ლოგიკის წესები გამოუყენებლად. ეს მოსაზრება დამაჯერებლად აქვს დასაბუთებული აკად. ი. საბოს. იგი წერს:

«Правовая норма входит в состав правового института, кодекса, отрасли права и, наконец, определенной системы права. Таким образом, чтобы понять правовую норму, ее следует изучать и с точки зрения того, какое место она занимает в системе права, то есть, помимо грамматического и логического анализа правовой нормы, ее следует подвергнуть и систематиче-

¹⁴ ჩემი რეცენზიის გამოქვეყნებულ ტექსტში სწორადაა აღნიშნული რეგელსბერგერის ცხოვრების თარიღი (1821-1896 წ.წ.), მაგრამ არასწორადაა მითითებული XX საუკუნე. ეს კორექტურული შეცდომა გასწორდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მომდევნოვე ნომერში. იქვე დაზუსტებულია ჰორნის ნაშრომის გერმანული სათაური.

¹⁵ სხვათაშორის, ვ. აბაშმაძეს, „დავიწყდა“ თავის ნაშრომში ნათქვამი, მდებარეობს და: წერს, რომ სამართლებრივ ნორმას ზოგჯერ პერსონიფიცირებული ხასიათი აქვს („მნათობი“, გვ. 157). თავის ნაშრომში კი იგი წერს: „ნორმატიული აქტები ზოგადი ხასიათისაა და მათი მოთხოვნები ეხება განუსაზღვრელ პირთა წრეს“ (ხაზი ჩენია — გ. ტ.) (გვ. 127). სწორედ ამ ნიშნით ანსხვავებს იგი ნორმატიულ აქტებსა და სამართლის შეფარდების აქტებს.

სკომუ თოლკოვანიუ. Элемент систематики уже учитывался в собирательном понятии логического толкования (в отличие от грамматического толкования), однако в качестве самостоятельного способа толкования он выделился только тогда, когда совокупность правовых норм превратилась в более или менее последовательную в современном смысле этого слова систему, то есть уже в буржуазном праве, да и то на определенной стадии его развития. СИСТЕМАТИЧЕСКОЕ ТОЛКОВАНИЕ В ОПРЕДЕЛЕННОМ СМЫСЛЕ БЫЛО ПРОДОЛЖЕНИЕМ ЛОГИЧЕСКОГО ТОЛКОВАНИЯ ПОСТОЛЬКУ, ПОСКОЛЬКУ ОНО БЫЛО НАПРАВЛЕННО НА ИЗУЧЕНИЕ НЕ ВНУТРЕННЕЙ СТРУКТУРЫ ПРАВОВОЙ НОРМЫ, А НА ОПРЕДЕЛЕНИЕ ПОЛОЖЕНИЯ, ЗАНИМАЕМОГО ЕЮ В СИСТЕМЕ ПРАВА» (ხაზი ჩვენია — გ. ტ.)¹⁶

ამრიგად, ლოგიკური განმარტება, როგორც განმარტების დამოუკიდებელი ხერხი, გულისხმობს სამართლებრივი ნორმის აზრის დადგენას საკუთრივ მისი შინაგანი ანალიზის საფუძველზე, ხოლო სისტემური განმარტება — ნორმის შინაარსის დადგენას ნორმათა შორის არსებული სისტემური კავშირის საფუძველზე.

რეცენზიაში აღნიშნულია, რომ „ნაშრომის ცალკეული გვერდების სქოლიოებში ციტატები გერმანელი ავტორთა ნაშრომებიდან უთარგმნელად არის მოტანილი“ (იხ. „საბჭოთა სამართალი“, გვ. 80). ვ. აბაშმაძის პასუხი: „გ. ტყეშელიაძე გვისაუვედურებს აგრეთვე იმის გამო, რომ ჩვენი ნაშრომის ცალკეულ გვერდებზე სქოლიოებში გვხვდება ციტატები გერმანულ ენაზე, ჩვენივეს გაუგებარია, რატომ მიაჩნია რეცენზენტს ზედმეტად უცხო ტექსტების მოყვანა ნაშრომში“ („მნათობი“, გვ. 156).

ვ. აბაშმაძემ ჩემი შენიშვნის აზრი შეცვალა. რეცენზიაში ავტორს იმას კი არ ვუსაყვედურებ, რომ სქოლიოებში არ შეიძლება ციტატა გერმანულ ენაზე მოვიტანოთ, არამედ იმას, რომ ეს ციტატა თარგმნილი უნდა იყოს, მით უმეტეს ნაშრომში, რომელიც სტუდენტისათვის არის გამიზნული.

ვ. აბაშმაძე აღნიშნავს, რომ „ყველა მნიშვნელოვან შრომას (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) უნდა ქონდეს რეზიუმე, რაც საშუალებას მისცემს უცხოელ მკითხველს შეაფასოს ეს ნაშრომი“ („მნათობი“, გვ. 156). აქ ვ. აბაშმაძე სწორია. მკითხველისათვის მიგვიღია იმის გარკვევა, წარმოადგენს თუ არა ვ. აბაშმაძის შრომა ასეთ მნიშვნელოვან ნაშრომს.

როცა ვ. აბაშმაძის ნაშრომზე რეცენზიას ვაქვეყნებდით, ჩემი მიზანი იყო შეძლებისდაგვარად ხელი შემიწყო ავტორისათვის. გარდა ამისა, მსურდა მცირე წვლილი შემეტანა ქართულ საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში შექმნილი იმ ფსიქოლოგიური კლიმატის დასაძლევად, რომელიც ოდნავადაც ვერ ეგუება უბრალო შენიშვნასაც კი. ასეთ ვითარებაში ვ. აბაშმაძის რეაქცია მოულოდნელი არც არის, და მაინც მომავალში, ვფიქრობ, შეძლებისდაგვარად, მეგობრულად და კეთილსინდისიერად უნდა შევუწყოთ ერთმანეთს ხელი მაღალხარისხოვანი ნაშრომების შექმნაში. პირადად მე ყოველთვის დიდი მაღლობით მივედლებდი ყოველგვარ დასაბუთებულ შენიშვნას.

სადაც პაექრობა არ არის, იქ მეცნიერება ვერც იარსებებს და ვერც განვითარდება.

გ. ტყეშელიაძე.

¹⁶ И. Сабо. Социалистическое право, Изд-во «Прогресс», М., 1964, стр. 249 — 250). «Логическое толкование в широком смысле, — წერს პროფ. ი. ბრაიზინი, — охватывает все приемы толкования и по сути растворяет их в себе. Так, систематическое толкование, как вид логического толкования в широком смысле, служит главным образом целям выяснения логической связи между отдельными нормами. Логическое толкование в узком смысле имеет в виду толкование закона исключительно по его внутреннему смыслу с помощью законов логики» (Я. М. Браинин. Уголовный закон и его применение. Изд-во «Юридическая литература», М., 1967, стр. 229).

ოპოზიციური მასალა

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საპარტიველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და
დაგაბეგების შეტანის შესახებ

„ნარკომინისტან ბრძოლის გაძლიერების შე-
სახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-
ზიდიუმის 1974 წლის 25 აპრილის ბრძანებუ-
ლების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღ-
ლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხ-
ლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილე-
ბები და დამატებები:

1) კოდექსის 252-ე, 252³-ე, 252³ და 253-ე
მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 252. ნარკოტიკულ, სხვა ძლიერმოქ-
მედ და შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზა-
დება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა
ან გასაღება**

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამ-
ზადება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგ-
ზავნა გასაღების მიზნით, აგრეთვე უკანონო გა-
საღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ
წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე ქმედობა ჩადენილი განმეორებით, ან
წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ
ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა
ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწი-
ნებული ამ კოდექსის 252¹-ე მუხლის პირველი,
მეორე და მესამე ნაწილებით, 252³-ე, 252³-ე და
253-ე მუხლებით, ან განსაკუთრებით საშიში რე-
ციდივისტის მიერ, აგრეთვე თუ ეს ქმედობა ეხე-
ბოდა ნარკოტიკულ ნივთიერებებს დიდი ოდე-
ნობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექ-
ვსიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკა-
ციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზა-
დება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავ-
ნა გასაღების მიზნის გარეშე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ
წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვა-
დით ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა ჩადენილი განმეორებით ან იმ
პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადე-
ნილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებუ-
ლი ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით,

252¹ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწი-
ლებით, 252³-ე, 252³-ე და 253-ე მუხლებით; —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ
წლამდე.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შე-
ქენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდ-
ვის ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარ-
ღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ
წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით
ერთ წლამდე გარკვეული თანამდებობის დაკა-
ვების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩა-
მორთმევით ან უამისოდ.

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ
ნივთიერებათა უკანონო დამზადება; შექენა,
შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, ან გასაღება; —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ
წლამდე.

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ
ნივთიერებათა წარმოების, შექენის, შენახვის,
აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის და გადაგზავ-
ნის დადგენილი წესების დარღვევა; —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ
წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით
ერთ წლამდე.

**მუხლი 252¹. ნარკოტიკულ და სხვა ძლიერ-
მოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება**

ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ
წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან
წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ან
ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ
არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრ-
თელობისათვის, ან იმ პირის მიერ, რომელსაც
ნარკოტიკული ნივთიერება ებარა სამსახურებ-
რივ მდგომარეობასთან დაკავშირებით ან დასა-
ცავად, ასევე იმ პირის მიერ, რომელსაც წი-
ნათ ჰქონდა ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული,
გათვალისწინებული ამ კოდექსის 252-ე მუხლის
პირველი და მეორე ნაწილებით, 252³-ე, 252³-ე
და 253-ე მუხლებით, —



ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სა-
მიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან
უამისოდ, გარკვეული თანამდებობის დაკავების
ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთ-
მევით ან უამისოდ.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, ჩადე-
ნილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის
მიერ ან ყაჩაღური თავდასხმით, ან დიდი ოდენ-
ობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვი-
დიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკა-
ციით.

ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გა-
ტაცება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ
წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან
წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ,
ან დიდი ოდენობით, ან ძალადობის გამოყენე-
ბით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის
მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვ-
სიდან თხუთმეტ წლამდე“.

**„მუხლი 252.3 ნარკოტიკულ ნივთიერებათა
ხმარებაზე გაყოფიება“**

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ
წლამდე:

იგივე ქმედობა, ჩადენილი ორი ან მეტი პი-
რის ან არასრულწლოვანის მიმართ, ან იმ პი-
რის მიერ, რომელიც ადრე სამართალშია ნამე-
ყოფი. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე
დაყოფისათვის, ან წინათ ჰქონდა ჩადენილი
ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებული ამ
კოდექსის 252-ე მუხლის პირველი და მეორე
ნაწილებით, 2521-ე მუხლის პირველი, მეორე
და მესამე ნაწილებით, 2525-ე და 253-ე მუხ-
ლით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ
წლამდე“.

**„მუხლი 253. ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემ-
ცველი ისეთი კულტურების დათესვა და მოყ-
ვანა, რომელთა მოყვანა აკრძალულია“**

საშხამის, ინდურის, სამხრეთ მანჯურის ან
სამხრეთ ჩუისის კანაფის დათესვა ან მოყვანა,
ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი სხვა
ისეთი კულტურების დათესვა და მოყვანა, რო-
მელთა მოყვანა აკრძალულია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ
წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან
იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩა-
დენილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინე-
ბული ამ კოდექსის 252-ე მუხლის პირველი,
და მეორე ნაწილებით, 2521-ე მუხლის პირვე-

ლი, მეორე და მესამე ნაწილებით, 2525-ე და
2525-ე მუხლით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სა-
მიდან რვა წლამდე“.

2) ლაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის
2525-ე მუხლი:

**„მუხლი 2525. ნარკოტიკულ ნივთიერებათა
მოხმარების ბუნაგის მოწყობა ან შენახვა“**

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების ბუ-
ნაგის მოწყობა ან შენახვა ან ამ მიზნებისათ-
ვის სადგომის მიცემა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუ-
თიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან
უამისოდ“.

3) 230-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყა-
ლობდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 230. გარყვნილების ბუდის შენახვა
და მაჭანკლობა“**

გარყვნილების ბუდის შენახვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორი-
დან შვიდ წლამდე“;

4) 205-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების
„ამ კოდექსის 2422-ე მუხლით“ შემდეგ დაე-
მატოს სიტყვები: „252-ე მუხლის პირველი და
მეორე ნაწილით და 2521-ე მუხლის პირველი,
მეორე და მესამე ნაწილებით“;

5) 206-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების
„ამ კოდექსის 2422-ე მუხლით“ შემდეგ დაემა-
ტოს სიტყვები „252-ე მუხლის მეორე ნაწი-
ლით და 2521-ე მუხლის მესამე ნაწილით“;

6) ამოღებულ იქნეს 236-ე მუხლიდან სიტყ-
ვები: „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე“;

7) მე-81 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები
„ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შექმ-
ნა ან შენახვა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ
ნივთიერებათა გასაღება (252-ე მუხლის მესამე
და მეოთხე ნაწილები); ნარკოტიკულ ნივთიერე-
ბათა გატაცება გასაღების მიზნით (2521-ე მუხ-
ლი)“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნარკოტიკულ
ნივთიერებათა გატაცება დამამძიმებელ გარემო-
ებებში, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება
ან გასაღების მიზნით ჩადენილი გატაცება, დამ-
ზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგ-
ზვნა (252-ე მუხლის პირველი და მეორე ნა-
წილები, 2521 მუხლის პირველი, მეორე და მე-
სამე ნაწილები)“;

8) ამოღებულ იქნეს მე-12 მუხლის მეორე
ნაწილიდან სიტყვები „გასაღების მიზნით ნარ-
კოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შექმნის,
ან შენახვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასა-
ღებისათვის (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე
ნაწილები)“;

9) 44-ე მუხლის მეორე პუნქტში სიტყვები:
„გასაღების მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერება-

თა დამზადების, შექმნის და შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“ შეიცვალოს სიტყვებით „ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით, ამ ნივთიერებათა გასაღებისათვის, აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის პირველი მეორე ნაწილები, 252¹ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები)“;

10) 54¹-ე მუხლის მესამე პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ნარკოტიკების მოხმარების ბუნების მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ და სიტყვები: „გასაღების მიზნით ჩადენილი ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შექმნისა და შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები, მუხლი 252¹)“ შეიცვალოს სიტყვებით „ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით, ან ამ ნივთიერებათა გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის მეორე ნაწილი და 252¹ მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“;

11) 55-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ნარკოტიკების მოხმარების ბუნების მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ და „გასაღების მიზნით ჩადენილი ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შექმნის ან შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები, მუხლი 252¹)“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე და 376-ე მუხლებში ციფრები „252-ე III და IV ნაწილები“ შეიცვალოს ციფრებით „252-ე I და II ნაწილები“.

3. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1972 წ., № 6, მუხ. 101):

1) დემატოს კანონს შემდეგი შინაარსის 61¹ მუხლი:

„მუხლი 61¹. ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობა

ნარკომანიით დაავადებული პირი ვალდებულია იმკურნალოს ჯანმრთელობის დაცვის ორ-

განოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურში გაგზავნის წესსა და იქ ყოლის რეჟიმს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა“;

2) კანონის 62-ე მუხლის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „და ნარკომანების“, ამავე მუხლის პირველი ნაწილიდან — სიტყვები: „ან ნარკომანთა“ და მეორე ნაწილიდან — სიტყვები: „და ნარკომანები“.

4. „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1969 წ., № 6, მუხ. 122) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს, რომ პირი, რომელიც ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ექიმის დანიშნულების გარეშე, დაპატიმრებულ იქნება ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე ან დაჯარიმდება ორმოცდაათ მანეთამდე. მასალებს ასეთი დარღვევის შესახებ ერთი დღე-ღამის განმავლობაში განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან მისი მოადგილე, რომელიც ან დააჯარიმებს დამრღვევს ამ მუხლით გათვალისწინებული თანხის ოდენობით, ან გაუგზავნის მასალებს სახალხო სასამართლოს“;

2) ბრძანებულების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. არასრულწლოვანების მიერ, ექიმის დანიშნულების გარეშე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის მათი მშობლები ან მათი შემცველი პირები პასუხს აგებენ არასრულწლოვანთა კომისიების შესახებ დებულების შესაბამისად“.

5. „ნარკომანებისა და ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1965 წ. № 30, მუხ. 628; 1969 წ. № 6, მუხ. 122; 1972 წ. № 6, მუხ. 97; 1973 წ. № 6, მუხ. 99) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღ-

ნიშნული პირნი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით უნდა გაიგზავნონ სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე“.

6. „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებე-

ბი 1962 წ., № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541; 1964 წ. № 4, მუხ. 80; 1966 წ. № 8, მუხ. 132; 1967 წ. № 6, მუხ. 350; 1968 წ. № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 14; 1969 წ. № 10, მუხ. 182; 1970 წ. № 5, მუხ. 73; 1972 წ. № 8, მუხ. 164 და № 9, მუხ. 191; 1973 წ. № 9, მუხ. 176) მე-15 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების „აგრეთვე ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**.
თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 85-ე, 222-ე და 348-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 85.** სახელმწიფო ბაჟის ოდენობა თითოეულ როგორც ძირითად ისე შეგებულ სასარჩელო განცხადებისათვის და განცხადებისათვის წინასახელშეკრულებო დავის დროს, აგრეთვე მესამე პირის განცხადებისათვის, რომელიც უკვე დაწყებულ პროცესში დამოუკიდებელ მოთხოვნას აყენებს; დაჯას საგანზე, სახელმწიფო ბაჟი გადახდება შემდეგი ოდენობით:

1) ორ სარჩელს ფასი 20 მანეთამდე — 30 კაპიკი;

2) ორ სარჩელის ფასი 31 მანეთი და მეტია 50 მანეთამდე — 50 კაპიკი;

3) ორ სარჩელის ფასი 50 მანეთი და მეტია 500 მანეთამდე — სარჩელს ფასის ორი პროცენტი.

4) ორ სარჩელის ფასი 500 მანეთი და მეტია — სარჩელის ფასის ექვსი პროცენტი;

5) კოლმეტრნობათა და საკოლმეტრნობათაშორისი ორგანიზაციების დავის დროს სახელმწიფო კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ

დოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ურთიერთშორის — სარჩელის ფასის ერთი პროცენტი, მაგრამ არა ნაკლებ 10 კაპიკისა;

6) არაქონებრივი ხასიათის სარჩელზე და იმ სარჩელზე, რომლებიც არ შეფასდება — 30 კაპიკი;

7) წინასახელშეკრულებო დავის განცხადებებზე — 5 მანეთი;

8) საცხოვრებელი სადგომი ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლის ან მოშლის შესახებ სარჩელისათვის — 30 კაპიკი;

9) ყადაღასაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელისათვის — 30 კაპიკი;

10) განქორწინების საქმეებზე სარჩელისათვის — 10 მანეთი, ხოლო სარჩელისათვის იმ პირებთან განქორწინების შესახებ, რომლებიც დადგენილი წესით აღიარებული არიან უკვალოდ დაკარგულად, არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, ან რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა), აგრეთვე სარჩელებისათვის განქორწინების შესახებ, რომლებიც წარადგინეს ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა) თავისუფლებააღკვეთა მსჯავრდებულებმა, — სახელმწიფო ბაჟი გადახდება არაქონებრივი



სასაჩირო განცხადებებისათვის დაწესებული ოდენობით.

განსაკუთრებული წარმოების საქმეების გამო განცხადებებზე სახელმწიფო ბაჟი უნდა გადახდეს 30 კაპიკის ოდენობით.

სასამართლო გადაწყვეტილების გამო შეტანილ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება ხდება სადავო თანხისათვის ამ მუხლით დაწესებული განაკვეთის ნახევარი ოდენობით. განკორწინების საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამო შეტანილი საკასაციო საჩივრები თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისაგან.

სასამართლოს განჩინების გამო შეტანილ კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ გადახდება.

საქმეში არსებული ქაღალდებისა და საბუთების პირების, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების პირების მეორედ გაცემისას სახელმწიფო ბაჟი გადახდება 20 კაპიკის ოდენობით“.

მუხლი 222. სასამართლოს უფლება — შეაჩეროს საქმის წარმოება

სასამართლოს საქმეში მონაწილე პირთა განცხადებით ან შუამდგომლობით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ან გაწვეული არის რაიმე სახელმწიფო მოვალოების შესასრულებლად;
2. თუ მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში;
3. თუ მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში, ან თუ იგი ისე არის ავად, რომ საშუალება არა აქვს გამოცხადდეს სასამართლოში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;
4. მოპასუხის ძენისას ისეთი შემთხვევებში, რომლებიც ამ კოდექსის 120-ე მუხლით არის გათვალისწინებული;
- 5) თუ სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა“.

„მუხლი 348... განცხადების და წარდგინების შეტანა

განცხადება და წარდგინება ახლად აღმო-

ჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტან სასამართლოში არა უგვიანეს სამი თვისა იმ გარემოების დადგენის დღიდან, რაც საფუძველს წარმოადგენს გადასინჯვისათვის.

ეს ვადა არ ვრცელდება ამ კოდექსის 347-ე მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირებზე“.

2. 203-ე მუხლის დაემატოს მეექვსე ნაწილი შემდეგი შინაარსისა“:

„განკორწინების საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების საჩუროლუციო ნაწილში უნდა იქნეს განსაზღვრული თანხა 50-დან 200 მანეთამდე, რაც გადახდება ერთს ან ორივე მეუღლეს მათთვის განკორწინების მოწმობის მიცემისას, ხოლო იმ პირებთან განკორწინების საქმეებისათვის რომლებიც დადგენილი წესით აღიარებული არიან უკვალოდ დაკარგულად, არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ტყუასუსტობის გამო, მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა), აგრეთვე სარჩელებისათვის განკორწინების საქმეებზე, რომლებიც წარადგინეს ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა) თავისუფლება აღკვეთილმა პირებმა, — აღნიშნული თანხა არ გადახდება“.

3. 223-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) ამ კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 პუნქტით და 222-ე მუხლით გაითვალისწინებულ შემთხვევებში — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მხარის ყოფნამდე, მის მიერ სახელმწიფო მოვალოების შესრულებამდე, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე, სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერამდე ან გამოჯანმრთელებამდე, მოპასუხის მოქმედამდე ან ექსპერტიზის დამთავრებამდე“.

4. 351-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ განცხადებასა ან წარდგინებაზე უარის თქმის გამო მიღებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესების მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვხიშვილი

თბილისი
1974 წლის 25 ოქტომბერი.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებითა შეტანის შესახებ

ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გატუქვიანების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 26 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დამატოს 1761 და 1762 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„**მუხლი 1761 ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გატუქვიანება**

სსრ კავშირის შინაგანი საზღვაო და ტერიტორიული წყლების გატუქვიანება იმის შედეგად, რომ უკანონოდ ჩაყარეს ამ წყლებში ნივთები ან სხვა მცურავი საშუალებებიდან ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებები ან ნარჩევები, რომლებიც ასეთ ნივთიერებებს შეიცავენ დაღვნილი ნორმების გადაჭარბებით, ან არ მიიღეს საჭირო ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ მათი დაკარგვა, აგრეთვე ღია ზღვის წყლების გატუქვიანება იმის შედეგად, რომ საბჭოთა გემებიდან და სხვა მცურავი საშუალებებიდან ჩაყარეს აღნიშნული ნივთიერებები ან შენარჩევები ან არ მიიღეს საჭირო ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ მათი დაკარგვა, და ამით დაარღვიეს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, —

ისევე მოქმედებს, რომელმაც არსებითი ზიანი მოაყენა ადამიანების ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ რესურსებს, —

ისევე თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან ჯარიმით ოცი ათას მანეთამდე.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1761 და 1762 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამო საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამოძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე ნაწილს ციფრის „163“ შემდეგ დამატოს ციფრები „1761, 1762“.

მუხლი 1762. გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის მიერ ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებთა ზღვაში ჩაყარის შესახებ შეუტყობინებლობა

გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის მიერ უახლოესი საბჭოთა პორტის აღმინისტრაციისათვის შეუტყობინებლობა იმისა, რომ სსრ კავშირის შინაგან საზღვაო ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის შედეგად მოხდა ამ გემიდან ან სხვა მცურავი საშუალებიდან ადამიანების ჯანმრთელობისა და ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებების ან ისეთი შენარჩევების ჩაჭრა, რომლებიც ასეთ ნივთიერებებს დაღვნილი ნორმების გადაჭარბებით შეიცავენ, ან მათ დაკარგვის თავიდან აცილება შეუძლებელია, —

ისევე გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე“.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1761 და 1762 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამო საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამოძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე ნაწილს ციფრის „163“ შემდეგ დამატოს ციფრები „1761, 1762“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ძოჭავაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კახაბაძე**

თბილისი

1974 წლის 25 ოქტომბერი



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ურომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დაამატებათა შეთანხმების შესახებ

„ურომითი დავის განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღდგენს:

საქართველოს სსრ ურომის კანონთა კოდექსში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1973 წ., № 11, მუხ. 202) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 195-ე და 213-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 195.** ურომითი დავის განხილვის წესი

ურომითი დავის კომისიების, პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებისა და ხელქვეითობის წესით შემდგომი ორგანოების მიერ ურომითი დავის განხილვის წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ურომის კანონმდებლობის საფუძვლებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ურომითი დავის განხილვის წესის დებულებით და ამ კოდექსით, ხოლო რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში, გარდა აღნიშნულისა, აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით“.

„**მუხლი 203.** ურომითი დავის განხილვა რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოები ურომით დავას განიხილავენ:

1) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, — როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას;

2) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განცხადებით, — როცა მას მიაჩნია, რომ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

3) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით.

— როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფესიურული ორგანიზატორის და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან შემდგარი ურომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას, ან როცა ამ კომისიაში მხარეებმა ვერ მიიღწიეს შეთანხმებას;

4) პროკურორის განცხადებით, — როცა მას მიაჩნია, რომ პროფესიურული საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ან პროფესიურული ორგანიზატორისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან შემდგარი ურომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

გარდა ამისა, უშუალოდ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში ურომითი დავის განხილველი კომისიისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებისათვის მიუშვრათავად, ურომითს დავას განიხილავენ;

1) იმ მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ განცხადებით, რომლებიც დათხოვნილი არიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით, აგრეთვე განცხადებით მათი დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის შესახებ; გარდა იმ მუშაკთა დავისა, რომელთა თანაღებობანი გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნუსხით (ამ კოდექსის 213-ე მუხლი);

2) იმ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების განცხადებით, სადაც არ არის პროფესიურული საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი და პროფესიურული ორგანიზატორები, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორის ორგანიზაციებში ურომითი ხელშეკრულებებით მომუშავე პირთა განცხადებით;

3) ადმინისტრაციის განცხადებით საწარმო-სათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ; უშუალოდ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში განიხილავენ აგრეთვე მუშაკთა



და ადმინისტრაციას შორის შრომითს დავას შრომის კანონმდებლობის გამოყენების ისეთ საკითხზე, რომელიც ამ მუშაკის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წინასწარ გადაწყვიტა ადმინისტრაციამ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით მათთვის მინიჭებული უფლებათა ფარგლებში“.

„მუხლი 213. შრომითი დავის განხილვა ხელშეწყობის წესით ზემდგომი ორგანოების მიერ

ხელშეწყობის წესით ზემდგომი ორგანოების მიერ შრომითი დავა განიხილება:

1) იმ მუშაკთა განცხადებით დათხოვნის, დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის; სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე, რომლებსაც დაკავებული აქვთ შრომითი დავის განხილვის წესის დებულების № 1 დანართის № 1 ნუსხაში ჩამოთვლილი თანამდებობანი;

2) იმ მუშაკთა განცხადებით დათხოვნის, დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის; სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე, რომლებსაც დაკავებული აქვთ შრომითი დავის განხილვის წესის დებულების № 1 დანართის № 2 ნუსხაში ჩამოთვლილი თანამდებობანი, თუ ისინი დაითხოვეს იმის გამო, რომ დადგენილი წესით შეუფერებლად ცნეს დაკავებული თანამდებობისათვის ან არ აირჩიეს ახალი ვადით;

3) იმ მუშაკთა განცხადებით დისციპლინური სასჯელის დადების გამო, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა დისციპლინური წესდებით;

4) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა განცხადებით პრემიების საკითხების გამო, რომლებსაც მოქმედი დებულებების თანახმად მათთვის მისაცემად ამტკიცებენ ზემდგომი ორგანიზაცია ან ხელმძღვანელები“.

2. კოდექსს დაემატოს 214¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 214¹. ფულადი მოთხოვნების დაქაყოფილება

ფულადი მოთხოვნების საკითხებზე შრომითი დავის განხილვისას გარდა მოთხოვნისა იმის შესახებ, რომ გადაუხადონ მუშაკს საშუალო ხელფასი იძულებით გაცდენილი დროისათვის ან ხელფასის სხვაობა დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის (ამ კოდექსის 207-ე და 214-ე მუხლები) ორგანოს, რომელიც განიხილავს დავას, უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გადაუხადონ მუშაკს თანხა, რომელიც მას ერგება, მხოლოდ არა უმეტეს ერთი წლისათვის, ხოლო დათხოვნისას გამოუყენებელი შვებულებისათვის ფულადი კომპენსაციის საკითხზე — არა უმეტეს ორი სამუშაო წლისათვის (უკიდურეს ჩრდილოეთსა და მასთან გათანაბრებულ ადგილებში — არაუმეტეს სამი სამუშაო წლისა)“.

3. 197-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„იმ საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, სადაც პროფკავშირთა, საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს მინიჭებული აქვთ პროფესიული კავშირის რაიონული კომიტეტის უფლებები საამქროებსა და სხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფილებებში შეიძლება შეიქმნას საამქროების შრომითი დავის კომისიები; ისინი იქმნებიან პროფკავშირის ამ კომიტეტისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით“.

4. 198-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვა „მიღების“ შეიცვალოს სიტყვით „შეტანის“.

5. 201-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი: „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს, რომელსაც მინიჭებული აქვს პროფესიული კავშირის რაიონული კომიტეტის უფლებები, შეუძლია პროფესიული კავშირის საამქროების კომიტეტებს გადასცეს შრომითი დავის განხილვის უფლება შრომითი დავის განხილვის წესის დებულების შესაბამისად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვბუხძე.

თბილისი
1974 წლის 26 ნოემბერი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დაბუღავაში ცვლილებათა შეთანხმ. თარგავი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-
 ზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების
 შესახებ საქართველოს სსრ 1961 წლის 27
 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ დებულებ-
 აში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
 უწყებები, 1961 წ. № 36, მუხ. 564; 1965 წ.
 № 25, მუხ. 509) შეტანილ იქნეს შემდეგი
 ცვლილებები:

1. მე-6 მუხლის პირველ და მეორე ნაწი-
 ლებში, მე-6-ა მუხლის „დ“ პუნქტში, მე-9
 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებში, მე-13
 მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილებში,
 25-ე მუხლის მესამე და მეხუთე ნაწილებში,

28-ე მუხლის „ა“ პუნქტში, 34-ე მუხლში,
 35-ე მუხლის მესამე ნაწილში, 45-ა მუხლის პი-
 რველ და მეორე ნაწილებში სიტყვები „მი-
 ნისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული
 კომისია“; „მინისტრთა საბჭოსთან არსებულ
 კომისიაში“, „მინისტრთა საბჭოსთან არსებულ
 იურიდიულ კომისიას“, „მინისტრთა საბჭოს-
 თან არსებული იურიდიული კომისიის“ და
 „იურიდიული კომისიის“ შეიცვალოს შესაბა-
 მსად სიტყვებით „იუსტიციის სამინისტრო“,
 „იუსტიციის სამინისტროში“, „იუსტიციის სა-
 მინისტროს“.

2. მე-16 მუხლის „ბ“ პუნქტში სიტყვას
 „ექსპერტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპე-
 ციალისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახიანიძე.

თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი (საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი) არის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი წყვეტს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილ სამეურნეო დავას დაწესებული კომპეტენციის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

• უზრუნველყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს;

• ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებას, ხელშეკრულების როლის გაძლიერებას მათს ურთიერთობაში და მათი თანამშრომლობის განვითარებას სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში;

• აქტიურად მოახდინოს ზემოქმედება სამეურნეო დავის გადაწყვეტისას საწარმოებზე, ორგანიზაციებზე და დაწესებულებებზე, რათა დაიცვან სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა საგნო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დროს, იბრძოდნენ კუთხურობისა და უწყველობის გამოვლინებათა წინააღმდეგ;

• უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობაში, კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენება სახელმწიფო არბიტრაჟისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს;

• სისტემატურად შეისწავლოს და განაზოგადოს საარბიტრაჟო პრაქტიკა და ამის საფუძველზე შეიმუშაოს წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სამეურნეო ურთიერთობის სრულყოფას, აგრეთვე ნაკლოვანებათა აღმოფხვრას საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქციო მითითებებით.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი:

ა) უზრუნველყოფს სამეურნეო დავის სწორად და დროულად გადაწყვეტას, ამ დავის განხილვისას ქონებრივი საჩქციების განუზრვლად გამოყენებას იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ საგემო დავალებასა და სახელშეკრულებო ვალდებულებებს;

ბ) შეისწავლოს და განაზოგადებს სამეურნეო დავის მასალების ცალკეული კატეგორიებისა და მეურნეობის დარგების მიხედვით; შეისწავლის დავის წარმოშობის მიზეზებს, შეიმუშავებს და განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მათი თავიდან აცილების მიზნით და დავის არბიტრაჟამდელი მოგვარების წესის მტკიცედ დაცვის უზრუნველსაყოფად;

გ) განაზოგადებს საქართველოს სსრ არბიტრაჟის ორგანოების მიერ განხილული დავის მასალების მიხედვით სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და საჭირო შემთხვევებში შეიტანს მათ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის განსახილველად; პროპაგანდას გაუწევს სამეურნეო კანონმდებლობას;

დ) აცნობებს დავის განხილვის დროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში გამოვლინებულ არსებით ნაკლოვანებათა შესახებ მათს ხელმძღვანელებს ან ზემდგომ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად; გადასცემს საჭირო შემთხვევებში შესაბამის ორგანოებს მასალებს, რათა განხილონ საკითხი დამნაშავე პირთათვის დისციპლინური სასჯელის დადების ან ფულადი დარიცხვის წარმოების ანდა სისხლის სამართ-



ლის პასუხისგებაში მათი დადგენილი წესით მიცემის შესახებ.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიიღონ ზომები საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ერთი თვის ვადაში აცნობონ მას მიღებული ზომების შესახებ;

ე) მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სავეგმო დავალებათა და სახელმწიფო რეგულირებადი ფაქტორების შესრულებისა და შეგუბული სიცარილის ტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის ყველაზე სერიოზული დარღვევების შესახებ;

ვ) შეისწავლის საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებთა არბიტრაჟების მუშაობის გამოცდილებას, ინსტრუქტაჟს გაუწევს მათ დავის გადაწყვეტის პრაქტიკის საკითხებზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქტორო მითითებანი სამეურნეო დავის გადაწყვეტის პრაქტიკის საკითხებზე სავალდებულოა საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟებისათვის;

ზ) უზრუნველყოფს არბიტრაჟის კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნას, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებას, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი; დადგენილი წესით დააჯილდოვებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს საპატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს;

თ) მოაწყობს მუშაობას საარბიტრაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის და გამოიყენებს მის მონაცემებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისათვის წინადადებათა მოსამზადებლად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ამტკიცებს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული და ძირითადად რესპუბლიკის შიგნით მოხმარებული ცალკეულ სახეობათა პროდუქციისა და საქონლის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტს:

ა) დავას, რომელიც წამოიჭრება საქართველოს სსრ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით;

ბ) დავას, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც თანხა არ აღე-

მატება 5 მილიონ მანეთს, აგრეთვე ისეთ ხელშეკრულებათა შესრულების დროს და სხვა საფუძვლებზე მიხედვით, როდესაც სარჩელის თანხა არ აღემატება 50 ათას მანეთს, თუ:

მხარეები ან ერთ-ერთი მხარე არის საკავშირო დაქვემდებარების საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება და განლაგებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ერთი მხარე არის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, ხოლო მეორე — სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, მიუხედავად მხარეების დაქვემდებარებისა;

გ) დავას, რომელიც წამოიჭრება რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგების ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც ტვირთბრუნვა დღე-ღამეში არ აღემატება 100 ვაგონს;

დ) დავას არაქონებრივი ხასიათის სარჩელების მიხედვით, აგრეთვე დავას, რომელიც წამოიჭრება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის გამოყენებისთან დაკავშირებით;

ა) დავას, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გადასცემს განსახილველად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს;

ვ) დავას, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი გადასცემს განსახილველად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის იმ წესების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ;

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტას არ ექვემდებარება:

ა) დავა ერთი სამინისტროს, უწყების, კოოპერაციული სისტემის ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სამმართველოს ან განყოფილების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის;

ბ) კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათა შორის ორგანიზაციების და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დავა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ერთმანეთს შორის;

გ) დავა გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახადულთა გამო, რომელთა გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოებს გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების შესაბამისად;

დ) დავა ბანკების მიერ იმ ფუნქციების განხორ-



ცივლებასთან დაკავშირებული ოპერაციების გამო, რომ ფინანსური კონტროლი გაუწიონ იმას, რათა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სწორად გამოიყენონ კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილი სახსრები (გარდა არბიტრაჟის ორგანოებში განსახილველი დავისა ხელშეკრულების მიხედვით მისაწოდებელი მოწყობილობის, მანქანებისა და სხვა, ძირითადი ფონდებისათვის მიკუთვნებულ, მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების გადახდის შესახებ);

ვ) დავა, რომელიც წამოიჭრება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეთანხმების დროს;

გ) დავა მისაწოდებელი პროდუქციის ფასების დაწესების შესახებ, აგრეთვე გაწეული მომსახურებისათვის ტარიფების დაწესების შესახებ, თუ ეს ფასები და ტარიფები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება დაწესდეს მხარეთა შეთანხმებით;

ზ) დავა, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, რომელთაც საფუძვლად არ უდევს ორივე მხარისათვის სავალდებულო საგემო დავალება, თუ სხვა პირობა დათქმული არ არის კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით;

თ) დავა 100 მანეთზე ნაკლები თანხის გამო;

ი) სხვა დავა, რომლის გადაწყვეტა მოქმედი კანონმდებლობით განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას;

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დავას განიხილავს ლინტურესებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განცხადებების ან ზემდგომ ორგანოთა განცხადებების მიხედვით, რომლებიც შეტანილია საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ინტერესებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი აღძრავს საქმეებს საკუთარი ინიციატივით, თუ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა დაარღვიეს სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა საგემო დავალებათა და სახელმწიფოებო ვალდებულებათა შესრულების დროს. ამ შემთხვევებში გადახდევინებული საუპირო (ჟარიმა, საურავი) მთლიანად ამ ნაწილობრივ გადაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ან იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სასარგებლოდ, რომელთა ინტერესებისათვისაც აღძრულია საქმე.

11. საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟი ნაწილობრივ ან გარკვეულ ნაწილში ბათილად ცნობს ხელშეკრულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, სახელმწიფო გემებსა და დავალებებს, და ავალებს მხარეებს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი დადებულ ხელშეკრულებებში.

12. დავა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის განსახილველად შეიძლება გადაეცეს მხოლოდ

მას შემდეგ, რაც მხარეები მიიღებენ ზომებს მისი უშუალო მოგვარებისათვის. ასეთი ზომების მიღების დამატებითი საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში სასარჩლო განცხადება განსახილველად არ მიიღება და დაუბრუნდება მისარჩლეს.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრი და მხარეთა წარმომადგენლები სახელმწიფო არბიტრის თავმჯდომარეობით.

რთულ საქმეთა განსახილველად მთავარ არბიტრს შეუძლია არბიტრის შემადგენლობაში დამატებით შეიყვანოს ორი სახელმწიფო არბიტრი.

მხარეთა წარმომადგენლები საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში არიან საწარმოთა, ორგანიზაციათა დაწესებულებათა ხელმძღვანელები ან ხელმძღვანელთა მოადგილეები, ანდა მათი რწმუნებით აღჭურვილი ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა სხვა მუშაკები, აგრეთვე მოდავე მხარეთა მიმართ ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირნი.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით შეუძლია სავალდებულოდ არ მიიჩნიოს სახელმწიფო არბიტრაჟის სხდომაზე მხარეთა წარმომადგენლების გამოცხადება, თუ საქმის მასალები საშუალებას იძლევა გადაიჭრას დავა მხარეთა წარმომადგენლების დაუსწრებლად.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ მოსარჩლემ არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგინა დავის გადაწყვეტისთვის საჭირო მოთხოვნილი მასალები ან მოსარჩლის წარმომადგენელი არ გამოცხადდა არბიტრაჟის სხდომაზე გამოძახებით და მისი გამოუცხადებლობა აბრკოლებს საქმის განხილვას.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება ენიჭება:

ა) დავის გადაწყვეტისას ახსნა-განმარტების მისაცემად გამოუძახოს მოდავე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მათ მიმართ ზემდგომ ორგანოთა თანამდებობის პირებს, აგრეთვე იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამდებობის პირებს, რომლებიც არ არიან მხარეები საქმის გამო, თუ მათს ახსნა-განმარტებებს არსებითი მნიშვნელობა ექნება დავის გადასაწყვეტად;

ბ) მოსთხოვოს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ისეთი დოკუმენტების, ცნობებისა და დასკვნების წარდგენა, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად;

გ) დანიშნოს ექსპერტისა;

დ) გაეცნოს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში მასალებს, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად.

საჭირო შემთხვევებში დავა შეიძლება განხილულ იქნეს უშუალოდ იმ საწარმოებში, ორგანიზაციებში,



დაწესებულებებში, რომლებიც საქმის გამო მხარეებს წარმოადგენენ.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას იღებენ სახელმწიფო არბიტრი და დავის განხილვაში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები არბიტრაჟის სხდომაზე საქმის ყველა გარემოების განხილვის შედეგად.

სახელმწიფო არბიტრი ხელს უწყობს იმას, რომ მხარეთა წარმომადგენლებმა მიადწიონ შეთანხმებას დავის გამო. თუ მხარეთა შეთანხმება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, საქმის მასალებს, ან თუ მხარეთა შორის არის უთანხმოება ანდა საქმე განხილულ იქნა ერთი ან ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე, გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო არბიტრი.

ამ დებულების მე-13 პუნქტის მეორე აბზაციით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილებას იღებენ სახელმწიფო არბიტრები სმის უმრავლესობით.

მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება სხდომაზე საქმის განხილვის შემდეგ. განსაკუთრებით რთულ საქმეთა გამო სახელმწიფო არბიტრს შეუძლია გადადოს გადაწყვეტილების მიღება არა უმეტეს 3 დღით.

გადაწყვეტილებას საქმის გამო ხელს აწერს სახელმწიფო არბიტრი, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას.

18. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს საქმის გამო გადაწყვეტილების გამოტანისას უფლება აქვს:

ა) შეამციროს განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ საუბიროს (ჯარიმის, საურავის) ოდენობა, რომელიც უნდა გადახდეს ვალდებულების დამრღვევ მხარეს;

ბ) გადაახდევინოს ხელშეკრულების პირობების უხეშად დამრღვევ მხარეს საუბირო (ჯარიმა, საურავი) 50 პროცენტამდე გადიდებული ოდენობით, ამასთან გადაახდევინებული თანხების ეს ნაწილი გადაირიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

გ) გადაახდევინოს საკუთარი ინიციატივით საუბირო (ჯარიმა, საურავი, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც არ შეასრულეს საბეგმო დავალებანი და სახელმწიფო ვალდებულებანი, თუ ასეთი მოთხოვნები სანქციების შესახებ წარდგენილი არა აქვს მოსარჩლეს იმ ვარაუდით, რომ აღნიშნულ თანხები გადაირიცხოს მფარის სასარგებლოდ ან საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

დ) ჩარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში მთლიანად ან ნაწილობრივ გადასახდევინებელი საუბირო (ჯარიმა, საურავი), თუ დავის გადაწყვეტის დროს გამოირკვა, რომ მოსარჩლემ დაუშვა კანონმდებლობის დარღვევები, რომლებიც არ ამცირებენ მოპასუხის პასუხისმგებლობას,

ე) სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს გადაახდევინოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს,

ბულებებს, რომლებმაც დაუშვეს პრეტენზიათა წარდგენისა და განხილვის დაწესებული ვადების დარღვევა, და გადაირიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში სარჩელის თანხის 2 პროცენტი, მაგრამ არა ნაკლებ 10 მანეთისა და არა უმეტეს 1000 მანეთისა.

19. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებანი სამეურნეო დავის გამო საბოლოო და სავალდებულო შესასრულელად ყველა სახელმწიფო, კოლექტიური და სხვა სასოკოაღმებრივი საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება ხდება ბრძანების საფუძველზე. ბრძანება გადამხდევინებელს, როგორც წესი, ეძლევა გადაწყვეტილებასთან ერთად. სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს ბრძანება ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ უშუალოდ გაუზავნოს ბანკს გადახდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებას აღსრულებითი დოკუმენტის ძალა აქვს. საწარმოთა, ორგანიზაცი-ათა და დაწესებულებათა ანგარიშებიდან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ ბრძანებათა სისრულეში მოყვანა ხდება დადგენილი წესით ბანკის მეშვეობით, დანარჩენ შემთხვევებში ბრძანებები სისრულეში მოჰყავთ სასამართლო აღმასრულებლებს. ბრძანება შესასრულებლად შეიძლება წარდგენილი იქნეს გადაწყვეტილების გამოტანის ან იმ ვადის დამთავრების დღიდან 3 თვის განმავლობაში, რომელიც სახელმწიფო არბიტრაჟმა დააწესა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების ან განვადების დროს.


იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბრძანების შესრულება ბანკის ან სასამართლო აღმასრულებლის მიერ და ამასთან დაკავშირებით იგი შეუსრულებლად დაბრუნდა, ახალი 3 თვის ვადა გადაწყვეტილების შესასრულებლად გამოითანგარიშება ბრძანების დაბრუნების დღიდან.

20. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს სათავეში უდგას მთავარი არბიტრი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

21. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი პერსონალურად პასუხისმგებელია საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟისადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, აწესებს მთავარი არბიტრის მოადგილის, სახელმწიფო არბიტრების, განყოფილებათა ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის ცალკეულ სფეროებში.

22. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი:



ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შეასარულებს და ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და დადგენილებებს, რომლებიც საკვადებულო სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებისათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას.

მთავარი არბიტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ბ) ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს.

23. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი და მთავარი არბიტრის მოადგილე მხარეთა განცხადებით და საკუთარი ინიციატივით ამოწმებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ საქვეუწყებო საქმეთა გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს.

24. განცხადებანი გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ შეუძლიათ შეიტანონ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც არიან მხარეები საქმის გამო, გადაწყვეტილებათა გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განცხადების შეტანა ვერ შეაჩერებს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

25. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს და მთავარი არბიტრის მოადგილეს გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმების შედეგების მიხედვით შეუძლიათ უცვლელად დატოვონ, შეცვალონ ან გააუქმონ გადაწყვეტილება, მიიღონ ახალი გადაწყვეტილება, გადასცენ საქმე ხელახლა განსახილველად, შეწყვიტონ საქმის წარმოება.

გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არ შეესაბამება საქმის გარემოებასა და მასალებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრსა და მთავარი არბიტრის მოადგილეს საჭირო შემთხვევებში უფლება აქვთ შეაჩერონ გადაწყვეტილების აღსრულება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებანი შეიძლება გადასინჯოს არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში მათი გამოტანის დღიდან.

26. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრისა და მთავარი არბიტრის მოადგილის მიერ მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული დავის გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმება ზედამხედველობის წესით, თუ მხარეები ან ერთ-ერთი მხარე არის

საკავშირო დაქვემდებარების ან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, აგრეთვე ამ დებულების მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დავის გამო საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით.

27. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მთავარი არბიტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მთავარი არბიტრის მოადგილე თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

28. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის, მის მიერ სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის, შესრულების შემოწმების, კაღრების შერჩევასა და გამოყენების საკითხებს, ისმენს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრებისა და განყოფილებათა უფროსების ანგარიშებს, საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შედეგებს, განიხილავს ნორმატიული აქტების პროექტებისა და უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და დადგენილებათა პროექტებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება მთავარი არბიტრის ბრძანებებით. მთავარ არბიტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში არბიტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

29. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დადგენილი წესით იწვევს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაკთა თათბირებს, რომლებზეც განიხილება სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხები და არბიტრაჟების მუშაობის პრაქტიკის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

30. არბიტრაჟის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თვალსაზიარით მეცნიერთა და მალაკვალიფიციურ სპეციალისტთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი.

31. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის აპარატის საშტატო განრიგს (დაწესებული შტატებისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, თანამდებობ-

რივი სარგოების სქემების დაცვით), აგრეთვე განყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი. განყოფილებათა დებულებებში განისაზღვრება მთლიან რწმუნებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლებში.

32. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

2. ტრანსპორტირების დროს პროდუქციის დაზიანება — გაფუქებასთან დაკავშირებული დავები, როდესაც გადაამზიდავის ბრალი გამოირიცხულია, განხილულ უნდა იქნას, როგორც უხარისხო პროდუქციის მიწოდებიდან გამომდინარე დავები

ქსნის საშემშასალოა კომბინატმა ჩერებოვეციის საქალაქო ვაჭრობას მიაწოდა მხატვრული კერამიკის ნაწარმი. დანიშნულების ადგილზე ტვირთი მიღებულ იქნა წესიერულ მდგომარეობაში მყოფი კონტეინერით, გამომგზავნის ხელუხსლებელი პლომბებით და გაკცა. რკინიგზის წესდების 65 მუხლის შესაბამისად. კონტეინერის განსნისას 154 ცალი კერამიკული ნაწარმი დამტვრეული აღმოჩნდა, რაზეც შედგა აქტი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მტვრევის მიზეზად მიმღებმა კომისიამ ჩათვალა რბილი შესაფუთი მასალის — ბურბუშელის უკმარისობა. პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის გამო ჩერებოვეციის საქალაქო ვაჭრობამ აღძრა სარჩელი დამტვრეული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებაზე. საქმის მომხადების დროს სახარბიტრაჟო მოსთხოვა მოსარჩელეს ექსპერტიზის აქტის წარმოდგენა, ხოლო ასეთის წარმოდგენლობის გამო სარჩელი არ დაკმაყოფილა. ზედამხედველობის წესით შეტანილ საჩივარში ჩერებოვეციის ვაჭრობა ამტკიცებდა, რომ მტვრევის დადგენისათვის ექსპერტიზის აქტის შედგენა არ არის საჭირო, ექსპერტი მას არ გამოუწვევია და რომ კერამიკული ნაწარმის მიწოდების განსაკუთრებული პირობების თანახმად ტვირთის გამომგზავნი პასუხისმგებელია მტვრევით მიყენებული ზიანისათვის, თუ იგი გამოწვეულია პროდუქ-

ციის არასათანადო შეფუთვით. საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ. მომჩივარს მიეთითა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1972 წლის 17 აგვისტოს № ი-1-27 ინსტრუქციული წერილის მე-4 პუნქტის დანახმად ტრანსპორტირების დროს პროდუქციის დაზიანება-გაფუქებასთან (დაზიანება, მტვრევა, ცვეთა და ა. შ.) დაკავშირებული დავები, როდესაც გამოირიცხულია გადაამზიდავის ბრალი განხილული უნდა იქნეს, როგორც უხარისხო პროდუქციის მიწოდებიდან გამომდინარე დავები. მოქმედი ინსტრუქციის საქონლის ხარისხობრივი მიღების შესახებ მე-20 მუხლის თანახმად, საქონლის ხარისხის შემოწმება უნდა ჩატარდეს სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის ან ხარისხის სათანადო ინსპექციის მიერ. თუ მიმღების (მყიდველის) ადგილსაყოფელზე არ არის ხარისხის სათანადო ინსპექცია და სასაქონლო ექსპერტიზის ბიურო, აგრეთვე თუ მიმღების (მყიდველის) გამომცემის მიუხედავად მიმწოდებლის წარმომადგენელი არ გამოცხადდება შემოწმება სწარმოებს სხვა ორგანიზაციის კომპეტენტური წარმომადგენლის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ვინაიდან ამ საქმეზე სარჩელში არ იყო დაცული მე-20 მუხლის მოთხოვნები, უარის თქმა სავსებით სწორია.

8. გარიგების ნაწილის ბათილობა არ აბათილებს მის სხვა ნაწილებს

თერჯოლის რაიკოპერატვის დამზადების კანტორამ ჩელიაბინსკის სავაჭრო შესყიდველ ბაზასთან დადებულ გარიგებით ივისრა 1974 წლის ივნისში სხვადასხვა ბოსტნეულის მიწოდება. ვინაიდან მიმწოდებელმა ვალდებულება არ შეასრულა, ჩელიაბინსკის სავაჭრო შესყიდველმა ბაზამ აღძრა სარჩელი და მოითხოვა საქონლის მიწოდების დებულების 60-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდევინება. საქმის განხილვაში მოპასუხე არ მონაწილეობდა. საქმეში არსებული მასალებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. სახარბიტრაჟის გადაწყვეტილება გასაჩივრა ცეკავშირის გამგეობამ, რომელმაც განაცხადა, რომ დადებულ გარიგებაში არა სწორად იყო ნაჩვენები მისაწოდებელი პამიდორის ფასი და ამიტომ პამიდორის მიწოდების ნაწილი გარიგება უნდა ბათილად ჩათვალოს. თავის განმარტებისას ცე-

კავშირის გამგეობა ეყრდნობოდა მიწოდების შესახებ დებულების 47 მუხლს. საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. მომჩივანს განემარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას. დებულების 47 მუხლის თანახმად დადგენილი წესით დამტკიცებულთან შედარებით სხვა ფასებში საქონლის მიწოდების ხელშეკრულების პირობები ბათილია და საქონლის ანაზღაურება წარმოებს სათანადოდ დამტკიცებული ფასებით. მაშასადამე მხოლოდ ის გარემოება, რომ გარიგებაში შეტანილი იყო მისაწოდებელი საქონლის არასწორი ფასი, არ ათავსუფლებს მიმწოდებელს გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან.



4. პროდუქციის ტრანსპორტირებისას წარმოშობილი ბუნებრივი დანაჯარგი გადაღის შემქმნეზე თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

წყალტუბოს რაიკოთბავკაშინოს დამზადების კანტორამ მიაწოდა ქ. სოსულის რაიკვებავკრობას ორი ვაგონი მსხალი. დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიღებისას მყიდველმა დაადგინა რაოდენობრივი დანაკლისი 657,5 კგ. ოდენობით და აღძრა სარჩელი სახელმწიფო არბიტრაჟში მისი ღირებულების ანაზღაურებაზე. სარჩელი დაკმაყოფილდა გზაში ბუნებრივი დანაკარგის დადგენილი ნორმის გამოკლებით, რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენდა ფაქტობრივი დანაკლისის მეტ ნაწილს. ამარის რაიკვებავკრობამ გაასაჩივრა არბიტრაჟის გადაწყვეტილება. საჩივარში იგი მიუთითებდა, რომ გზაში წარმოშობილ ბუნებრივ დანაკარგს მასთან კავშირი არა აქვს, ვინაიდან მან მსხლის ფაქტობრივი რაოდენობა შეიძინა კუბიშევის რკინიგზის სადგურში. საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ, ვინაიდან წარმოდგენილი რკინიგზის ზედღებულების თანხმად სადლო ტვირთი გაგზავნილი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ტერნალიდან რკინიგზის სადგურ კუბიშევიში, სამარის რაიკვებავკრობის მისამართით.

ბის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 30-ე მუხლის და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 131-ე და 133-ე მუხლების ძალით ხელშეკრულებით შექმნილ ქონებაზე შემქმნის საკუთრების უფლება (სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის — ქონების ოპერაციული მართვის უფლება) წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან, თუ კანონით ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გადაცემად ითვლება ნივთის ჩაბარება შემქმნისათვის, ასევე მისი ჩაბარება სატრანსპორტო ორგანიზაციისათვის ან ფოსტისათვის შექმნისათვის გასაგზავნად, თუ იგი განსხვავებულია მიტანის ვალდებულების უკისრებლად. გასხვისებული ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაუქმების რისკი გადაღის შემქმნეზე მისი საკუთრების უფლების წარმოშობისთანავე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აქედან გამომდინარე ბუნებრივი დანაკარგის საქონლის მიმდებზე (შემქმნეზე) დაკისრება სწორია. არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკე-

5. ქიმიური პროდუქციის მიწოდების განსაკუთრებული პირობებით ტარის დაუბრუნებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმის გადახდევინების უფლება აქვს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში ნაჩვენებ ორგანიზაციებს

რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ სავაჭრო შემომზიდავმა ბაზამ თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობას მიაწოდა ქიმიური პროდუქცია (კარბოფოსი), რაზედაც გამოიწერა ორი სერტიფიკატი. ამ სერტიფიკატიში ნაჩვენებ იყო, რომ დადგენილ ვადაში ტარა უნდა დაუბრუნდეს კუბიშევის სახ. ქიმიურ ქარხანას, ვინაიდან ტარა დროზე არ იქნა დაბრუნებული, სავაჭრო შემომზიდავმა ბაზამ აღძრა სარჩელი სახელმწიფო არბიტრაჟში. თუმცა თელეთის ექსპერიმენტულმა მეურნეობამ დაადასტურა ტარის დაუბრუნებლობის ფაქტი. „საქსოფლტექნიკის“ ბაზის ძიება არ დაკმა-

ყოფილდა სარჩელზე უფლების უქონლობის გამო. სახარბიტრაჟის სხდომის ოქმში ნაჩვენებია, რომ ქიმიური ნაწარმის განსაკუთრებული პირობების 46-ე მუხლის ძალით ტარის დროზე დაუბრუნებლობისათვის ტარის ჩამბარებელი ჯარიმას უხდის იმ საწარმოს ან ბაზას, რომელსაც უნდა დაუბრუნდეს ცარიელი ტარა, ვინაიდან თანხმად სერტიფიკატებისა სადლო ტარა უნდა დაბრუნებოდა კუბიშევის სახ. ქიმიურ ქარხანას, ამდენად საქსოფლტექნიკის სავაჭრო შემომზიდავ ბაზას არ ქონდა უფლება მოეთხოვა ჯარიმა თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობისაგან.

6. სარჩელზე უარის თქმა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ნიშნავს დავის არსებითად გადაწყვეტას

საწარმოო გაერთიანება „კრანსოიარსკლია-უდაგრაფიტიმა“ აღძრა სარჩელი თბილისის ერთერთი ორგანიზაციის მიმართ აკდერითვის წარუდგენლობისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. სარჩელი ემყარებოდა პროდუქციის მიწოდების დებულების 81-ე მუხლს, დავის განხილ-

ვის დროს სახელმწიფო არბიტრაჟმა დაადგინა, რომ მოსარჩელემ გაუშვა ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 76-ე და 84-ე მუხლების შესაბამისად სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელემ შემოიტანა განცხადება, რომელშიც არ უარყოფდა

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვების ფაქტს, მაგრამ ითხოვდა არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესწორებას სახელმწიფო ბაჟის ნაწილში, რომელიც, მისისი აზრით, მას უნდა დაბრუნებოდა. ვინაიდან განცხადება არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ არ იყო სათანადოდ გაფორმებული (არ იყო წარმოდგენილი სახბაჟის გადახდისა და მეორე მხარისათვის ამ განცხადების ასლის გავზავნის მტკიცება) განცხადება მას განუხილველად დაუბრუნდა. მოსარჩელემ განმეორებით გამოგზავნა განცხადება იმავე სახით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ იგი არ ასაჩივრებს სახარბიტრაჟის გადაწყვეტილებას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ნაწილში, მაგრამ ვინაიდან არბიტრაჟმა დავა არსებითად არ განიხილა, სახელმწიფო ბაჟი მას უნდა დაუბრუნდეს და არბიტრის მცდარ მოქმედებაზე თავის განცხადებას საჩივარი დაარქვე.

განმეორებითი შემოტანილი განცხადება „ქრასნოიარსკლიუდავრაფტს“ კვლავ დაუბ-

რუნდა განუხილველი სახით, მითითებით რომ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეფარდების შესახებ და ამის საფუძველზე სარჩელზე უარის თქმა არის დავის არსებითად გადაწყვეტა და ამიტომ განცხადება მისი მთლიანად თუ ნაწილობრივ გადასინჯვის შესახებ შეიძლება შემოტანილ იქნეს, მხოლოდ სამეურნეო დავების განხილვის წესების 113-ე, 116-ე და 118-ე მუხლების წესით, ე. ი. დადგენილ ვადაში, სახელმწიფო ბაჟის გადახდით და სხვა მოთხოვნების დაცვით. ამავე წესების 37-ე მუხლისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს № 71 ინსტრუქციის § 31 თანახმად სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესახებ განცხადებაზე ბაჟი გადახდება მაშინაც, როდესაც საკითხი შემოტანილია, მხოლოდ ბაჟის გადახდის ნაწილში. ასეთ შემთხვევაში ბაჟი გადახდება საერთო საფუძველზე, სადავო თანხიდან გამომდინარე.

ინფორმაცია

საქართველოს ფოლკლორის

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი უკანასკნელი სამი წელია ატარებენ დათვალერება-კონკურსებს საუკეთესო სახელმწიფო სანოტარო კანტორისა და საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების მმართველის ბიუროს გამოსავლიანად. ასეთივე დათვალერება-კონკურსი მოეწყო აგრეთვე რესპუბლიკის საუკეთესო იურიდიული კონსულტაციის წოდებისათვის.

დათვალერება-კონკურსების მთავარი მიზანია ადვოკატურის, ნოტარიატის და მმართველობის მუშაობის სრულყოფა, მოსახლეობის იურიდიული მომსახურების გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1974 წლის 21 მარტის ერთობლივი დადგენილებით რესპუბლიკის საუკეთესო იურიდიული კონსულტაციის წოდება მიენიჭათ ქ. თბილისის 26 კომისიის და კიროვის რაიონების (გამგეები — ს. ბეგლარიშვილი, ს. სისარულიძე), აგრეთვე სოხუმისა და რუსთავის (გამგეები — ი. შონია, დ. ღვებუაძე) კონსულტაციებს.

მეორე ადგილი მოიპოვა ასევე ოთხმა იურიდიულმა კონსულტაციამ — თბილისის ოქტომბრისა და ქობულეთის რაიონების (გამგეები — მ. ცქვიტარია, ვ. სისარულიძე) კონსულტაციებმა, ქ. ქ. ქუთაისისა და ტყიბულის (გამგეები — ქ. ბალანჩივაძე, ო. ჩაკვეტაძე) იურიდიულმა კონსულტაციებმა.

მესამე ადგილი მოიპოვეს თელავის, ცხაკაის, ჭიათურის და ხაშურის (გამგეები — ვ. ჭიტაშვილი, შ. ცერცვაძე, ბ. ასათიანი, ა. კვეციშვილი) იურიდიულმა კონსულტაციებმა.

საუკეთესო სახელმწიფო სანოტარო კანტორის წოდება მეორედ დაიმსახურა ქ. ქუთაისის მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორამ (სახელმწიფო ნოტარიუსი — ს. ელიბერიძე).

მეორე ადგილზე გამოვიდა ქ. სოხუმის მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორა (სახელმწიფო ნოტარიუსი — ლ. კუჭუხიძე); მესამეზე — ქობულეთის რაიონის სახელმწიფო

სანოტარო კანტორა (სახელმწიფო ნოტარიუსი — ნ. კოპალეიშვილი).

საუკეთესო მმართველის ბიუროს წოდება დაიმსახურა თელავის რაიონის მმართველის ბიურომ (გამგე — ა. იანგოშვილი). მეორე ადგილზეა ბათუმის მმართველის ბიურო (გამგე — თ. ხოფერიანი), ხოლო მესამეზე — ქ. ტყიბულის მმართველის ბიურო (გამგე — ვ. ყვირიანი).

პირველ ადგილზე გამოსული იურიდიული კონსულტაციები, სახელმწიფო სანოტარო კანტორა და მმართველის ბიურო გამოკრულია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საპატიო დაფაზე, დაჯილდოვდნენ ვიშნელო, აგრეთვე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით. საუკეთესო სახელმწიფო ნოტარიუსს, იურიდიული კონსულტაციის და მმართველის ბიუროს გამგეებს გადაეცათ საპატიო სიგელი და 1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშანი.

მეორე ადგილზე გამოსულმა იურიდიულმა კონსულტაციებმა, სახელმწიფო სანოტარო კანტორამ და მმართველის ბიურომ მიიღეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი. სიგელებით დაჯილდოვებული არიან აგრეთვე მათი ხელმძღვანელები.

მესამე ადგილზე გამოსული იურიდიული კონსულტაციების, სახელმწიფო სანოტარო კანტორისა და მმართველის ბიუროს კარგი მუშაობა აღინიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით. მაღალკვალიფიციური საადვოკატო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის წახალისებულ იქნა 17 ადვოკატი.

1974 წლის 20 ივლისს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ჯილდოები გადასცა გამარჯვებულებს. ამხ. ვ. მასისურაძემ მიულოცა მათ გამარჯვება და უსურვა შემდგომი წარმატებები პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში.



სიტყვები წარმოთქვას დაჯილდოებულებმა: თელავის ჯაიონის მმარის ბიუროს გამგემ პ. იანგოშვილმა, ადვოკატმა ჯ. ბაქრაძემ და სახელმწიფო ნოტარიუსმა ს. ედიბერიძემ, რომლებმაც მადლობა გადაიხადეს მათი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის და შეკრებას

ალუთქეცს: მომავალშიც თავდადებულად და უმწიკვლოდ ემსახურონ თავიანთ საქმეს.

მ. ნიკოლაიშვილი,

დათვალიერება-კონკურსების რესპუბლიკური კომისიების თავმჯდომარე.

საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს სხდომა

1974 წლის 17 დეკემბერს შედგა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრისთან არსებული სამართლის პრობლემატიკისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **წ. რატიანმა**.

ინფორმაცია — „აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საკოორდინაციო მეთოდური საბჭოს მუშაობის შესახებ“ — გააკეთა აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრმა **წ. ბაჭელიძემ**.

მოსხენებით — „მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში მორალურ-სამართლებრივი პრობლემების გაშუქების შესახებ“ — გამოვიდა **ეურნალ** „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორი **ო. კაციტაძე**.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **პ. შამათაძემ**, საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ **დ. თალაკვაძემ**, **ეურნალ** „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილემ **შ. ნიშნიანიძემ**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა **ნ. წერეთელმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **წ. ლომიშვილმა** და სხვ.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ნ. ლომიყა,

საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.

სასაკრებლო შეხვედრა

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა იურისტ-სპეციალისტთა მომზადების შემდგომ გაუმჯობესებას.

ამას წინათ უნივერსიტეტში გაიმართა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის, პარტიული კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატისა და პარტიული ბიუროს სხდომა, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა.

რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ **ლ. თალაკვაძემ**, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ **კადრებთან** მუშაობის დარგში **ვ. ედიშერაშვილმა**, პარტიული კომიტეტის მდივანმა **ზ. ალავეძემ**, იურიდიულ

ფაკულტეტის დეკანმა **დოცენტმა** **ვ. ლორიამ**, კათედრის პროფესორებმა **ა. ფალიაშვილმა**, **კ. ლომსაძემ**, **ე. ნეიძემ**, **გ. გურგენიძემ** ფაკულტეტის პარტიული ბიუროს მდივანმა **დ. ცინცაძემ** და სხვებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იურიდიული კადრების აღზრდის გასაუმჯობესებლად. ფაკულტეტზე შემოღებულია მაღალი კურსის სტუდენტთა დასპეციალება სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით. ეს სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დრამად ჩასწვდნენ თავიანთი მომავალი მუშაობის პროფილს, უფრო კვალიფიციურად მოამზადონ სადიპლომო შრომები და ა. შ.

ამასთან ერთად, გამოითქვა მრავალი კრიტიკულად შენიშვნა და საქმიანი წინადადება,

რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად ააზიარებდა ახალგაზრდა სპეციალისტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონეს. აღინიშნა, რომ ფაკულტეტზე სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს კრიმინოლოგიის, კრიმინალისტიკის, საბუღალტრო აღრიცხვისა და სასამართლო ექსპერტიზის საფუძვლების სწავლება. ხარვეზებია სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისა და კურსდამთავრებულთა სტაჟირების ორგანიზაციაშიც. სუსტია კონტაქტები სწავლულ იურისტებსა და პრაქტიკოს მუშაკთა შორის, არ არის დანერგილი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა აქტუალური პრობლემების ერთობლივად შესწავლა და სხვა. პროკურატურის კოლეგია, მისი მეთოდური საბჭო და ფაკულტეტის სელმძღვანელობა არასაკმარის ზრუნავს იმისათვის, რომ დაგროვალი პრაქტიკული გამოცდილება და მეცნიერული სიახლე დაინერგოს ყოველდღიურ საქმიანობაში დროულად და მაქსიმალური ეფექტურობით.

სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა ერთობლივ დონისძიებათა განხორციელება ფაკულტეტზე შესვლის მსურველი ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხის გასაუმჯობესებლად, რათა ფაკულტეტზე მიზიდულ იქნას საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელთაც აქვთ საწარმოო სტაჟიც და იურისტის პროფესიისადმი მიდრეკილებაც. ამ მიზნით ფაკულტეტზე ჩატარებულ „ღია კარის დღეებში“ მონაწილეობა უნდა მიიღონ პროკურატურის პრაქტიკოსმა მუშაკებმაც.

სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ასეთი შეხვედრები სისტემატურად მოეწყობა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს იურისტთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის გაუმჯობესების საქმეს.

6. პარაზაფშილი.



ბიბლიოგრაფია

შურნალ „საგვოთა სამართალში“ 1974 წელს გამოქვეყნებული მასალების საქმიანები

მომწინავე, საზღვარგარეთ სტატიები. სადიპლომატიკო ორგანიზაციის დადგინებული წესების, ოფიციალური ცნობების ტექსტები

- მომწინავე — ორმოცდაათი წელი უღენინოდ, ლენინის გზით. № 1, გვ. 3-6.
- რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. № 4, გვ. 8-9.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. № 1, გვ. 78-80.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 16 ივნისის არჩევნების შედეგების შესახებ. № 3, გვ. 3-5.

სახელმწიფო და სამართლის თეორია, ისტორია, კოლიტიკური მოქმედების ისტორია, სახელმწიფო, საერთაშორისო სა სამართალი

- ბზიშვილი კ. — ძველ ქართულ სამართალში ნასყიდობის საგნის საკითხისათვის № 3, გვ. 53-62.
- ლორია ვ. — პროტექციონიზმი, როგორც წარსულის გადმონაშთი სახელმწიფო მმართველობაში. № 4, გვ. 19-24.
- ტარტარაშვილი გ. — ზოგიერთი ცნობა XVIII საუკუნის საქართველოში ტყვეთა ყიდვის აკრძალვის შესახებ. № 1, გვ. 66-67.
- ფურცელაძე დ. — სხვისწილობისა და მისი სამართლებრივი შინაარსისათვის. № 2, გვ. 49-51.
- ყორანაშვილი გ. — კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში. № 3, გვ. 40-52.
- ხარატიშვილი გ. — სასამართლო რეფორმა და ნაფიც გეპილთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოში. № 6, გვ. 46-57.

სამოქალაქო სამართალი, კრიმინალი, არბიტრაჟი

- ბარტნოვსკი ა. — ზოგიერთი ცვლილება აღმოჩენათა და გამოგონებათა უფლების დაცვაში 1973 წლის დებულების მიხედვით. № 4, გვ. 28-34.
- ბარტნოვსკი ა. — ავტორთა უფლებები აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა 1973 წლის დებულებით. გვ. 18-25.

- დევდარიანი გ. — იურიდიული ფაქტების დადგენის ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში. № 5, გვ. 21-28.
- იოსავა გ., ცინცაძე ა. — სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის საკითხისათვის. № 2, გვ. 23-25.
- კიკვიძე ო. — საწარმოო ტრავმატიზმი და მისგან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი საკითხი. № 1, გვ. 22-26.
- ტყევაძე შ. — საპროცესო ნორმების განუხრებლად დაცვა საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტის მთავარი პირობაა. № 6, გვ. 26-29.
- შონია გ. — მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის საფუძვლები. № 6, გვ. 36-45.
- ხეტურიანი ჯ. — სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგებაში სამართლისა და მორალის ურთიერთმოქმედების საკითხისათვის. № 3, გვ. 14-18.
- ხიდუშელი მ. — სამუშაოზე აღდგენის საქმეებში ქესამე პირთა ჩაბმა. № 4, გვ. 35-38.
- ჯაფარიძე ს. — საწარმოთა და დაწესებულებათა საცხოვრებელი სახლებიდან მოქალაქეთა გამოსახლება. № 2, გვ. 14-22.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა

- ბაბილაშვილი ჯ. — ავტოსტრანსპორტო დანაშაულთა საქმეები საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში. № 1, გვ. 27-39.
- ბაბილაშვილი ჯ. — ავტოსტრანსპორტო დანაშაულთა სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი. № 3, გვ. 19-32.
- ბერძენიშვილი პ. — ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. № 1, გვ. 18-22.
- ვახიანი ა. — ნარკოტიკების სოციალური მიზნობის შესახებ. № 1, გვ. 6-17.
- ვახუნია გ. — პროტექციონიზმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. № 5, გვ. 38-42.
- ვეახარია ო. — კრიმინალისტიკა და ინფორმაციის თეორია. № 1, გვ. 47-51.
- ვეფხვაძე მ. — საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის პრინციპები. № 2, გვ. 39-48.
- მენაბდიშვილი თ. — განუხრებლად დაცვათა საბჭოთა კანონმდებლობა რელიგიური კულტების დარგში. № 3, გვ. 6-13.
- მიქაძე ა. — ბრალის სოციალ-პოლიტიკური არსი საბჭოთა სისხლის სამართალში. № 4, გვ. 39-40.

მოსესიანი გ. — ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის ცნების, საფუძვლისა და მომენტის საკითხისათვის. № 1, გვ. 40-46.

რჩეულიშვილი შ. — პროტექციონიზმი დანაშაულისათვის. № 4, გვ. 25-27.

სურგულაძე ლ. — საბჭოთა საქართველოს პირველი ნორმატიული აქტების მნიშვნელობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებისათვის. № 1, გვ. 52-63.

ჩიქვინიძე ე. — სასამართლოს კერძო განჩინება დანაშაულის თავიდან აცილების ერთერთი ეფექტური საშუალებაა. № 2, გვ. 35-38.

ფაღაველი ა. — მაგნიტოფონის გამოყენება საქართველოს სსრ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში. № 2, გვ. 26-34.

ციმაკურიძე გ. — სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა ცეცხლსასროლი იარაღის გამართულობის გადაწყვეტის მიზნით. № 3, გვ. 33-35.

ძავანია გ., ქველიძე გ. — ექვმიტიანილის დაკავება, როგორც დანაშაულის აღკვეთის საშუალება. № 5, გვ. 29-37.

წერეთელი თ. — თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა. № 6, გვ. 3-17.

საბჭოეთის, აღმოსავლურბერძენული ორბანეთის, აღმოსავლური კრძაქიისა

ბალათურია მ. — კანონი დებუტატთა სტატუსის შესახებ ახალი ნაბიჯია დემოკრატიის განვითარებაში. № 5, გვ. 12-20.

ბენიძე ვ. — საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დაცვისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან. № 3, გვ. 36-39.

ერქომაიშვილი ნ., ისაკაძე ლ. — ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის სრულყოფისათვის. № 5, გვ. 43-54.

კვაჭაძე ზ. — საბჭოები და სამართლებრივი პროპაგანდა. № 2, გვ. 3-13.

კეცხოველი ნ. — ფიქრები სასამართლო პროცესის შემდეგ. № 4, გვ. 49-56.

რატანიანი ზ. — რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები დიდი ამოცანების წინაშე. № 5, გვ. 3-11.

ტაკიძე ა. — დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. № 4, გვ. 10-18.

კ. შადურაძე — ხალხის ინტერესების საღარჯოზე. № 6, გვ. 30-35.

სასამართლო პროცესების ისტორიიდან

სიდაშონიძე ვ. — ილია ჭავჭავაძე სამსჯავროს წინაშე. № 1, გვ. 73-77.

სურმაიანი რ., ჩიქაძე ზ. — ორი ექიმი — ორი პროცესი. № 4, გვ. 66-68.

ყაჭიშვილი გ. — „გურიის რესპუბლიკის“ პროცესი. № 4, გვ. 61-65.

ჯაფარიანი შ., აღაძაძე თ. — ნიკო ლორთქიფანიძის გასამართლება ცარიზმის სასამართლის მიერ. № 1, გვ. 68-72.

პრიტიკა და გიგლოგრაფია, კოლმეობა

გამყრელიძე ო. — არა, სახელმძღვანელო ასე არ უნდა იწერებოდეს. № 4, გვ. 71-86.

დევდარიანი გ. — ფუნდამენტალური ნაშრომი საბინაო კანონმდებლობის შესახებ. № 2, გვ. 74-75.

ნადარეიშვილი გ. — ნუ შევცვლით მეცნიერებას პატრიოტული რიტორიკით. № 5, გვ. 55-64.

ნათაძე ნ. — რუსთაველის სამართლებრივ ცოდნაზე კამათის გამო, № 4, გვ. 57-60.

სურგულაძე ი. — წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ვულგარიზაციის წინააღმდეგ. № 5, გვ. 43-54.

ტყეშელაძე გ. — პირველი მონოგრაფია აფექტურ დანაშაულზე. № 1, გვ. 81-84.

ტყეშელაძე გ. — შეეჩვიეთ კეთილსინდისიერ პაექრობას. № 6, გვ. 58-72.

ციციშვილი ს. — შენიშვნები ერთი წერილის გამო. № 1, გვ. 63-65.

მხატვრული ნაწარმოებები, ნარკვევები

მანაველი ა. — შერისხვა. № 3, გვ. 72-75.

ნაკვესები. № 2, გვ. 79-81.

ჟვანია ვ. — სამართალი და სასამართლო ვაჟაფშაველას მხატვრულ ნაწარმოებებში. № 3, გვ. 66-71.

შტრიკერი ვ. — პირველი ლიტერატურული საქმე რუსეთში. № 2, გვ. 66-68.

თარიღები

ისაკაძე ლ. — ბესარიონ ქლენტი 70 წლისაა. № 2, გვ. 69-73.

პაიჭაძე გ. — პროფესორ ი. ცინცაძის დაბადების 70 წლისთავის გამო. № 5, გვ. 81-82.

ხარჩილავა ირ. — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. № 3, გვ. 63-65.

ჩხეიძე დ. — ქართული თეატრის მოამბე (ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო). № 2, გვ. 62-64.

ოფიციალური მასალა

დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის შესახებ.

- № 6, გვ. 81—89.
- კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა — საქართველოს სსრ წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ. № 3, გვ. 76—85.
- საქართველოს სსრ უმაღლესი სამეცნიერო პრეზიდიუმის 1974 წლის 10 იანვრის ბრძანებულება — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. № 1, გვ. 80.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 აპრილის ბრძანებულებები:
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში დამატებების შეტანის შესახებ. № 2, გვ. 65.
- საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. № 2, გვ. 65.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 15 მაისის ბრძანებულება — ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფას ბეწვიანი ტყავის ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა და გადამუშავების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. № 4, გვ. 68—69.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 30 ავგისტოს ბრძანებულებები:
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში დამატებების შეტანის შესახებ. № 5, გვ. 73.
- თევზისა და სხვა მოზოვებითი რეწვის უკანონო წარმოებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. № 5, გვ. 73.
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მესამე ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ. № 5, გვ. 74.
- ნათესების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების გაწვრთნის დაზიანებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. № 5, გვ. 74.
- საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ. № 5, გვ. 74—75.
- საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. № 5, გვ. 75—79.
- მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების მე-2 მუხლის შეცვლის თაობაზე. № 5, გვ. 79.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებები:
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ. № 5, გვ. 80.
- „სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაქისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე. № 5, გვ. 80.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულება — საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. № 6, გვ. 72—75.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებები:
- საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. № 6, გვ. 75—76.
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ. № 6, გვ. 77.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება — საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. № 6, გვ. 78—79.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე. № 6, გვ. 80.
- არბატრაჟის პრაქტიკა. № 5, გვ. 83—85, № 6, გვ. 87—90.
- ინფორმაცია. № 1, გვ. 85—93; № 2, გვ. 82—92; № 4, გვ. 86—95; № 5, გვ. 88—95; № 6, გვ. 91.
- მშაჩის ორგანოების პრაქტიკა. № 1, გვ. 94—96. მოკლე ცნობები. № 3, გვ. 96; № 5, გვ. 86—87.

წიგნობა

- თ. წერეთელი, ვლ. მაყაშვილი გამომცემი მეცნიერისა და მეცობრის ხსოვნას, № 2, გვ. 93—95.
- კაპანაძე ს. № 2, გვ. 96.
- კოლუშვილი თ. № 4, გვ. 96.
- ლონიძე ს. № 2, გვ. 96.
- ტალახაძე ი. № 5, გვ. 96.

შეცდომების გასწორება

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1974 წლის მე-
ხუთე ნომრის 31-ე გვერდის სტოლიოში უნდა
იკითხებოდეს: „Указ Президиума Верховного
Совета СССР от 18 июня 1973 г. ...“ და შემ-
დეგ როგორც ტექსტშია.

55-ე გვერდის პირველი სვეტის ბოლო სტრიქონი
უნდა იკითხებოდეს „უგულეზელყოფს, არამედ გუ-
ლისხმობს...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

მე-60 გვერდის მეორე სვეტის ზემოდან მეოთხე
სტრიქონი უნდა იკითხებოდეს „მასებით ვერ შეძლეს
მთავარი საზრუნავის...“ და შემდეგ როგორც ტექს-
ტშია.

75-ე გვერდზე გამოქვეყნებული ბრძანებულების
პირველი ხუთი სტრიქონი არის დასაწყისი 74-ე
გვერდზე გამოქვეყნებული ბრძანებულებისა — სა-
ქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შე-
მოღების შესახებ.

630/14



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო 60: 663.

ИНДЕКС 76185

საბჭოთა სამართალი № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР